

ინოვაციური ეკონომიკა
და მართვა

INNOVATIVE ECONOMICS AND
MANAGEMENT

3

ტომი - Volume IV.

2017

UDC (უკ) 050: {33+338.24}
ო - 603

ჟურნალი „**ინოვაციური ეკონომიკა და მართვა**“ ინდექსირდება საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში და სისტემებში:

The Journal „**INNOVATIVE ECONOMICS AND MANAGEMENT**“ is indexed in the international scientometric databases, repositories and search engines:

Index Copernicus (პოლონეთი)

Open Academic Journals Index

elibrary.ru (რუსეთი)

Академия Google (CША)

cosmos impact factor (გერმანია, ბერლინი) Germany, Berlin

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი

ბადრი ბეჩიაძე, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. მენეჯმენტის რეგიონული აკადემიის წევრკორესპონდენტი.

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ბელა მამულაძე, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

პასუხისმგებელი რედაქტორი

პაატა აროშიძე, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

სარედაქციო კოლეგიის წევრები:

ე.მ.დ., პროფესორი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
ავთანდილ სილაგაძე, ე.ა.დ., ასოცირებული პროფესორი
ნინო აბესაძე, ე.მ.დ., პროფესორი
რამაზ აბესაძე, ე.მ.დ., პროფესორი
ანზორ აბრალაშვილი, ე.ა.დ., ასოცირებული პროფესორი
გიორგი აბუსელიძე, ე.ა.დ., პროფესორი
იოსებ არჩვაძე, ტ.ა.დ., პროფესორი
თენგიზ აფხაზაშვილი, ე.მ.დ., პროფესორი
თეიმურაზ ბაგუნაშვილი, ე.ა.დ., ასოცირებული პროფესორი
აპაკი ბაკურაძე, ე.მ.დ., პროფესორი
ევგენი ბარათაშვილი, ე.მ.დ., პროფესორი
ელგუჯა მამუკაშვილი, ბ.ა.დ., ასოცირებული პროფესორი
ბენიკ ბაუჩაძე, ბ.ა.დ., ასოცირებული პროფესორი
გივი ბაქრაძე, ე.ა.დ., პროფესორი
როსტომ ბერიძე, ე.მ.დ., პროფესორი
გივი ბედიანაშვილი, ტ.ა.დ., პროფესორი
ქეთევან გოლათიანი, ე.ა.დ., პროფესორი
პანტაძე დათაშვილი, ე.ა.დ.,

პროფესორი
ანზორ დევაძე, ე.ა.დ., პროფესორი
ციური დურული, ე.ა.დ., პროფესორი
ლია ელიაშვილი, ე.ა.დ., ასოცირებული პროფესორი
გულნაზ ერქომაიშვილი, ე.ა.დ., პროფესორი
მერაბ ვანიშვილი, ე.ა.დ., პროფესორი
გოჩა თუთხაძე, ე.ა.დ., პროფესორი
ნაზი-რა კაკულია, ე.მ.დ., პროფესორი
პაატა კოლაშვილი, პ.ა.დ., პროფესორი
ნათია მიქაელთაძე, ე.ა.დ., პროფესორი
ალექსანდრა სიჭინავა, ე.ა.დ., ასოცირებული პროფესორი
ნინო ფარესაშვილი, ე.ა.დ., პროფესორი
რომან მამულაძე, ე.ა.დ., პროფესორი
ნინო ლიპარტელიანი, ე.მ.დ., პროფესორი
რაზო მანუკიძე, ე.მ.დ., პროფესორი
ლამარა ქოქიაშვილი, ე.ა.დ., პროფესორი
გიორგი ღვინაძე, ე.მ.დ., პროფესორი
ვლადიმერ დლონტი, ე.მ.დ., პროფესორი
კარლო ღურნაძე, ე.მ.დ., პროფესორი
ლარისა ყორღანაშვილი, ბ.ა.დ., ასოცირებული პროფესორი
გოდერძი შანიძე, ე.მ.დ., პროფესორი
თეიმურაზ შენგელია, ე.ა.დ., პროფესორი
ნანა შონია, ე.მ.დ., პროფესორი

ნიკოლოზ ჩიხლაძე; ე.ა.დ. ასოცირებული პროფესორი **ირმა ჩხაიძე**; ე.ა.დ., პროფესორი **ასია ცინცაძე**; ე.ა.დ., პროფესორი **ნათია ნიკლაშვილი**; ე.მ.დ., პროფესორი **ეთერ ხარაიშვილი**; ტ.ა.დ., პროფესორი **პარმან ხვადალიძე**; ე.ა.დ., პროფესორი **დავით ჯალაღონია**; ე.მ.დ., პროფესორი **მიხეილ ჯიბუტი**; ე.ა.დ., პროფესორი **გურამ ჯოღია**; ს.მ.მ.დ., პროფესორი **რაზო ჯაბნია**; ბ. ა. დ. **ზურაბ მუშაუდია** (მთავარი რედაქტორის მოადგილე ჟურნალის ინგლისურენოვან ნაწილში)

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები:

ჰესუს ფარაირო აპარაციო, ე.მ.დ. ბასკეთის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი (ესპანეთი);
შარლანტი სარგაი, ე.მ. დ. პროფესორი. ჩერნიგოვის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის რექტორი (ჩერნიგოვი, უკრაინა);
კიზიმ ნიკოლაი, ე.მ.დ. პროფესორი. უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. (ხარკოვი, უკრაინა);
რუდენკო ოლგა, სახელმწიფო მართვის დოქტორი, პროფესორი. ჩერნიგოვის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის და მენეჯმენტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი (ჩერნიგოვი, უკრაინა);
ვლადიმერ ნატალია, ე.მ. დ. პროფესორი. უკრაინის ბიოლოგიისა და გარემოსდაცვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გლობალური ეკონომიკის კათედრის გამგე (კიევი, უკრაინა);
შიმანოვსკაია ნიკოლაი, ე.მ. დ. პროფესორი. პოლტავას ეკონომიკისა და ვაჭრობის უნივერსიტეტის მენეჯმენტის კათედრის გამგე (პოლტავა, უკრაინა);
ხაუსტოვა პიტრონა, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი (ხარკოვი, უკრაინა);
გადიდა მიროსლავ, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ქ. კომპიცეს ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროცესებისა და ინჟინერიის კათედრის გამგე (კომპიცე, სლოვაკეთი);

კუჩაბსკი ალექსანდრა, სახელმწიფო მართვის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (პოლონეთი);
ჩარნაცკი პაველ, დოქტორი, პროფესორი. ვარშავის უმაღლესი მენეჯმენტის სკოლის რექტორი (ვარშავა, პოლონეთი);
ტრონიკოვსკი ტადეუშ, მენეჯმენტის დოქტორი, პროფესორი (ვლოცლავეკი, პოლონეთი);
ლუკინი სარგაი, ე.მ.დ. ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (მინსკი, ბელორუსია);
ზლოტნიკოვა ლილია, ე.მ.კ. პროფესორი. ბელორუსიის ვაჭრობისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი (გომელი, ბელორუსია);
ჩიხლაძე ლევან, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი (რუსეთი, მოსკოვი);
ისაევი ნამიზ, ბიზნესისა და მართვის დოქტორი, აზერბაიჯანის საერთაშორისო დიასპორის წარმომადგენელი საქართველოში (ბაქო, აზერბაიჯანი);
მიძელსკი სარგაი, პროფესორი. მენეჯმენტის რეგიონული აკადემიის პრეზიდენტი (ყაზახეთი, პავლოდარი);
პარსოლა მიხალ, დოქტორი, პროფესორი მიხაილ ბალუდიანსკის სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტი. (სლოვაკეთი, კომპიცე);
რამი გაურანზ, ეკონომიკის დოქტორი, ვიირნორმანდის გუჯარატის უნივერსიტეტის პროფესორი (გუჯარატი, ინდოეთი);
რომანენკო ევგენი, სახელმწიფო მართვის მეცნიერებათა დოქტორი. პერსონალის მართვის რეგიონული აკადემიის საჯარო მმართველობის კათედრის გამგე, დოცენტი (უკრაინა, კიევი);
გრიშინოვა ელენა, ე.მ.დ. ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
კუშმინკო გალინა, ე.მ.დ. კიროვოგრადის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორი, (უკრაინა, კროპივნიცკი);
ჩაპლაი ირინა, სახელმწიფო მართვის მეცნიერებათა კანდიდატი, (უკრაინა, კიევი);
შალიმოვა ნატალია, ე.მ.დ. კიროვოგრადის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორი, (უკრაინა, კროპივნიცკი).

© ა(ა)იპ ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტის და ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიეროპრაქტიკული ჟურნალი „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“.

ISSN: 2449-2418
E-ISSN: 2449-2604

EDITORIAL BOARD

Editor in Chief

BADRI GECHBAIA, Doctor of Economics, Associate Professor.

Deputy Editor

GELA MAMULADZE, Doctor of Economics, Professor.

Responsible Editor

PAATA AROSHIDZE, Doctor of Economics, Associate Professor.

EDITORIAL BOARD:

Avtandil Silagadze, Doctor of Economic Sciences, Professor. Academician of the National Academy of Sciences of Georgia; **Nino Abesadze**, Doctor of Economics, Associated Professor; **Ramaz Abesadze**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Anzor Abzalava**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Giorgi Abuselidze**, Doctor of Economics, Associated Professor; **Ioseb Archvadze**, Doctor of Economics, Professor; **Tengiz Apkhazava**, Doctor of Technical Sciences, Professor; **Teimuraz Babunashvili**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Evgeni Baratashvili**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Elguja Meqvabishvili**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Akaki Bakuradze**, Doctor of Economics, Professor; **Besik Bauchadze**, DBA, Associated Professor; **Givi Bakradze**, DBA, Associated Professor; **Rostom Beridze**, Doctor of Economics, Professor; **Givi Bedianashvili**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Ketevan Goletiani**, Doctor of Technical Sciences, Professor; **Vakhtang Datashvili**, Doctor of Economics, Professor; **Anzor Devadze**, Doctor of Economics, Professor; **Tsiuri Duruli**, Doctor of Economics, Professor; **Lia Eliava**, Doctor of Economics, Professor; **Gulnaz Erqomaishvili**, Doctor of Economics, Associated Professor; **Merab Vanishvili**, Doctor of Economics, Professor; **Gocha Tutberidze**, Doctor of Economics, Professor; **Nazira Kakulia**, Doc-

tor of Economics, Associated Professor; **Paata Koguaishvili**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Natia Mikeltadze**, Doctor, Professor; **Aleksandre Sichinava**, Doctor of Economics, Professor; **Nino Paresashvili**, Doctor of Economics, Associated Professor; **Roman Mamuladze**, Doctor of Economics, Professor; **Nino Liparteliani**, Doctor of Economics, Professor; **Rezo Manvelidze**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Lamara Qoqiauri**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Giorgi Gvartadze**, Doctor of Economics, Professor; **Vladimer Glonti**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Karlo Gurtckaia**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Larisa Korganashvili**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Goderdzi Shanidze**, DBA, Associated Professor; **Teimuraz Shengelia**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Nana Shonia**, Doctor of Economics, Professor; **Nikoloz Chikhladze**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Irma Chkhaidze**, Doctor of Economics, Professor; **Asie Cincadze**, Doctor of Economics, Professor; **Natia Tsiklashvili**, Doctor of Economics, Professor; **Eter Kharaishvili**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Parmen Khvedelidze**, Doctor of Technical Sciences, Professor; **Davit Jalagonia**, Doctor of Economics, Professor; **Mikheil Jibuti**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Guram Jolia**, Doctor of Economics, Professor; **Rezo Jabnidge**, Doctor of Agricultural Sciences, Professor; **Zurab Mushkudiani**, DBA (Deputy Chief Editor in English Section of Journal).

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD

Aparacio Jesus Fereiro, professor of the faculty of Economics and Business on the university of Basque country (Spain);

Kyzym Mykola, Doctor of Economic Sciences, Professor. Corresponding Member of National Academy of Sciences of Ukraine. Honored Economist of Ukraine

Shkarlet Serhii, Doctor of Economic Sciences, Professor. Rector of Chernihiv National University of Technology (Ukraine);

Rudenko Olha, Doctor of Public Administration, Associate Professor, Director of SRI of Public Administration and Management, Professor of the Department of Management of Chernihiv National University of Technology (Ukraine);

Vdovenko Natalia, Doctor of Economic Sciences, Professor (Ukraine);

Shimanovska-Dianich Ludmila, Doctor of Economic Sciences, Professor (Ukraine);

Khaustova Victoria, Doctor of Sciences (Economics), Associate Professor, Senior Research Fellow, Department of innovation development and competitiveness, Research Centre of Industrial Problems of Development of NAS of Ukraine;

Badida Miroslav, Doctor of Sciences, Professor, Pro-Dean of Machine Building Faculty of Technical University of Kosice (Slovak Republic);

Kuchabskyi Oleksandr, Doctor of Public Administration, Associate Professor (Poland);

Chernetski Pawel, Doctor of Sciences, Professor, Rector of Warsaw Management University (Poland);

Trocikowski Tadeusz, Doctor of Business Administration, Full Professor of Management, Correspondent Member of RAM (Poland);

Lukin Sergei, Doctor of Economic Sciences. Belarusian State University, Professor (Belarus, Minsk);

Zlotnikova Lidia, PhD in Economics, Associate Professor. Belarusian Trade And Economics University Of Consumer Cooperatives (Belarus, Gomel);

Chihladze Levan, Doctor of Law, Full Professor. Head of the Department Municipal Law. RUDN University (Russia);

Isayev Namig, PhD in business administration. Representation of Azerbaijan International Diaspora Centre in Georgia, (Azerbaijan);

Midelski Sergey, Professor. President of Regional Academy of Management (Kazakhstan);

Varchola Michal, Doctor of Sciences, Professor, President of the Academic Society of Michal Baludansky (Slovak Republic);

Rami Gaurang, PH.D Professor, Department of Economics Veer Narmad South Gujarat University (India);

Romanenko Yevchen, Doctor of Science in Public Administration, Professor, Head of the Dept. of Public Administration of Interregional Academy of Personnel Management (Ukraine).

Grishnova Olena, Doctor of Economic Sciences, Professor, Taras Shevchenko National University of Kyiv (Ukraine).

Kuzmenko Halyna, Doctor of Economics, Associate Professor, Kyiv (Ukraine).

Chaplay Irina, PhD of Public Administration, Associate Professor, Kyiv (Ukraine).

Shalimova Nataliia, Doctor of Economic Sciences, Professor, (Kropivnicki, Ukraine).

A (N) and the National Institute of Economic Research of the Teaching University of Batumi Navigation and reviewing scientific journal "Innovative Economics and Management".



ISSN: 2449-2418

E-ISSN: 2449-2604

Certificate ICI Journals Master List



Certificates that journal
**INNOVATIVE ECONOMICS
AND MANAGEMENT**

p-ISSN 2449-2418

has been indexed in the
ICI Journals Master List in 2015

1 August 2016

Date

A handwritten signature in dark ink, appearing to read "Glynn Roush".

Signature



სარჩევი CONTENTS

ინოვაციური ეკონომიკა - INNOVATIVE ECONOMICS

ლამარა ქოქიაური — ეროვნული ინოვაციური სისტემის კონცეფციის კონცეპტუალური საფუძვლები	
LAMARA QOQIAURI — CONCEPTUAL BASIS OF CONCEPTION OF NATIONAL INNOVATIVE SYSTEM	10

მენეჯმენტი და მარკეტინგი - MANAGEMENT AND MARKETING

გულიკო კატამაძე, ირაკლი აბაშიძე — სოციალური მედიის მარკეტინგი როგორც მცირე ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ხელშემწყობი ფაქტორი	
GULIKO KATAMADZE, IRAKLI ABASHIDZE — SOCIAL MEDIA MARKETING AS A FACTOR FOR BOOSTING SMALL BUSINESS COMPETITIVENESS	27
ეთერ ხარაიშვილი, ბადრი გეჩბაია — ღვინის ბრენდი და ღვინის ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში	
ETER KHARAISHVILI, BADRI GECHBAIA — WINE BRAND AND WINE TOURISM DEVELOPMENT PERSPECTIVES IN GEORGIA	34
ედუარდ მიქელაძე — ღრისის ღირებულება და პრობლემები საქართველოში	
EDUARD MIKELADZE — VALUE OF TIME AND RELATED ISSUES IN GEORGIA	42

სოციალური ეკონომიკა - SOCIAL ECONOMY

ანა დანეჩი — საჯარო მოხელეების ინგლისურენოვანი კომუნიკაციური უნარები, როგორც უკრაინის ევროპული ინტეგრაციის მექანიზმი	
HANNA DYVNYCH — ENGLISH LANGUAGE COMPETENCE OF CIVIL SERVANTS AS A MECHANISM OF EUROPEAN INTEGRATION OF UKRAINE	48
ნატალია ხოლიავკო — უმაღლესი განათლების სექტორის ფინანსური პრობლემები უკრაინაში საინფორმაციო ეკონომიკის ფორმირების კონტექსტში	
NATALIIA KHOLIIVKO — FINANCIAL ISSUES IN HIGHER EDUCATION SECTOR OF UKRAINE UNDER CONDITIONS OF INFORMATION ECONOMY FORMATION	56
ანა ვერბიტსკა — ევროკავშირის ქვეყნებში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ეროვნული პოლიტიკის კონცეფცია	
ANNA VERBYTSKA — CONCEPTIONS OF THE NATIONAL POLICIES OF HIGHER EDUCATION INTERNATIONALIZATION IN EUROPEAN UNION COUNTRIES	62

ფინანსები და საბანკო პოლიტიკა - FINANCE AND BANKING POLICY

მაქსიმ სლათვინსკი, ლუდმილა ჩვერტკო — პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოება: საინვესტიციო პოლიტიკის პრობლემები	
MAKSYM SLATVINSKYI, LIUDMYLA CHVERTKO — DIRECT FOREIGN INVESTMENTS AND NATIONAL SECURITY: PROBLEMS OF INVESTMENT POLICY	70
ბადრი გეჩბაია, ნატალია ვდოვენკო, ანა ნავესენკო — სოფლად ბიუჯეტის შევსების შემადგენლობის ტრანსფორმაცია ევროკავშირის დებულების შესაბამისად	



BADRI GECHBAIA, NATALIA VDOVENKO, ANNA NEVESENKO — TRANSFORMATION OF MEASURES OF EXTENSION FILLING OF THE BUDGET OF THE RURAL AREAS IN ACCORDANCE WITH THE PROVISIONS OF THE EU.....	80
---	-----------

დარგობრივი და რეგიონული ეკონომიკა - SECTORAL AND REGIONAL ECONOMY

ბობირ ტურსუნოვი — საუნივერსო საწარმოებში გამოყენებული სიმძლავრეების ეფექტიანობის ამაღლება საწარმოო გარემოს მართვის საუნივერსო	
BOBIR TURSUNOV — INCREASING EFFECTIVENESS OF USAGE TEXTILE ENTERPRISES' CAPACITY ON BASING OF INDUSTRIAL INVENTORY MANAGEMENT.....	85
ლელა ჯახაია — მიწის კონსოლიდაცია, მიწის ბანკი - სოფლის მეურნეობის განვითარების უზენაესი პირობები ინტეგრირებაში	
LELA JAKHAIA — LAND CONSOLIDATION, LAND BANK-THE MOST IMPORTANT TOOLS FOR THE DEVELOPMENT OF	90
რეზო ჯაბნიძე, ნანა ჯაბნიძე — კლიმატის ცვლილების გავლენა ვაშლის განვითარებაზე და მოსავლიანობაზე	
REZO JABNIDZE, NANA JABNIDZE — IMPACT OF THE CLIMATE CHANGE ON GRAPE DEVELOPMENT AND THE YIELD	96

მსოფლიო ეკონომიკა - WORLD ECONOMY

პაატა აროშიძე — „ერთი სარტყელი-ერთი გზა“ და საქართველოს სტრატეგიული ღირებულების პერსპექტივები PAATA AROSHIDZE — “ONE BELT - ONE ROAD” AND PROSPECTS OF GEORGIA’S TRANSPORT CORRIDOR	101
ნაზი ბარათაშვილი, ზაზა ფარსენაძე — ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის საგადასახადო ასპექტები	
NAZI BARATASHVILI, ZAZA PHARSENADZE — TAX ASPECTS OF FREE TRADE WITH THE EU.....	111

გამოხმაურება მონოგრაფიაზე - REPLY TO THE MONOGRAPH

ბადრი გეჩბაია, რეზო ჯაბნიძე, პროფ. ეთერ ხარაიშვილი — აქტუალური კვლევა საქართველოს ეკონომიკის სტრატეგიულ განვითარება-მედიუმტერმინული სექტორზე	
BADRI GECHBAIA, REZO JABNIDZE - Prof. ETER KHARAISHVILI, CURRENT RESEARCH ON THE STRATEGIC VITICULTURE AND WINE SECTOR OF THE GEORGIAN ECONOMY	121

ეროვნული ინოვაციური სისტემის კონცეფციის კონცეპტუალური საფუძვლები

CONCEPTUAL BASIS OF CONCEPTION OF NATIONAL INNOVATIVE SYSTEM

ლამარა ჟოქიაური,

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. საქართველოს
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტის
ნამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველო,
თბილისი-ბათუმი

LAMARA QOQIAURI,

Doctor of Economics, Academician
of Georgian Economics Academy.
Tbilisi, Georgia

ანოტაცია

შრომა ეხება XXI საუკუნის მეცნიერული კვლევების ყველაზე აქტუალურ და ამავე დროს, პრობლემურ საკითხებს – საერთოდ, ინოვაციების აღმოცენების, ინოვაციური ეკონომიკის მექანიზმის შექმნის და ეროვნული ინოვაციური სისტემის ევოლუციური განვითარების გზის აღწერას; გადმოცემულია კონცეფციის არსის, გენეზისის, მოტივაციის, მეთოდოლოგიის წინაპირობები; შესწავლილია ეროვნული ინოვაციური სისტემის კონცეფციის ფუნქციონირება, პირველი გზამკვლევები, მათი წვლილი კონცეფციის თეორიული ბაზის ჩამოყალიბებაში. სტატიაში ინოვაციების, ინოვაციური განვითარების ცნობილი მეცნიერ – მკვლევარების შრომების შესწავლის და მათი განზოგადების საფუძველზე შევეცადეთ აგვეხსნა კონცეფციის კვლევის მეთოდოლოგია, მისი სტრუქტურული, ობიექტური და ფუნქციონალური კომბინაცია.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციები, ინოვაციური სისტემა, ინოვაციური ეკონომიკა, ინოვაციური საქმიანობა, ცოდნა, ტექნოლოგიები, არამატერიალური აქტივები, კომერციალიზაცია, ინოვაციების ნეოკლასიკური თეორია.

ABSTRACT

The work refers to the most actual and problematic topics of the XXI century scientific researches and in general, origins of innovations, creation of mechanisms of innovative economics and description of evolutionally developed way

of national innovative system; The work shows the meaning of conception, genesis, motivation, preconditions of methodology. The work studied founders of conception of national innovative system, first pioneers and their contribution in creating theoretical basis of conception. In the work, on the basis of studying and generalizing famous scientist- researchers works about innovations and innovative development, we tried to describe searching methodology of conception, its structural, objective and functional combination.

Keyword: innovations, innovative system, innovative economics, innovative business, knowledge, technologies, nonmaterial activities, commercialization, neoclassical theory of innovations.

შესავალი.

1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში ეროვნული ინოვაციური სისტემების კონცეფციის შექმნა დაკავშირებული იყო ნეოკლასიკური სკოლის წარმომადგენელი მეცნიერ-ეკონომისტების ტექნოლოგიების, ცოდნისა და ინოვაციების როლის მიმართ განსხვავებული შეხედულებით, ეკონომიკური განვითარების პროცესში. თანამედროვე პირობებში ეროვნული ინოვაციური სისტემის კონცეფცია მოიცავს ინოვაციური პროცესის ყველა ძირითად კომპონენტს ორგანიზაციული, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების ჩათვლით. ამ კონცეფციას ფართოდ იყენებენ მკვლევარები და ის პირები, ვინც იღებენ გადა-

ანვეტილებას რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე (Edquist, 2006 Sharif, 2006). იგი გახდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ევროკავშირის (OECD) მიერ ჩატარებული ინოვაციების კვლევის საფუძველი. რიგი ავტორების აზრით, ეროვნული ინოვაციური სისტემის კონცეფციის ჩამოყალიბება არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა თანამედროვე პირობებში (მაგ.: Martin, Bell, 2011). კვლევები ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში განაპირობებენ იმას, რომ ეკონომიკა მეცნიერების სასოწარკვეთილებიდან გარდაიქმნა იმედის ეკონომიკად (Freeman, 1992). ტერმინი "ეროვნული ინოვაციური სისტემა" მყარად დამკვიდრდა მკვლევარის ლექსიკაში და იმ პირებთან მიმართებაში, ვინც გადაწვეტილებებს ღებულობს (Miettinen. 2002).

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ კონცეფცია წარმატებით გავრცელდა ეკონომიკურ და მმართველობით სფეროში, თვით მისი წარმოქმნის ფაქტი რიგ კითხვებს აჩენს. **რამდენად საჭიროა ეს კონცეფცია, თანამედროვე ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის წინაშე მდგარ რომელ პრობლემებს ჭრის იგი;** შეიძლება თუ არა ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის უკვე ცნობილი მიდგომების გამოყენება ინოვაციური განვითარების პრობლემების გადასაჭრელად. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით პასუხი გავცეთ ამ კითხვებზე, დავახასიათებთ ამ მიდგომის ძირითად მახასიათებლებს, მის ღირსებებსა და ნაკლოვანებებს, რომლებიც გარკვეულწილად განაპირობებს არ იქნას გაზიარებული ეროვნული ინოვაციური სისტემის ბევრი კონცეპტუალური დებულება თეორიისა და პრაქტიკაში; დავსახავთ ამ წინააღმდეგობების გადალახვის გზებს.

სანამ გადავიდოდეთ უშუალოდ ეროვნული ინოვაციური კონცეფციის ფორმირების საკითხებზე, მიზანშეწონილად ჩავთვალოთ მოკლედ მიმოვიხილოთ საერთოდ, ინოვაციების, ინოვაციური ეკონომიკის წარმოშობის საკითხები; შევისწავლოთ ინოვაციური კონცეფციის აღმოცენების წინაპირობები.

ამრიგად, სტატიის მიზანია თანამედროვეობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენის – ეროვნული ინოვაციური სისტემის კონცეფციის არსის, შექმნის, განვითარების კონცეპტუალური საკითხების, მისი გნოსეოლოგიის, სისტემის

ელემენტების მოტივაციის, ეროვნული ინოვაციური სისტემის კვლევის მეთოდოლოგიური საკითხების შესწავლა და განზოგადება. შესაბამისად, შრომაში დაყენებულია და შეძლებისდაგვარად გადაჭრილი შემდეგი ამოცანები:

- რა არის ინოვაციები და რაში მდგომარეობს მისი მექანიზმის გავლენა ეკონომიკის განვითარებაზე;
- რა ობიექტურმა და სუბიექტურმა პირობებმა განაპირობა ინოვაციური ეკონომიკის შექმნა;
- მაინც რა არის ინოვაციური სისტემების კონცეფციის აღმოცენების წინაპირობები?
- ეროვნული ინოვაციური სისტემა განხილული უნდა იყოს თუ არა ინოვაციური ეკონომიკის განვითარების ბაზად;
- ვინ არიან ინოვაციური სისტემის კონცეფციის ფუძემდებლები, როგორია მათი მეცნიერული წვლილი კონცეფციის თეორიული ბაზის განვითარებაში;
- და ბოლოს, მოკლედ ავხსნათ ეროვნული ინოვაციური სისტემის კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც დაფუძნებულია ანალიზის სტრუქტურულ, ობიექტურ და ფუნქციონალური მეთოდების კომბინაციაზე.

შესავლის დონე

შუმპეტერი წიგნში: „ეკონომიკური განვითარების თეორია“ (Schumpeter, 1934). მეწარმის მთავარ ფუნქციას უწოდებდა რესურსების კომბინაციას, როდესაც შესაძლებელია „ახალი სარგებლის“ მიღება, ანდა ცნობილი ეფექტების ახლებურად გამოყენება, ანუ ინოვაციები. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (1980-იანი წლების დასაწყისში) შუმპეტერის შრომები, ასევე მისი თანამოაზრეების შრომებიც, არ შედიოდნენ ეკონომიკური მეცნიერების მეინსტრიმში (Fagerberg, Sapprasert, 2011).

სიტუაცია შეიცვალა კვლევების ნეოშუმპეტერიანულ მიმართულების ჩამოყალიბების შემდეგ (Castelacci et.al. 2005), რომელიც სათავეს იღებს ფრიმენის შრომების (Freeman. et al, 1982, Freeman 1983, 1984, 1987); ასევე პერუზის (Perez, 1983, 1985), ლვოვის, გლაზევის (1985) შრომების გამოსვლის შემდეგ, შუმპეტერისაგან განსხვავებით არ ითვალისწინებდა სოციალურ და

ინსტიტუციონალურ პირობებს გრძელი ტალღების წარმოქმნის მიზეზობრივ-შედეგობრივი მექანიზმის განხილვისას. ამ მიმართულების ავტორების აზრით კი კაპიტალისტური სისტემა არის ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-ინსტიტუციონალური სისტემების ურთიერთზემოქმედების შედეგი. სწორედ მათი ერთობლივი ევოლუცია განსაზღვრავს განვითარების ტიპს და შესაბამისად გრძელი ტალღის სანყისია. და ბოლოს, ამ თვალსაზრისის მიხედვით, მნიშვნელოვანია არა თვით რადიკალური ინოვაციის წარმოქმნის მომენტი, არამედ მათი მასიური გამოყენების დასაწყისი ეკონომიკის სწრაფად მზარდ სექტორებში.

ურთიერთდაკავშირებული საბაზისო ტექნოლოგიების ერთიანობის წარმოქმნა აყალიბებს „ტექნოლოგიურ სისტემას“ (Freeman et al. 1982). სხვა ავტორების აზრით - „ტექნოლოგიურ პარადიგმას“ (Dosi. 1982), ანდა „ტექნოლოგიურ სტილს“ (Perez. 1983). ინოვაციების ეს ჩამონათვალი ძლიერ სტიმულს აძლევს ტექნო-ეკონომიკური სისტემის გადასვლას ახალ ტექნოლოგიებზე, მნიშვნელოვანი სარგებლის მიღების პერსპექტივით. მაგრამ თუ კი ტექნიკურ-ეკონომიკური სისტემა მზად არის მიიღოს „ახალი ტექნოლოგიური სტილი“, სოციო-ინსტიტუციონალური სისტემა შეიძლება არ ცდილობდეს გააკეთოს ეს დაუყოვნებლივ. მისი მოუმზადებლობა სოციალური, ორგანიზაციული და ინსტიტუციონალური ძვრების მიმართ ბარიერი ერთად იქცევა ხოლმე ინოვაციების დიფუზიის გზაზე. როცა ტექნიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ-ინსტიტუციონალურ სისტემებს შორის მიიღწევა გარკვეული შეთანხმებულობა და გარანტიები, ადგილი აქვს ინოვაციების სწრაფ დიფუზიას, მათ ინკრემენტალურ გაუმჯობესებას. დგება აღმასვლისა და აღრეული ტექნოლოგიური წყობის კრეატიული დაშლის პროცესი. ამ მიდგომის მიხედვით ტექნოლოგიების განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი ხდება ინსტიტუციონალური და სოციალური ცვლილებები.

ახალი მიდგომის განვითარებას ხელი შეუწყობს მათ ჩამოყალიბებამდე არსებულმა ინოვაციებისა და საზოგადოების ჩამოყალიბების წრფივმა მოდელებმა, რომლებიც ემყარებოდა ცოდნას (Makarov, 2003; Makarov, 2007 და სხვები, Makarov 2004; kleineri, 2007; David, Foray, 1995; Smith, 1995); ინფორმაციულმა საზოგადოებამ (Godin, 2006)

და სამმაგი სპირალის კონცეფციამ, (Etzkowitz, Leydesdorff, 2000; Shinn, 2002). ახალი მიდგომის წარმატება ბევრადაა განპირობებული იმით, რომ ის ემყარება წინამორბედების კვლევებს. მკვლევარები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან Rend Corporation - თან რომელთაც 1950-იან წლებში დაიწყეს სისტემური მიდგომის გამოყენება გადაწყვეტილების მიღებისა და მენეჯმენტის პროცესების შესწავლისას. ჯ. ფორესტერის (Forrester, 1971) და დ. მედოუზას (Meadows et al, 1972) შრომების გამოსვლის შემდეგ დაფიქსირდა სამეცნიერო საზოგადოების სისტემური დინამიკის ყოველმხრივი გადიდება. განსაკუთრებული ინტერესი სისტემური მიდგომის გამოყენების მიმართ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში შეინიშნება 1960-იანი წლებიდან (Smith. 1995). ამ მიდგომის კვალიფიციური მოსარგებლები იყვნენ მეცნიერები, რომლებიც კვლევებს აწარმოებდნენ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციების ეგიდით (Godin. 2009), როგორც ყველა კვალიფიციური მოსარგებლე, სისტემური მიდგომის განვითარებას აღნიშნული ორგანიზაციის ჩარჩოებში ხელი შეუწყობს მისმა ინტერაქტიურმა გამოყენებამ კვლევის ობიექტისადმი.

სისტემური მიდგომის გავრცელებისათვის ინოვაციური თეორიის კვლევების მიმართ აუცილებელი იყო ევოლუციური თეორიის მომხრეთა ძალისხმევის კონსოლიდაცია (Metcalf, 1988; Nelson, Winter. 1982), ასევე იმ ეკონომისტების ჩართვა პროცესში, რომლებიც მხარს უჭერენ ინსტიტუციონალურ მიდგომებს ინოვაციურ თეორიაში (Freeman, 1987; უნდვალ, 1992), ერთი მიდგომის ჩარჩოებში (Soete et al., 2010). ასეთი კონსოლიდაცია ჩამოყალიბდა 1980-იანი წლების მეორე ნახევარში და 1990-იანი წლების პირველ ნახევარში, როცა შეიქმნა ეროვნული ინოვაციური სისტემების კონცეფცია.

ახალი კონცეფცია ეროვნული ინოვაციების საფუძველზე მონოდედებული იყო ერთგვარი წვლილი შეეტანა განვითარების განსაზღვრის ახალი მიდგომის ფორმირებაში. ამ მიდგომას არა მარტო პასუხი უნდა გაეცა ეკონომიკური თეორიის წინაშე წარმოშობილ საკითხებზე, არამედ გამხდარიყო აპერაბელური და უშუალოდ ფოკუსირებული ინოვაციურ განვითარებაზე მიმართული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაზე.

**ძირითადი ნაწილი.
ინოვაციების და ინოვაციური
ეკონომიკის წარმოშობა**

თვით „ტერმინი ინოვაცია“¹ თავდაპირველად გამოიყენებოდა კულტუროლოგების ნაშრომებში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში და ნიშნავდა ერთი კულტურის რიგი ელემენტების დანერგვას მეორეში. ეკონომიკაში ინოვაციური დაკვირვებები პირველად გაკეთდა ნ. კონდრატევის მიერ (Кондратьев Н., 1925) გასული საუკუნის 20-იან წლებში, რომელმაც აღმოაჩინა ე.წ. „გრძელი ტალღები“ ეკონომიკაში. ეს ტალღები ყალიბდება განსაზღვრული საბაზისო სიახლეების შემოტანით, რომლებიც ბიძგს აძლევენ მრავალი მეორეული და სრულყოფილი ნოვაციების გამოყენებას. კონდრატევი სიახლეებს მიაკუთვნებდა ეკონომიკის განვითარების განმსაზღვრელ კუმულაციურ ელემენტებს (Кондратьев, Опарин Д.И., 1928)

ი. შუმპეტერმა ხმარებაში შემოიტანა ტერმინი „ინოვაცია“ და ცდილობდა ერთმანეთთან დაეკავშირებინა მანამდე აღმოჩენილი ციკლური რყევების სახეები ერთიან ურთიერთდაკავშირებულ პროცესის სახით, რომლებიც ეფუძნებოდა ინოვაციებს. ნაშრომში, საქმიანი ციკლები (Шумпетер И., 1939). ი. შუმპეტერმა ჩამოაყალიბა ტალღისებური რყევების მულტიციკლურობის თეორია და მისი კავშირი სიახლეებისა და

გამოგონებების ტალღებთან². იგი ასაბუთებდა მუდმივი სიახლეების, როგორც კრიზისების დაძლევის საშუალების თეორიულ აუცილებლობას. ჯერ კიდევ XX ს. დასაწყისში მან შეძლო დაემტკიცებინა, რომ ტექნიკური ინოვაციები არის მაღალი მოგების მიღების საშუალება. განსხვავებით ეკონომიკური ზრდის ჯ. ფონ ნენ-მანისგან, რომელიც ტექნიკურ პროგრესს საერთოდ არ ითვალისწინებდა.

1980-იან წლებში, ეყრდნობოდა რა რ. შუმპეტერის თეორიას, ცნობილი ეკონომისტი გ. მენში აკეთებს დასკვნას საბაზისო სიახლეების მაღალი კონცენტრაციის შესახებ, რომელიც შესაძლებელს ხდის დაძლეული იქნას „ტექნოლოგიური პატი, საფუძველს უყრის ახალ ტენდენციას ეკონომიკაში, კერძოდ ძირითადი მაჩვენებლების გაუმჯობესებას. გამოგონებებისა და სიახლეების სტატისტიკის დამუშავების საფუძველზე გ. მენშმა ახსნა ტექნიკის განახლების ციკლურობის ხასიათი (ინოვაციური ტალღები), გამოიკვლია ურთიერთკავშირის მექანიზმი გამოგონებებს, სიახლეებსა და ეკონომიკური აქტივობის ღონეს შორის (Менш Г. 1975).

ამ კვლევების პარალელურად კ. ფრიმენი, ჯ. კლარკი, ლ. სუტე, ი. ვან დენი და ა. კლაიენსტი იკვლევდნენ ინოვაციების გავლენის მექანიზმს ეკონომიკის განვითარებაზე. შემოიტანეს ცნება ინოვაციის განვითარების სტადიების და მათი

¹ 1925 წელს კონდრატევი გამოაქვეყნა ტალღისებური რყევების თეორია საზოგადოებრივ წარმოებაში, კონიუნქტურის საკითხებში (მ. 1925 ტ. I. გამოშ. 1. გვ. 28-79). მანამდე გამოვიდა ნიგნი „მსოფლიო მეურნეობა და მისი კონიუნქტურა დროში და ომის შემდეგ“, სადაც პირველად იყო მოხსენიებული დიდი ციკლები. მან შეძლო დამუშავებინა ციკლური პროცესების მოდელები და ეჩვენებინა გრძელვადიანი (დიდი) ციკლების არსებობა. ეკონომიკურ განვითარებაში მთავარ როლს კონდრატევი ანიჭებდა მეცნიერულ-ტექნიკურ ნოვაციებს. ყოველი ციკლის ამალგებითი ტალღის დაწყებამდე ადგილი აქვს სიღრმისეულ ცვლილებებს ტექნიკაში, რასაც წინ უსწრებს ტექნიკური აღმოჩენა და გამოგონება. ნ. კონდრატევი დაასაბუთა, რომ სიახლეები დროში არათანაბრად ნაწილდება და ყალიბდება ჯგუფები.

² იოსებ ალოიზ შუმპეტერი (1883-1950) ავსტრიელი და ამერიკელი ეკონომისტი, სოციოლოგი და ეკონომიკური აზრის ისტორიკოსი. მისი ძირითადი შრომებია: „ეკონომიკური განვითარების თეორია“ (1912); „ბიზნეს-სკოლები, კაპიტალისტური პროცესის თეორიული, ისტორიული და სტატისტიკური ანალიზი (2 ტომად 1939); „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია“ (1942); „ათი უდიდესი ეკონომისტი“ (1951). შუმპეტერს მიაჩნდა, რომ განვითარების ბიძგის მიმცემია სიახლეები. ამ ტერმინის ქვეშ მოიაზრება ცვლილებების ყველა მიზეზი წრიულ ნაკადში. ინოვაციების დანერგვის ფართო საზოგადოებრივ პროცესში მონაწილეობას ღებულობს ბევრი ადამიანი, რის შედეგადაც იცვლება ეკონომიკის გადამწყვეტი ფაქტორები. ინოვაციების დანერგვის პროცესი თანაბარზომიერად არ მიმდინარეობს. იგი ხასიათდება რყევებითა და **рычками** როგორც კი ერთი მენარმე გადალახვას ტექნოლოგიურ და ფინანსურ სირთულეებს და აღმოაჩენს მოგების მიღების ახალ გზას. სხვები მას თანდათან მიყვებიან.

გავრცელების (დიფუზიის) შესახებ, როგორც დარგობრივ, ასევე, ქვეყნის მიერ (რეგიონალურ ჭრილში). ჩვენს ქვეყანაში 70-80-იანი წლების მეცნიერულ კვლევებში ა.ი. ანჩიშკინის, ს.ვ. შუხარდინის, ა.ა. კუზინის და ი.ვ. იაკოვეცის მიერ შესწავლილი იქნა რთული კავშირები საზოგადოების განვითარებასა და ტექნოლოგიების ცვლას შორის.

ახალი ბიძგი ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბების კონცეფციის განვითარებაში ყოფილ პოსტსოციალურ ქვეყნებში 2000 წლიდან გაკეთდა. პრესაში გაჩნდა ქვეყანაში ინოვაციური წარმონაქმნების შესახებ არსებულ მოსაზრებები. რამდენადაც ამ აქტუალურ საკითხზე მსჯელობა მოდური გახდა და ზოგჯერ კონიუნქტურულიც, ამდენად, ტერმინთან „ინოვაციური ეკონომიკა“ მიმართებაში შეხედულებები სპეკტიკური შეიქმნა.

დაიწყო ერთგვარი დიალოგი „ბიზნესი-ხელისუფლება“. სახელმწიფო, მეცნიერება, ეკონომისტები, მენარმეები ყველა მიხვდა, რომ ქვეყნის გადარჩენის, ეკონომიკის ზრდის ერთადერთი გზა ინოვაციები და ინვესტიციებია, მაგრამ პირველ ხანებში ეს სიტყვები პოლიტიკურ რიტორიკად დარჩა კონკრეტული საქმეები არც ჩანდა. სავსებით ცხადი იყო, რომ არ ჩამოყალიბდა სამართლებრივი ბაზა ინოვაციური ეკონომიკის ეგიდით, არ შემუშავდა გასაგები და მისაღები კონცეფცია, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა უწყებები ააგებდნენ თავიანთ საქმიანობას და შექმნიდნენ პირობებს მოცემული მიმართულებით, ეკონომიკის განსავითარებლად. ინოვაციური ეკონომიკა დღეისათვის თითქოსდა არის მხოლოდ ლამაზი სიტყვების „კრებული“, რომლის მიღმაც ყველა წყვეტს თავის დარგობრივ ინტერესებს. სხვათა შორის, საუბარია კონკრეტულ ქმედებებისა და ნაბიჯის კონკრეტულ პროგრამაზე, რომელთა განხორციელება აუცილებელი იყო უკვე გუშინ.

ამასთან ერთად, ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების შინაარსიანი განხილვა, მათ შორის, ინოვაციური წარმონაქმნები ითხოვენ ზუსტ ფორმულირებებს და ერთმნიშვნელოვან გაგებას.

მეცნიერული თვალსაზრისით ინოვაციური ეკონომიკა გაგებული უნდა იქნას ვიწრო და ფართო ასპექტით. ინოვაციური ეკონომიკა ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, ეს არის საზოგადოება, რომელიც თავის ძირითად მოგებას ღებულობს

ტექნიკური სიახლეებისა და გამოგონებების შექმნისა და ექსპლოატაციის გზით. მაგრამ ეს ძალზე ვიწრო და პრაგმატული გაგებაა. ზოგიერთი ფუნდამენტური მეცნიერული აღმოჩენა ხომ არ იძლევა სწრაფ უკუგებას ფულის სახით, მით უმეტეს, საბოლოო ჯამში კაცობრიობა წინ მოჰყავს. აღმოჩენები ჰუმანიტარული მეცნიერების სფეროში კიდევ უფრო მძიმედ, ნაკლებად ექვემდებარება სწრაფად ათვისებად პროდუქტს, რომელმაც შეიძლება მოგება მოიტანოს და მაინც, უპირობოდ არის ინოვაცია. საბოლოოდ, აღმოჩენები საზოგადოებრივი აზრის სფეროში ანვითარებენ კაცობრიობას გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ტექნოლოგიური აღმოჩენები.

არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც ინოვაციური ეკონომიკა უნდა დაუკავშირდეს ცნებას: „ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა“. მაგალითად, გ.ზ. მილნერი აღნიშნავს, რომ საბაზისო განათლება, მუშაკთა პროფესიულ-ტექნიკური მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლება, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად ასევე ნოვატორული აზროვნების განვითარების მხარდაჭერას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ეკონომიკური და ტექნიკური პროგრესისათვის, ინოვაციური, ცოდნაზე დამყარებული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის (Мильнер В.З., 2005).

პიტერ დრუკერი, რომლის შრომები მართვის სფეროში ქრესტომატიული გახდა, 1994 წლის ნოემბერში გაკეთებულ მოხსენებაში „ბიზნესი და მართვა“ საერთო ამერიკულ კონფერენციაზე „ახალი ორგანიზაციების შექმნა“, აღნიშნავდა, რომ XXI საუკუნეში იცვლება საწარმოთა საქმიანობის პრინციპული საფუძვლები, - საფეხურიდან: დამყარებულია რაციონალურ ორგანიზაციაზე“ საფეხურზე: „დამყარებულია ცოდნასა და ინფორმაციაზე“. XXI საუკუნეში ორგანიზაციებში უპირატესად იმუშავენ სპეციალისტები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას წარმართავენ კოლეგებისაგან, მომხმარებლებისა და კორპორაციის სტრატეგიული ცენტრისაგან უკუკავშირის დახმარებით.

მრიგად, დღეისათვის ყველა დონეზე ხშირად ჟღერს თეზისი ინოვაციური საზოგადოების ჩამოყალიბების შესახებ და რა არის ეს? ინოვაციური საზოგადოება ეს არის თავისუფალი და შემოქმედი ადამიანების საზოგადოება, საზოგადოება, რომელიც ღიაა ყოველი სიახლისად-

მი, მათ შორის, სიახლეებისადმი ეკონომიკურ ცხოვრებაში. ასეთ საზოგადოებას შეუძლია და ვალდებულია ჰარმონიულად შეუერთდეს ჩვენს კონსერვატიულ ურთიერთობებს სულიერ ფასეულობებთან. ინოვაციურ საზოგადოებაში სახელმწიფოს ზედმეტი როლი ისევე საშიშია, როგორც მისი უკმარისობა.

ზოგჯერ ეკონომიკური ინოვაციის ცნების ქვეშ მოიაზრება „მსოფლიო ეკონომიკის ევოლუციის დასრულებული ეტაპი, რომელიც ცვლის დროგადასულ ტრადიციულ ეკონომიკას, კარდინალურად ცვლის არსებულ შეხედულებებს ეროვნული სიმდიდრის ფორმისა და სტრუქტურის შესახებ, დაგროვების ეფექტიანობის კრიტერიუმებისა და საზოგადოებრივი კვლავნარმოების შესახებ (Лыч Г., 2006).

ამ შემთხვევაში ყურადღება ეთმობა იმას, რომ ადგილი აქვს ფასეულობათა გადაფასებას საზოგადოებაში სიმდიდრის გაგებასთან მიმართებაში. კონსტანტირდება ის ფაქტი, რომ ხორციელდება გადასვლა წარმოების პოსტინდუსტრიულ ორგანიზაციაზე.

ცხადია, კაცობრიობა ელოდება მნიშვნელოვან ცვლილებებს. იგი ყველა დროის გლობალური სოციალური გადატრიალებისა და შემოქმედებითი რეორგანიზაციის წინაშე დგას. არა აქვთ რა ნათლად გააზრებული ახალი ცივილიზაციის რეალობა, ადამიანები თავდაპირველად მონაწილეობენ ამ ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში. ამ კონცეფციას იცავდა ე. ტოფლერი. მიტომ, გ. ლიჩის მიდგომა ინოვაციურ ეკონომიკასთან მიმართებაში არის ცნობილი კონცეფცია „ინფორმაციული საზოგადოების“ შესახებ, რომელიც პოსტინდუსტრიალიზმის თეორიის სახესხვაობაა. მის ფუძემდებლებად ზ. ბჟეზინსკი, ბელი და ე. ტოფლერი ითვლებიან.

მრიგად, წარმოდგენილ სტატიაში ინოვაციური ეკონომიკა გაგებული იქნება ვიწრო გაგებით, მხოლოდ ინოვაციური წარმონაქმნი ეკონომიკაში, რომელიც განაპირობებს მომხმარებელთა მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და წარმოების შედეგიანობის ამაღლებას.

ინოვაციური სისტემების

კონცეფციის აღმოცენების წინაპირობა

პირველი ნეოკლასიკური თეორიის მოდელების ავტორები ეკონომიკურ ზრდას განიხილავდნენ, როგორც ფიზიკური კაპიტალისა და

შრომის გამოყენების შედეგს. (Solow, 1957; Uzawa, 1964). რაქტიკულად, ნეოკლასიკური მიდგომის ჩამოყალიბების მომენტიდან ცხადი იყო, რომ ამ მოდელებში ფიზიკური კაპიტალის კლებადი შემოსავლიანობის კანონის გამოყენება შეუძლებელია ამ ფაქტორის გრძელვადიანი ზრდის ხარჯზე, ხოლო ეკონომიკური ზრდა გრძელვადიან პერსპექტივაში შეზღუდულია ექსტენსიური ფაქტორებით, შრომითი რესურსების ზრდის ტემპებით (გოლიჩენკო, 1999). მიტომ, ბევრმა მკვლევარმა გაიზიარა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ტექნიკური პროგრესი არის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი წყარო.

1950-1960-იან წლებში ნეოკლასიკური სკოლის წარმომადგენელ ავტორთა აზრით, ტექნიკური პროგრესი ეს იყო ეგზოგენური ფენომენი, სოციალურ-ეკონომიკური სისტემის გარე ფაქტორი. იგი მიიჩნეოდა საზოგადოებრივ კეთილდღეობად, არ იყო კონკურენტული და არ ხასიათდებოდა განსაკუთრებულობით. სხვა სიტყვებით, რომელიმე აგენტის მიერ ტექნოლოგიის გამოყენება არ ამცირებდა მისი გამოყენების შესაძლებლობის სხვა აგენტის მიერ, ხოლო ტექნოლოგიაზე ხელმისაწვდომობის უფლება ჰქონდა ყველა ეკონომიკურ აგენტს იმისაგან დამოუკიდებლად, თუ მათგან რომელს ეკუთვნოდა იგი.

თითქმის მთელი ამ ხნის მანძილზე შეინიშნებოდა უარის თქმა ეგზოგენური ტექნიკური პროგრესის კონცეფციაზე. ამ მიმართულებით შექმნილი მოდელებიდან ყველაზე საინტერესო, სტატიის ავტორის აზრით, არის ეროუს მოდელი (Arrow. 1962), სადაც პროგრესის ენდოგენურობა მიიღწევა სწავლების პროცესის გათვალისწინებით ძირითადი ფონდების (კაპიტალის) გამოყენებისას. ეროუს იყენებს ვინტეჟს (vintage) — მოდელს, რომელშიც ტექნიკური პროგრესი აისახება მხოლოდ ახალი ძირითადი ფონდების შექმნაში. ვინტეჟის ტიპის საწარმოო ფუნქციის გარეშე, ამ მიდგომასთან ახლოსაა, შეშინსკის მიერ შემოთავაზებული მოდელი (Sheshinsk; 1967). მაგრამ შემდგომმა ანალიზმა აჩვენა, რომ ამ მოდელებში ენდოგენური ტექნიკური პროგრესის მიუხედავად, ეკონომიკური ზრდა მთლიანად განისაზღვრება ხელახლად გამოყენებული შრომის ზრდის ტემპების მიხედვით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ადრინდელ ნეოკლასიკურ მოდელებში (მაგ.: Stern 1991 წ.).

1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა „ახალი ნეოკლასიციზმის“ ახალი მიმართულება. ამ მიმართულების მიმდევრები იკვლევდნენ ინოვაციური საქმიანობის გავლენას ტექნოლოგიურ ძვრებზე ინტელექტუალური და ადამიანური კაპიტალის დაგროვების გათვალისწინებით (იხ.: მაგ.: Porter, 1986, 1990; Grossman, Helman, 1991; Aghion, Howitt, 1992; გოლიჩენკო, 1999). მათი თეორიების მიხედვით კაპიტალის ეს სახეები იყო ინდივიდებისა და ფირმების საინვესტიციო გადაწყვეტილებების შედეგი, რომელთა მიღებასაც მათ აიძულებდათ შესაბამისი ეკონომიკური სტიმულები. ინტელექტუალური კაპიტალი აღიარებული იყო როგორც არაკონკურენტული, მაგრამ ნაწილობრივ განსაკუთრებული. კაპიტალის პირველი თვისება მომდინარეობს ცოდნის ბუნებიდან, რომლის მეშვეობითაც დადებითი ექსტერნალიტეტის შედეგად (სპილოფერის ეფექტი) შესაძლებელი ხდება ცოდნის გავრცელება დროსა და სივრცეში. მეორე თვისება (ნაწილობრივი განსაკუთრებულობა) რეალიზდება ამ თეორიის მიხედვით ინტელექტუალური საკუთრების ფორმალური და არაფორმალური დაცვით (საპატენტო დაცვა და კომერციული საიდუმლო). ინტელექტუალური საკუთრების ფლობა უზრუნველყოფს ფირმის მონოპოლურ ძალაუფლებას და ინოვაციურ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების საშუალებას იძლევა.

მაგრამ ეკონომიკური ზრდის ახალ ნეოკლასიკურ თეორიაშიც კი დარჩა კონცეპტუალური დებულებები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა ინოვაციური საქმიანობის ბუნებას. მაგალითად, ადრინდებულად არ გაითვალისწინებოდა ინსტიტუტების როლი ინოვაციების შექმნაში; თუმცა ნეოკლასიკურ თეორიას აკრიტიკებდნენ ეკონომიკურ სისტემაში ინსტიტუტების ინტეგრაციის მოდელის არარსებობის გამო. ასევე მხედველობის მიღმა დარჩა ის ფაქტი, რომ ინოვაციური საქმიანობა შესაძლებელია მხოლოდ სუბიექტების ურთიერთშემოქმედებით, ანუ მისი განხორციელებისათვის აუცილებელია ისეთი სისტემა, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა ელემენტების გაერთიანებასა და ურთიერთშემოქმედებას (Bertalanffy, 1968).

ნეოკლასიკური აგენტი ძველებურად რჩებოდა რეპრეზენტატიული. აგენტების რეპრეზ-

ენტატულობა იმას ნიშნავს, რომ ისინი ფლობენ თითქმის ერთნაირ კომპენტენტურობას და სწავლების თანაბარ შესაძლებლობებს. მაგრამ ინოვაციები იქმნება კომპენტენტურობის არათანაბარი განაწილებისა და სწავლების სხვადასხვა შესაძლებლობების პირობებში (Lundvall, Johhson, 1992). როგორც ეროვნული მიუთითებდა (1962), ინოვაციის ერთ-ერთი ფუნდამენტური თვისება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ხშირად ხდება თვისობრივად ახალი პროდუქციის შექმნის წყარო, რომლის ანალოგიც ადრე არ არსებობდა. შედეგად, ფირმას არ შეუძლია ინოვაციური საქმიანობის ტექნიკური და კომერციული შედეგების ზუსტი პროგნოზირება (როგორც საკუთარი, ასევე კონკურენტის) და ინოვაციური მოთხოვნების აბსორბციის ოდენობის სწორად შეფასება (Pavitt, 2006). სხვა სიტყვებით, ინოვაციების განმახორციელებელ ფირმებს არ შეუძლიათ იმოქმედონ რაციონალურად ამ სიტყვის ნეოკლასიკური გაგებით (Dequech, 2001) ანუ რაციონალური არჩევანის პრინციპი არ გამოიყენება ინოვაციური საქმიანობის ანალიზში. ამ მიზეზის მიხედვით ინოვაციური პროექტის განხორციელების პროცესში არ მოქმედებს დეფიციტური რესურსების რაციონალურად განაწილების პრინციპი.

ევოლუციურ თეორიაში იგულისხმება, რომ აგენტები მოქმედებენ შეზღუდული რაციონალურობის პირობებში. აღიარებულია, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ისინი მნიშვნელოვანწილად იყენებენ ემპირიულ წესებს და უარყოფენ სარგებლიანობის ფუნქციის ოპტიმიზაციას (Simon, 1990). ამასთან, გამოიყენება მრავალი ვარიანტი, რომლებიც უზრუნველყოფენ ემპირიული წესების გამოყენებას (დიდი თითის წესი). მრავალი ვარიანტის არსებობას ცალკეულ შემთხვევაში განაპირობებს და ხელს უწყობს ინფორმაციის ასიმეტრია (Aboody, Lev, 2000). ნეოკლასიკური თეორიის მომხრეების აზრით, ეს არის ბაზრის წესების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი. მაგრამ ასიმეტრიის გარეშე ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელია სიახლე და პროდუქტის ანდა პროცესის ვარიანტულობა (Hauknes, Nordgren, 1999). და ბოლოს, ფირმების ინოვაციურობის უნარი დამოკიდებულია და განისაზღვრება წარსულში მათი საქმიანობით (Dosi, 1988).

უნდა აღინიშნოს ცოდნის რამდენიმე ფუნდამენტური თვისება, რომელიც აღიარებულია მეცნიერ-ეკონომიკონერების მიერ (Castellacci et al. 2005). **ჯერ ერთი**, ფირმის ტექნოლოგიური ცოდნა ხშირად არის სპეციალური (არა კონფიდენციალური) და არახილული (არსებობის ადამიანების გონებაში, ასევე ორგანიზაციის რუტინულ პრაქტიკოსებში). **მეორეც**, ცოდნა არ არის სტატიკური, იგი დინამიურია. იგი ერთის მხრივ, კუმულატიურია, ხოლო მეორეს მხრივ, ეკონომიკას განიცდის დროში; არის არა მარტო ინდივიდუალური შემოქმედების შედეგი, არამედ ორგანიზაციის შინაგანი და გარეგანი ურთიერთშემოქმედების გარკვეული შედეგი. **მესამეც**, ეკონომიკური აგენტები ფუნქციონირებენ მუდმივ ცვალებად გარემოში. არასათანადოდ არიან ინფორმირებულები, მათ არ ყოფნით აბსორბირებული შესაძლებლობები არსებული ინფორმაციის დასამუშავებლად; **მეოთხე** ინსტიტუტები აყალიბებენ გარემოს, რომელშიც ფირმები და პირები, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს, ხშირად წინააღმდეგობაში ვარდებიან მათ მიერ ადრე მიღებულ ოპტიმალურად მიჩნეულ გადაწყვეტილებებთან.

ინოვაციური სისტემის კონცეფციის ფორმირება

აღნიშნული კონცეფციის ფუძემდებლად ითვლება კ. ფრიმენი, ბ. ლუნდვალი, და რ. ნელსონი. მათ დაიწყეს ინტენსიური კვლევები ცნების: „ეროვნული ინოვაციური სისტემა“ განმარტებისათვის. ამ ცნების განმარტებების შემუშავების თანმიმდევრულობა ასახავს დაგროვილ ინფორმაციას ტერმინის არსის, ობიექტისა და მისი განვითარების შესახებ დაგროვილ მასალას. ყველაზე უფრო ცნობილია ფრიმენისეული განმარტება (ჩამოაყალიბა 1987 წელს), როცა იგი იკვლევდა იაპონიის ინოვაციურ განვითარებას (Freeman, 1987). ამ განმარტების მიხედვით, „ეროვნული ინოვაციური სისტემა ეს არის ინსტიტუტების ქსელი სახელმწიფო და კერძო სექტორებში. მათი აქტიურობა და ურთიერთშემოქმედება ქმნიან, იმპორტირებას და მოდიფიცირებას უკეთებენ და ავრცელებენ ახალ ტექნოლოგიებს.“ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფორმულირებაში ნათლად არ არის წარმოდგენილი ტერმინი „ცოდნა“. მთელი აქცენტი გადატანილია „ახალ ტექნოლოგიებზე, რომელთა მიმართ ცოდნა ბუნდოვნადაა წარმოდგენილი. გარდა ამისა, არ არის გამოკვეთილი ამ

ქსელის ეროვნული ასპექტი. აღნიშნული „ნაკლოვანებები“ გარკვეულწილად აღმოფხვრილია ლუნდვალის მიერ შემოთავაზებულ განმარტებაში: „ეროვნული ინოვაციური სისტემა - ეს არის ელემენტები და კავშირი მათ შორის, რომლებიც ურთიერთშემოქმედებენ ეკონომიკურად სასარგებლო ცოდნის წარმოების, გავრცელებისა და გამოყენების პროცესში. ეს ელემენტები განთავსებულია ან ფესვები აქვს გადგმული ეროვნული საზღვრების შიგნით“ (Lundvall, 1992). თუმცა აქ არ არის ნათლად გამოკვეთილი თუ რა არის „ეკონომიკურად სასარგებლო ცოდნა“.

ცოდნის ეკონომიკურ სარგებლიანობას ნელსონი ხედავს იმაში, რომ მისი გამოყენება შესაძლებელს ხდის უზრუნველყოფილი იქნას ინოვაციური საქმიანობის ეფექტიანობა (Nelson, 1993). მისი აზრით, ეროვნული ინოვაციური სისტემა ეს არის ეროვნული ინსტიტუტების სისტემა, რომელთა ურთიერთქმედება განსაზღვრავს ეროვნული ფირმების ინოვაციური საქმიანობის ეფექტიანობის. ამ განმარტების განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ ეროვნული ინოვაციური სისტემის ელემენტები არა მარტო განთავსებული არიან ეროვნულ საზღვრებში, არამედ წარმოადგენენ ეროვნულ ინსტიტუტებს.

ეროვნული ინსტიტუტების როლის დაზუსტება სცადეს **პატელმა და პავიტმა** (Patel, Pavit, 1994). მათ დაასაბუთეს, რომ ინოვაციური სისტემა შედგება ეროვნული ინსტიტუტებისაგან ყველა მისი მასტიმულირებელი სტრუქტურითა და კომპენტენციის დონით, თანაც განსაზღვრავს ტექნოლოგიური ცოდნის სისწრაფეს და მიმართულებას.

ამ მიმართულებით კვლევა აქვს ჩატარებული მეტკალფს (Mettcalfe, 1988). იგი ცდილობდა მოეცა ეროვნული ინოვაციური სისტემის სრულყოფილი განმარტება.

მისი აზრით, ეროვნული ინოვაციური სისტემა ეს არის სხვადასხვა ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელთაც ცალ-ცალკე და ურთიერთშემოქმედებით თავიანთი წვლილი შეაქვთ ტექნოლოგიების შექმნასა და გადაცემაში და უზრუნველყოფენ წინაპირობებს სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ჩამოყალიბებისათვის, რაც ცხადია, გავლენას ახდენს ინოვაციურ პროცესებზე. ეროვნული ინოვაციური სისტემა ეს არის სხვადასხვა ურთიერთდამოკიდებული ინსტიტუტების სისტემა, რომლებიც ქმნიან, ინახავენ და გადას-

ცემენ ცოდნას, დაოსტატებას და ადამიანის მიერ ისეთი პროდუქტების შექმნას, რომლებიც გამოიყენება ახალი ტექნოლოგიების შემუშავებისას (Mettcalfe. 1995). ამ მიდგომამ განვითარება ჰპოვა რიგი ავტორების შრომებში (ივანოვა, 2002, ბერგინოსკი, 2003).

შუმპეტერი ინოვაციებს იხილავს, როგორც გამოგონებათა კომერციალიზაციას და მათ ახალ კომბინაციას. ერთიმეორისაგან მიჯნავს ინოვაციების შექმნის პროცესებს და მათ დიფუზიას, მაგრამ ეროვნული ინოვაციური სისტემის მიდგომის მომხრეებმა მიიღეს და გაიზიარეს კონცეფცია, რომელიც ინოვაციების ცნებაში რთავს დიფუზიურ პროცესებს. **თანამედროვე გაგებით ეროვნული ინოვაციური სისტემა. ეს არის სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლიობა და მათი ურთიერთზემოქმედების მექანიზმები, რომელთა ჩარჩოებშიც ხორციელდება ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების შექმნის, შენახვის, გავრცელებისა და გამოყენების საქმიანობა (გოლიჩენკო, 2003).**

ეროვნული ინოვაციური სისტემის მიდგომაში არ გამოიყენება ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის ძირითადი დებულებები: ეკონომიკური აგენტის რაციონალური არჩევის შესახებ ჰიპოთეზა რომლის რეალიზაცია შეიძლება რისკიან ხასიათს ატარებდეს; იშვიათი რესურსების რაციონალურად გამოყენების პრინციპი (Lundvall, Jonnson 1994). ორგანიზაციის ქცევა ყალიბდება ინსტიტუტების, მათ შორის კანონმდებლობის, წესების, ნორმების, ჩვევების და ტრადიციების ზემოქმედების შედეგად. ეს ინსტიტუტები არეგულირებენ კავშირებსა და ურთიერთქმედებების, ინდივიდუუმებს, ჯგუფებსა და ორგანიზაციებს შორის და განსაზღვრავენ ინოვაციურ საქმიანობის მოტივებსა და წინააღმდეგობებს. ქვეყანების ტექნოლოგიურ შედეგებს შორის განსხვავება ლუნდვალის მიხედვით მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება იმ ინსტიტუციონალური გარემოს მახასიათებლებით, რომელშიც ჩართულია საწარმოები (Lundval et al., 2002). უფრო მეტიც, ინოვაციური სისტემის ინსტიტუციონალური მოწყობა არის ეროვნული ინოვაციური სისტემის ორიდან ერთი ფუნდამენტური თვისება. სწორედ იგი განსაზღვრავს, როგორ ინარმოება სისტემაში პროდუქცია, იქმნება ინოვაციები და მიმდინარეობს სწავლების პროცესი

(Lundval et al., 2002. გვ. 220). ეროვნული ინოვაციური სისტემის მეორე ფუნდამენტური ნიშანია მისი სტრუქტურა, რომელზეც დამოკიდებულია რა ინარმოება სისტემაში და კომპენტენციის რომელი დონეა მიღწეული.

ეროვნული ინოვაციური სისტემის კონცეფციაში სწავლების პროცესები ყურადღების ცენტრშია, რამდენადაც მათ გარეშე არ შეიძლება რეალიზებული იქნას ახალი ცოდნის წარმოების პროცესი ან გაერთიანდეს ცოდნის არსებული ანდა სხვა ელემენტები ახალ კომბინაციაში ახალი ინოვაციების შესაქმნელად. ინოვაციური წარმოების პროცესში სწავლებას აქვს ინტერაქტიური ხასიათი.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ კი ნეოკლასიკური ეკონომიკური აგენტები მათი რეპრეზენტატულობის გამო ფლობენ კომპენტენტურობის და სწავლების უნარიანობის თითქმის ერთ დონეს, ინოვაციური სისტემის კონცეფციაში ეს მახასიათებლები არათანაბრადაა განაწილებული აგენტებს შორის. ლუნდვალმა ინოვაციურ სისტემაში ჩართო სხვადასხვა სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების ქმედებები და მათი ურთიერთკავშირები (Lundvall 1992; 2007; Lundval et al., 2002). ამ ფაქტორებში მან შეიტანა, **ერთის მხრივ**, საერთო კულტურა, არსებული ფასეულობები და ინსტიტუტები, ხოლო **მეორეს მხრივ**, სწავლება, ინოვაციები, კონკურენტუნარიანობა. რაც უფრო მაღალია კულტურა და ნაკლებია კულტურული და ენობრივი განსხვავებები ქვეყანაში, მით უფრო ადვილია ინტერაქტიული გრძელვადიანი სწავლების ორგანიზება ეროვნული ინოვაციური სისტემის შიგნით.

უარყოფენ რა ეკონომიკური აგენტის მიერ რესურსების შერჩევის რაციონალურობას ინოვაციების შექმნისას, ალბერგის სამეცნიერო სკოლის ავტორები (ლუნდვალი და მისი თანამოაზრეები) ამტკიცებენ ინოვაციური სისტემის ავტორების კომუნიკაციური რაციონალურობის არსებობას. სწორედ ეს რაციონალურობა აღმოცენებულ მრავალმხრივ სისტემურ კავშირთან ერთად (დაფუძნებული ნდობასა და ლოიალურობაზე) უზრუნველყოფს მათი საქმიანობის გრძელვადიან ჰორიზონტებს და წარმატებულობას.

ეროვნული ინოვაციური სისტემა ყალიბდება სახელმწიფოს, მეწარმეების წარმომადგენლების, სამეცნიერო და შემოქმედებითი სფეროს

ძალისხმევის გაერთიანებით. (გოლიჩენკო, 2006). სახელმწიფო არა მარტო ქმნის სისტემის მუშაობის მართულ პირობებს (рамочные условия), არამედ მნიშვნელოვანწილად აყალიბებს სისტემის ელემენტების საქმიანობის მოტივაციურ საფუძველს, ეროვნული ინოვაციური სისტემის ბევრ ინსტიტუტსა და რესურსებს. (იხ.: ასევე ივანოვი. 2004), შესაძლებელს ხდის მის ხელმისაწვდომობას, გამოდის პროცესების კატალიზატორის როლში ეროვნულ ინოვაციურ სისტემაში, როგორც პარტნიორი, რომელიც ამცირებს ინოვაციურ რისკებს. (Soete et. al. 2010) სრულყოფილი ეროვნული ინოვაციური სისტემა აყალიბებს მეცნიერების, მრეწველობის და საზოგადოების ურთიერთობების, ურთიერთდამოკიდებულების სისტემას, რომელიც ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარებადამყარებულია ინოვაციებზე, ხოლო ინოვაციური განვითარების მოთხოვნები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს და ასტიმულირებს სამეცნიერო საქმიანობის განვითარების მნიშვნელოვან მიმართულებებს.

ეროვნული ინოვაციური სისტემის კვლევის

მეთოდოლოგიის განვითარება

ეროვნული ინოვაციური სისტემის კონცეფციის თეორიული საფუძვლების განვითარებას დიდი ძალისხმევა დასჭირდა. მაგრამ არის კი ყოველივე ეს საკმარისი ეროვნული ინოვაციური სისტემის კვლევების სრულფასოვანი მეთოდოლოგიის ჩამოყალიბების უზრუნველსაყოფად. **ერთის მხრივ**, საჭიროა ეროვნული ინოვაციური სისტემის შესწავლის მეთოდი, რომელიც დაფუძნებული იქნება მიკროდან მაკროდონეზე გადასვლაზე. (Lundvall 2007. გვ. 102), **მეორეს მხრივ**, არსებული მიდგომები მნიშვნელოვანწილად ფოკუსირდებიან მაკროდონის ინსტიტუტებზე და ნაკლებად მენარმეებზე, რომლებიც მოქმედებენ მიკრო დონეზე (Hekkert et al., 2007. გვ. 414). სხვა სიტყვებით, ეროვნული ინოვაციური სისტემების კონცეფციაში არ არსებობს მიკრო და მაკრო ხედები, რაც დამახასიათებელია ეკონომიკური კვლევების მეინსტრიმისათვის. ეროვნული ინოვაციური სისტემის ზოგიერთი საკვანძო პროცესების გაზომვის პრობლემა, მაგ., ინტერაქტიური სწავლება, გადაუჭრელი რჩება. ჯერჯერობით ვერ მოხ-

ერხდა ინდიკატორების სისტემის შექმნა, რომელიც შესაძლებელს გახდის სრულად იქნას დახასიათებული ინოვაციური სისტემის პროცესების დასაწყისი და დამთავრება. ამ პროცესებისა და მთლიანად სისტემის ეფექტიანობა.

ედკვისტის აზრით, მიკროდონეზე გადასვლისას ინოვაციური სისტემა განიხილება სხვა არაფერი, თუ არა ერთიანი, მთელი, ქვეპროცესების გამოყოფის გარეშე (Edquist, 2006. გვ. 186). ფაგერბერგი აღნიშნავს, რომ ჩვენი მოსაზრება – ორგანიზაციულ დონეზე ცოდნისა და ინოვაციების ერთად ფუნქციონირების შესახებ რჩება ფრაგმენტარული და მოითხოვს შესაბამის კონცეპტუალურ და გამოყენებითი ხასიათის კვლევებს (Fagerberg, 2006. გვ. 20). ზოგიერთ შრომაში ხაზგასმულია რომ მიდგომა ხშირად რჩება ძალზე აღწერილობითი ხასიათის მატარებელი (Fagerberg, 2006; Srholec, 2008; Yoon. Hyun, 2009; Guan, Chen, 2012) და არ იძლევა სწორ წარმოდგენს პოლიტიკის საჭირო ღონისძიებების შესახებ ეროვნულ ინოვაციურ სისტემაში (Lorentzen, 2009). მიეტინენი თვლის, რომ ეროვნული ინოვაციური სისტემის მიდგომა, ცუდადაა დაკავშირებული სისტემურ და დინამიურ აზროვნებასთან (Miettinen, 2013. გვ. 35). აღნიშნულ კრიტიკულ შენიშვნებს უნდა დაემატოს, რომ ნაშრომები ეროვნული ინოვაციური სისტემის სფეროში ხშირად გამიზნულია განვითარებული ქვეყნების პრობლემებისადმი (Lorentzen, 2009) და არ შეიცავენ განვითარებად ქვეყნებში ეროვნული ინოვაციური სისტემის შექმნის რეკომენდაციებს (Lundvall, 2007; Albuquerque, 2007).

ეროვნული ინოვაციური სისტემის კვლევების მეთოდოლოგიისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებში ბევრია საინტერესო ნაშრომი, რომლებიც ეძღვნება რეალურ ინოვაციური სისტემების პრობლემებსა და ნაკლოვანებებს (Carlsson, Jacobsson, 1997; Edquist et al., 1998; Jonson, Gregersen, 1994; Malerba, Orsenigo, 1997, Smith, 2000). ამ შრომებში შეიძლება ვიპოვოთ ეროვნული ინოვაციური სისტემის ინფრასტრუქტურული და ინსტიტუციონალური ჩაჯარდების ჩამონათვალი და მათი ანალიზი. ამ მხრივ საინტერესოა ის ნაშრომები, რომელთა ავტორები ცდილობენ განსაზღვრონ ეროვნული ინოვაციური სისტემის ფუნქციის დეტერმინანტი, რომელთა შეუსრულებლობა ნიშნავს ეროვნული ინოვაცი-

ური სისტემის ჩავარდნას (Edquist, 2006; Hekkert et. al., 2007; Wiczorek, Hekkert, 2012). ოღონდ ეს ფუნქციები ხშირად გამოიყურებიან როგორც ზედმეტად აბსტრაქტულები და გასაშუალებული საინტერესო ნაშრომები მიეძღვნა კვლევებისა და დამუშავებების კავშირების და ტექნოლოგიების შექმნის პროცესების კვლევას ცალკეული სამრეწველო დარგების (Van Looy et al., 2006) და ქვეყნების დონეზე (Choung, Hwang, 2000; Sun, Liu, 2010).

ერთის მხრივ, ყველა ზემოთაღნიშნულის მხედველობაში მიღებით, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ეროვნული ინოვაციური სისტემის კონცეფცია და მასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური მიდგომები შესაძლებელს ხდის ლიკვიდირებული იქნას თეორიის ბევრი ნაკლოვანება, რაც დამახასიათებელია თანამედროვე ეკონომიკური აზრის მეინსტრიმისათვის. **მეორის მხრივ**, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ დღეს ლიტერატურაში არ არსებობს ეროვნული ინოვაციური სისტემის ფუნქციონირების ანალიზის გამჭოლი იდეები, თუმცა ამ კონცეფციის განვითარების ჩარჩოებში აღმოცენდა ცალკეული ფასეულ პრაგმენტები. ეს შეზღუდვები (Edquist, 2006) აფერხებენ ეროვნული ინოვაციური სისტემის ბევრი კონცეპტუალური დებულების პრაქტიკაში გამოყენებას (OECD). კერძოდ, სტანდარტული მიდგომის არარსებობის გამო ლოგიკურად ეროვნული ინოვაციური სისტემის სწორი კვლევისას არ შეიძლება გამოყენებული იქნას ფაქტორთა შორის კავშირების მიზეზობრივ-შედეგობრივი ჯაჭვი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს სისტემის განვითარებაზე, სახელმწიფო პოლიტიკის ღონისძიებების შემუშავებაზე, რომელიც მიმართულია ამ ფაქტორების აღმოფხვრისაკენ (იხ. ასევე Edquist, 2011).

ამრიგად, ზემოთ განხილული იყო ეროვნული ინოვაციური სისტემის კვლევის მეთოდოლოგია, იგი, ერთის მხრივ, ითვალისწინებს კვლევების ზემოთმითითებულ ფასეულ შედეგებს, ხოლო მეორეს მხრივ, შესაძლებელს ხდის ეროვნული ინოვაციური სისტემის კონცეფციის გამჭირვალობას და უზრუნველყოფს მისი გამოყენების შესაძლებლობას ინოვაციური სისტემის პრაქტიკული კვლევებისათვის (Golichenko, 2011). ამ მეთოდოლოგიის ჩარჩოებში გამოიყენება კვლევის სტრუქტურულ-ობიექტური და ფუნ-

ქციონალური მეთოდები. პირველი გამოიყენება ეროვნული ინოვაციური სისტემის ობიექტების დეკომპოზიციის ამოცანების გადასაჭრელად, მეორე — ამ სისტემის და მისი ფაქტორების ეფექტიანობის ანალიზისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ შემოთავაზებული მეთოდები დამუშავებულია სტრუქტურული და ფუნქციონალური მიდგომის იდეის საფუძველზე (Nelson, 1993; Lundvall, 1992; Edquist, 2006; Hekkert et al., 2007; Jonson. 2001).

სტრუქტურულ-ობიექტურული სისტემური მიდგომის მიხედვით ეროვნული ინოვაციური სისტემა წარმოდგენილია ჰორიზონტალურ დონეზე ურთიერთდაკავშირებული სამი მაკრობლოკის სახით. ესენია: ბიზნეს-გარემო და ბაზარი; ახალი ცოდნის მწარმოებელი გარემო და ცოდნის გადაცემის მექანიზმები (არხები). აღნიშნული ბლოკების მდგომარეობისა და ფუნქციონირების შეფასებისათვის, ეროვნული ინოვაციური სისტემის ვიწრო ადგილების ძიება მაკროდონეზე, მოითხოვს ამ სისტემის პროფილის აგებას (გოლიშჩენკო, 2011). ძირითადი პრობლემების ახსნისათვის ინოვაციური სტრუქტურული პოლიტიკის, რომელთა გადაჭრა მიმართულია მოცემული ბლოკების მუშაობის გაუმჯობესებისაკენ მეზოდონეზე, საჭიროა მითითებულ მაკროსტრუქტურაში დეკომპოზიციის შედეგად გამოიყოს ეროვნული ინოვაციური სისტემის ქვესისტემები. ისინი შეიძლება დაჯგუფებული იქნას ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთი რომელიმე პრინციპის შესაბამისად:

- ორგანიზაციის სიდიდის კლასის მიხედვით (სიდიდის კლასში გაერთიანებულია საწარმოები, რომლებიც ერთმანეთთან ახლოს არიან წარმოებაში დასაქმებული პერსონალის რაოდენობის მიხედვით;
- გადამამუშავებელი საწარმოების ტექნოლოგიური ხარისხის მიხედვით;
- ორგანიზაციის საკუთრების კლასის მიხედვით;
- ქვეყნის რეგიონების ჯგუფში გაერთიანებული ეკონომიკური ოპერატორების მიხედვით.

ზემოთ მითითებული ფუნქციონალური მიდგომების შესაბამისად სტრუქტურული-ობიექტური დეკომპოზიციის ყოველი დონე შეიძლება დაიყოს ოთხ ქვედონეზე (სტრატი). პირველ სტრატში უნდა მოხდეს გარე გარემოს იდენტი-

ფიკაცია და ობიექტის მდგომარეობა ამ გარემოსთან მიმართ. მეორეში იკვლევენ ობიექტის საქმიანობის ეფექტიანობასა და შედეგიანობას. მესამეში შეისწავლება ობიექტის საქმიანობის ეფექტიანობისა და შედეგიანობის ფაქტორები. მეოთხეში იკვლევენ გარემოს ინსტიტუციონალურ მონყოლას.

შემოთავაზებული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს დებატების კონცეპტუალურ ჩარჩოებს პოლიტიკის ანდა სტრატეგიის საკითხებზე, ეროვნული ინოვაციური სისტემის ფუნქციონირების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. სტრუქტურულ-ობიექტური და ფუნქციონალური მეთოდების კომბინაციის გამოყენებისას ინოვაციური აქტივობის ფაქტორები შეიძლება გაანალიზდეს ბიზნეს-გარემოში და ახალი ცოდნის შემქმნელ სისტემაში, მრავალ ევროპულ ქვეყანაში, რუსეთში, აშშ-სა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ინდუსტრიულ-ეკონომიკებში. ცოდნის გადაცემის არხების კონცეფცია, მათი ფუნქციონირების აღწერა და ანალიზი შესაძლებელს ხდის გამოვლინდეს ნაკლოვანებები მათი რგოლების ფუნქციონირებაში, მოხდეს მიუწვდომელი ელემენტების იდენტიფიცირება და ჩამოყალიბდეს პოლიტიკის შესაბამისი ღონისძიებები. და ბოლოს, შემოთავაზებული მეთოდოლოგიის წარმატებით გამოყენებისა და განვითარებისათვის აუცილებელია არსებითად იქნას მოდიფიცირებული ინდიკატორების სისტემა და გაფართოვდეს მათი გაზომვისათვის მისაღები მონაცემთა ბაზები.

ეროვნული ინოვაციური სისტემის კომპონენტების ეფექტიანობის გაძლიერებისა და მისი აბსორბციული და ინოვაციური შესაძლებლობების აუცილებელია პოლიტიკური ინსტრუმენტების სისტემის კონცენტრირება. იგი მიმართულია უნდა იყოს ეროვნული ინოვაციური სისტემის ჩავარდნების ლიკვიდაციაზე ან შემცირებაზე.

პოლიტიკის სფეროები ყალიბდება შემდეგი ამოცანების გადასაჭრელად: ბიზნესის ინოვაციური აქტივობის გაძლიერება; დიფუზიისა და კოოპერაციის პროცესების გაძლიერება; მეცნიერების განვითარება და მისი ორიენტაცია ქვეყნის ინოვაციური განვითარების პრობლემების გადასაჭრელად. სფეროების შინაარსი საჭიროა შეესაბამებოდეს ქვეყნის განვითარების სტადიებს — რესურსულს, ინვესტიციურს და საკუთარ ინოვაციებზე დაფუძნებულს (Porter,

1990). პოლიტიკის მიმართულების განსაზღვრისადმი სტადიური მიდგომა და მისი რეალიზაციის ღონისძიებები შესაძლებელს ხდის სახელმწიფომ ზემოქმედება მოახდინოს აბსორბციონული პოტენციალის კო-ევოლუციის პროცესის განვითარებაზე, ეროვნული ინოვაციური სისტემის საწარმოთა ინოვაციური სიმძლავრეების გადიდებაზე (Castellacci, Natera, 2013).

საინვესტიციო სტადიაზე სახელმწიფო პოლიტიკა ხელს უწყობს რესურსული სტადიიდან ფაქტორების მობილიზაციიდან ტექნოლოგიურ ბაზარზე გადასვლას, პირველადი, იმპორტული ტექნოლოგიების გამოყენებისა და ათვისების მასშტაბების გადიდების, ასევე გამოშვებული პროდუქტების ინკრემენტალური გაუმჯობესების ხარჯზე (იხ.: ასევე პოლტეროვიჩი 2008). ამ პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია ეკონომიკური სტიმულების შემოღება ეროვნული საწარმოების აბსორბციული შესაძლებლობების გადიდებისათვის, მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციისა და გლობალური ცოდნის დიფუზიის გზით. საშუალო და უმაღლესი, ასევე პროფესიული განათლების მაღალი ხარისხი ასევე შეუწყობს ხელს განხორციელდეს ტექნოლოგიური აბსორბციის აუცილებელი პროცესები. აუცილებელია ჩამოყალიბდეს ტექნოლოგიური ბიძგის პოლიტიკა, კერძოდ, გარე სამყაროს მხრიდან არის იმის საშიშროება, რომ ქვეყანა, რომელიც წარმატებით უმკლავდება ინვესტიციური სტადიის მრავალი ფაზის წარმოქმნას, ვერ დაძლიოს იგი, ვერ შეძლოს საკუთარ ინოვაციებზე დაფუძნებულ სტადიაზე გადასვლა. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია ინვესტიციურ სტადიაზე შეიქმნას საჭირო ინსტიტუციონალური პირობები და რესურსული უზრუნველყოფა მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად. ეს იმას ნიშნავს, რომ საინვესტიციო სტადიაზე ჩამოყალიბდეს და განხორციელდეს იქნას შერეული სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება არა მარტო საინვესტიციო ფაზის მსვლელობაზე, არამედ მომავალ სტადიის გადასვლელად ინსტიტუტებისა და რესურსების შექმნაზე.

საკუთარ ინოვაციებზე დაფუძნებულ სტადიაზე, პოლიტიკა მიმართულია ეროვნული ინოვაციური სისტემის პოსტიმიტაციური მოდელის შექმნაზე, რომელსაც უნარი შესწევს შექმნას რადიკალურად ახალი პროდუქტები და პროცესები. ამ სტადიაზე განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში ადამიანური რესურსების სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების მხარდაჭერა, ასევე მაღალკვალიფიციური შრომის მოქნილი ბაზრის განვითარება. ამ სტადიაზე გრძელდება ტექნოლოგიური ბიძგის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია გაუნივთებელი ტექნოლოგიების და ორმაგი გამოყენების ტექნოლოგიების შექმნაზე. მთავრობამ უნდა ჩამოაყალიბოს საბაზრო ძალების მხარდამჭერი პოლიტიკა, სტიმულირების სქემის ჩათვლით, რომელიც ფოკუსირებულია ინოვაციური ციკლის დაბოლოებაზე. მნიშვნელოვანი ძალისხმევა გახდება საჭირო სახელმწიფო და სამეწარმეო კოოპერაციული კავშირების გასაძლიერებლად სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავების ჩატარების სფეროში, ამ სექტორების არანრფივი ურთიერთქმედების, მიმართულებით სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის სქემების განვითარების ჩათვლით.

დასკვნა

ცნება „ეროვნული ინოვაციური სისტემა“ ეკონომიკურ ლიტერატურაში პირველმა შემოიტანა კ. ფრიმენმა და განავითარა ბ.ა. ლუნდვალმა და რ. ნელსონმა³ (Lundvall B., 1992; Nelson R., 1993).

„ეროვნული ინოვაციური სისტემა, აღნიშნავს კ. ფრიმენი, ეს არის ეკონომიკური სუბიექტებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების (ნორმების, წესების) რთული სისტემა, რომლებიც მონაწილეობენ ახალი ცოდნის შექმნაში, შენახვაში, გავრცელებასა და ახალ ტექნოლოგიებად, პროდუქტებად და მომსახურებად გარდაქმნის პროცესში, რომელსაც მოიხმარს საზოგადოება“ (Freeman C., 1987);

ლუნდვალისა და ნელსონის კლასიკური განმარტების თანახმად ინოვაციები ეს არის კომპლექსური პროცესი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა მონაწილეებს — ფირმებს, ახალი ცოდნის მწარმოებლებს, ტექნოლოგიურ და ანალიტიკურ ცენტრებს, რომლებიც გაერთიანებულნი არიან მრავალრიცხოვანი ურთიერთკავშირებით და ამით ქმნიან ინოვაციურ სისტემას.

„ეროვნული ინოვაციური სისტემა, რუსი მეცნიერის ივანოვას პოზიციებიდან, — ეს არის ურთიერთდაკავშირებული ორგანიზაციების

³ ადრე გამოიყენებოდა ტერმინი — ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალი.

(სტრუქტურების) ერთობლიობა, რომლებიც დაკავებულნი არიან მეცნიერული ცოდნისა და ტექნოლოგიების წარმოების, კომერციული რეალიზაციით, ეროვნული საზღვრების ჩარჩოებში. ამავე დროს, ეროვნული ინოვაციური სისტემა სამართლებრივი, ფინანსური და სოციალური ხასიათის ინსტიტუტების კომპლექსია, რომლებიც უზრუნველყოფენ ინოვაციურ პროცესებს და აქვთ მყარი ეროვნული ფესვები, ტრადიციები, პოლიტიკური და კულტურული თავისებურებები (Ivanova H., 2001).

სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში უნდა გახდეს ეროვნული ინოვაციური სისტემის შექმნის აუცილებლობა⁴.

ეროვნული ინოვაციური სისტემა არის ინოვაციური საქმიანობის სუბიექტებისა და ობიექტების ერთობლიობა, რომლებიც ურთიერთზემოქმედებენ ინოვაციური პროდუქციის შექმნისა და რეალიზაციის პროცესში და ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის ფარგლებში, ინოვაციური სისტემის განვითარების სფეროში.

განიხილება ეროვნული ინოვაციური სისტემის სხვა უფრო ფართო განმარტებაც. ეს არის ურთიერთდაკავშირებული ორგანიზაციების (სტრუქტურების) ერთობლიობა, რომლებიც დაკავებულნი არიან მეცნიერული ცოდნისა და ტექნოლოგიების წარმოებითა და კომერციული რეალიზაციით, ეროვნული საზღვრების ფარგლებში, კერძოდ, კი მცირე და დიდ კომპანიებში, უნივერსიტეტებში, ლაბორატორიებში, ტექნოპარკებში, ინკუბატორებში და სამართლებრივი, ფინანსური და სოციალური ხასიათის ინსტიტუტების კომპლექსში. ისინი უზრუნველყოფენ ინოვაციურ პროცესებს, აქვთ მძლავრი ეროვნული ფესვები, კულტურული ტრადიციები, პოლიტიკური და კულტურული თავისებურებები.

⁴ ეროვნულმა ინოვაციურმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს ყველა დონის სახელმწიფო მართვის ორგანოების ძალისხმევის გაერთიანება, სამეცნიერო ტექნიკური სფეროსა და ეკონომიკის სამეწარმეო სექტორის ორგანიზება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიღწევათა დაჩქარებული გამოყენებისათვის ქვეყნის სტრატეგიული ეროვნული პრიორიტეტების რეალიზაციის მიზნით. (\$18. პოლიტიკის საფუძვლები).

საერთაშორისო პრაქტიკაში ადგილი აქვს შემდეგ განმარტებებს: ეროვნული ინოვაციური სისტემა ეს არის ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელიც განეკუთვნება სახელმწიფო და კერძო სექტორებს, რომლებიც ინდივიდუალურად და ურთიერთზემოქმედებით განაპირობებენ ახალი ტექნოლოგიების განვითარებასა და გავრცელებას კონკრეტული ქვეყნის საზღვრებში (National Innovation Systems, 1997).

ამრიგად, ეროვნული ინოვაციური სისტემა **ჯერ ერთი**, წარმოადგენს სამართლებრივი, ფინანსური და სოციალური ხასიათის ინსტიტუტების კომპლექსს, იმ ინსტიტუტების ერთობლიობა, ანუ პირობები და წესები, რომლითაც მოქმედებენ ორგანიზაციები; მისი ფუნქციონირების მიზანია ახალი ტექნოლოგიების, სიახლეების, მეურნეობრიობის ორგანიზაციის შემუშავება და გავრცელება კონკრეტული ქვეყნის ფარგლებში ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების სახით;

მეორე, ეროვნული ინოვაციური სისტემა, როგორც ღია სისტემა, წარმოდგენილია საკუთრების სხვადასხვა ფორმების მექანე ორგანიზაციების სახით, რომლებიც ეროვნული საზღვრების ჩარჩოებში. დაკავებულნი არიან მეცნიერული ცოდნის, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების და მათი კომერციალიზაციისათვის მომზადებით.

მესამე, ეროვნული ინოვაციური სისტემის, როგორც ღია სისტემის საქმიანობის შედეგია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების ბაზარზე ახალი ორგანიზაციების შესვლა და ადრე მოქმედი ფირმების იქედან გამოსვლა, და არავითარ შემთხვევაში ეს არ არის ბაზარზე მასიურად რეალიზებული ინოვაციური პროდუქცია.

მეოთხე, ეროვნული ინოვაციური სისტემის ორგანიზაციები, სუბიექტები ანუ უფრო ზუსტად, ამ სისტემის სუბიექტების შემადგენლობა, შეიძლება წარმოდგენილი იქნას მსხვილი კომპანიების სტრუქტურული ქვედანაყოფების სახით, რომლებიც აწარმოებენ მეცნიერულ ცოდნას, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს. ესენია უნივერსიტეტების ლაბორატორიები და კათედრები, აკადემიური ქვედანაყოფები, ტექნოპარკები, ინოვაციური მცირე საწარმოები, რომლებიც დაკავებულნი არიან ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების კომერციალ-

იზაციით. ასევე სამართლებრივი, ფინანსური და სოციალური ხასიათის ინსტიტუტების კომპლექსები რომლებიც უზრუნველყოფენ ინოვაციურ პროცესებს.

მეხუთე, ეროვნული ინოვაციური სისტემის საქმიანობის შედეგები წარმოადგენენ ეროვნული სიმდიდრის შემადგენელ ნაწილს, რომელიც აწარმოებს და აგროვებს მეცნიერულ ცოდნას, როგორც საზოგადოებრივ დოვლათს, სიკეთეს. ის იღებს არამატერიალური აქტივების სახეს და შეადგენს ეროვნული მონაპოვრის ნაწილს, აისახება სტრუქტურების ბალანსზე, მშპ-ში, ეროვნული სიმდიდრის ღირებულებით სტრუქტურაში. ეროვნული ინოვაციური სისტემის საქმიანობის შედეგი არ არის საკუთრივ ინოვაციების წარმოება მასიური ბაზრისათვის.

შესაბამისად, ეროვნული ინოვაციური სისტემა ეს არის ინსტიტუტების, წესების, პირობების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში ისეთი არამატერიალური აქტივების წარმოქმნას, რომლებიც, როგორც ეროვნული მონაპოვრის ნაწილი, ინოვაციების სახელწოდებითაა ცნობილი. მათი წარმოდგენა ხდება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების სახით, რომლებიც მზად არიან კომერციალიზაციისათვის.

ამრიგად, ზრდის ნეოკლასიკური თეორია შეიცავს რიგ საზოგადოებრივ და კერძო ხასიათის კონცეპტუალურ დებულებებს, რომლებიც ეკონომიკური განვითარების ანალიზისში არსებითად ზღუდავენ ინოვაციების საფუძველზე მათი გამოყენების შესაძლებლობებს. **ეროვნული ინოვაციური სისტემის კონცეფცია**, რომელიც აღმოცენდა 1980-1990-იანი წლები მიჯნაზე, შეიცავს დებულებებს, რომლებსაც შეუძლიათ აღმოფხვრას ნეოკლასიკური მეინსტრიმის ბევრი ნაკლოვანება, „თეთრი ლაქები“ და ადექვატურად ასახოს ინოვაციური პროცესები და მათი ფაქტორები.

ამასთან ერთად, ეროვნული ინოვაციური სისტემის ანალიზის **თეორიული ბაზის განვითარების მიმართულებით დიდი ძალისხმევის მიუხედავად**, ასეთი ანალიზის ერთიანი იდეა მოცემული კონცეფციის ჩარჩოებში ჯერ რეალიზებული არ არის. ხოლო შესაბამისი მიდგომები ჯერჯერობით მოსალოდნელ შედეგს არ

იდლევიან. ეს გარემოება საშუალებას არ იძლევა განისაზღვროს ფაქტორების სრული ნაერთი, რომლებიც უარყოფით გავლენას მოახდენენ პროცესების განვითარებაზე ეროვნულ ინოვაციურ სისტემაში და სახელმწიფო პოლიტიკის ღონისძიებების შემუშავებას ამ ფაქტორების აღმოფხვრაზე ანდა მათი მოქმედების ნივთიერებაზე მიმართული.

აუცილებელია განვითარდეს მეთოდოლოგია, რომელიც შეამცირებს ეროვნული ინოვაციური სისტემის მიდგომის კონცეპტუალურ საფუძვლებს და შესაძლებელს გახდის მის ეფექტიან გამოყენებას ინოვაციური სისტემის პრაქტი-

კული კვლევებისათვის. სტატიაში შემოთავაზებულია ისეთი მეთოდოლოგიის განვითარება, რომელიც დაფუძნებული იქნება ანალიზის სტრუქტურული, ობიექტური და ფუნქციონალური მეთოდების კომბინაციაზე. ჩვენი აზრით, ის შესაძლებელს გახდის მოიხსნას ბევრი ზემოთ მითითებული შეზღუდვა. სავარაუდოა, მომავალში საჭირო გახდება ეროვნული ინოვაციური სისტემის ანალიზის მეთოდოლოგიის მნიშვნელოვანი გაღრმავება და მისი შედეგების ტესტირება ინოვაციური აქტივობის პროცესებსა და ფაქტორების კვლევისას, ბიზნეს გარემოში ცოდნის წარმოების მიმართულებით.

ლიტერატურა/REFERENCES

- [1] **Aboody D., Lev B.** (2000). Information Asymmetry, R&D, and Insider Gains// *Journal of Finance*. Vol. 55, No 6. P. 2747-2766. doi:10.1111/0022-1082.00305.
- [2] **Aghion P., Howitt P.** (1992). A Model of Growth Through Creative Destruction // *Econometrica*. Vol. 60, No 2. P. 323-351.
- [3] **Bagrinovsky K. A., Bendikov M. A., Hrustalev Y. Y.** (2003). Mechanisms of Technological Development of Russian Economy: Meso- and Microeconomic Aspects. Moscow: Nauka.
- [4] **Carlsson B., Jacobsson S.** (1997). In Search of Useful Public Policies: Key Lessons and Issues for Policy Makers // *Technological Systems and Industrial Dynamics* / B. Carlsson (ed.). Dordrecht: Kluwer Academic Publishers. P. 299-315.
- [5] **Castellacci F, Natera J. M.** (2013). The Dynamics of National Innovation Systems: A Panel Co-Integration Analysis of the Co-Evolution Between Innovative Capability and Absorptive Capacity // *Research Policy*. Vol. 42, No 3. P. 579-594.
- [6] **Castellacci F., Grodal C., Mendonca S., Wibe M.** (2005). Advances and Challenges in Innovation Studies // *Journal of Economic Issues*. Vol. 39, No 1. P. 91 – 121.
- [7] **Choung J. Y., Hwang H.-R.** (2000). National Systems of Innovation: Institutional Linkages and Performances in the Case of Korea and Taiwan // *Scientometrics*. Vol. 48, No 3. P. 413-426.
- [8] **Ciqava I.** Innovation Economic. Tb.: GTU, 2013.
- [9] **David P., Foray D.** (1995). Assessing and Expanding the Science and Technology Knowledge Base // *STI Review*. No 16. P. 14-42.
- [10] **Dosi G.** (1982). Technological Paradigms and Technological Trajectories: A Suggested Interpretation of the Determinants and Directions of Technical Change // *Research Policy*. Vol. 11, No 3. P. 147-162.
- [11] **Dosi G.** (ed.) (1988). Technical Change and Economic Theory. London: Frances Pinter.
- [12] **Edquist C.** (2011). Design of Innovation Policy through Diagnostic Analysis: Identification of Systemic Problems (or Failures) // *Industrial and Corporate Change*. Vol. 20, No 6. P. 1725-1753.
- [13] **Edquist C., Hommen L., Johnson B., Lemola T., Malerba F, Reiss T., Smith K.** (1998). The ISE Policy Statement - the Innovation Policy Implications of the Innovations Systems and European Integration. Linköping: Linköping University.
- [14] **Edquist C.** (2006). Systems of Innovation: Perspectives and Challenges // Nelson R. R. & Mowery D. C., Fagerberg J. (eds.) *The Oxford Handbook of Innovation*. Oxford: Oxford University Press. P. 181-208.
- [15] **Etzkowitz H., Leydesdorff L.** (2000). The Dynamics of Innovation: from National Systems and “Mode 2” to Triple Helix of University Industry—Government Relations // *Research Policy*. Vol. 29, No 2. P. 109-123.
- [16] **Fagerberg J.** (2006). Innovation. A Guide to the Literature // Fagerberg J., Mowery D., Nelson R. (eds.) *Oxford Handbook of Innovation*. Oxford: Oxford University Press. P. 1-26.

- [17] **Fagerberg J., Sapprasert K.** (2011). National Innovation Systems: The Emergence of a New Approach // Science and Public Policy. Vol. 38, No 9. P. 669-679.
- [18] **Fagerberg J., Srholec M.** (2008). National Innovation Systems, Capabilities and Economic Development // Research Policy. Vol. 37, No 9. P. 1417-1435.
- [19] **Forrester J. W.** (1971). World Dynamics. Cambridge, MA: Wright-Allen Press.
- [20] **Freeman C.** (1987). Technology Policy and Economic Performance: Lessons from Japan. London; N. Y.: Pinter Publishers.
- [21] **Freeman C.** (1992). The Economics of Hope: Essays on Technical Change and Economic Growth. London: Pinter.
- [22] **Freeman C.** (1984). Prometheus Unbound // Futures. October. P. 490-500.
- [23] **Freeman C., Clark J., Soete L.** (1982). Unemployment and Technical Innovation. London: Pinter. **Freeman C.** (ed.) (1983). Long Waves in the World Economy. Kent: Butterworth.
- [24] **Golichenko O. G.** (1999). Economic Development under Conditions of Imperfect Competition: Multilevel Modeling Approaches. Moscow: Nauka. 1
- [25] **Golichenko O. G.** (2003). The National Innovation System of Russia and Main Directions of its Development // Innovatsii. No 6. P. 25–32.
- [26] **Golichenko O. G.** (2011) Basic Factors for Development of the National Innovation System: Lessons for Russia. Moscow: Nauka.
- [27] **Grossman G. M., Helpman E.** (1991). Innovation and Growth in the Global Economy. Cambridge, MA: MIT Press.
- [28] **Hauknes J., Nordgren L.** (1999). Economic Rationales of Government Involvement in Innovation and the Supply of Innovation-related Service // STEP Report series. No 199908.
- [29] **Hekkert M. P., Suurs R. A. A., Negro S. O., Kuhlman S., Smits R.E.H.M.** (2007). Functions of Innovation Systems: A New Approach for Analyzing Technological Change // Technological Forecasting and Social Change. Vol. 74, No 4. P. 413-432.
- [30] **Hekkert M. P., Suurs R. A. A., Negro S. O., Kuhlman S., Smits R.E.H.M.** (2007). Functions of Innovation Systems: A New Approach for Analyzing Technological Change // Technological Forecasting and Social Change. Vol. 74, No 4. P. 413-432.
- [31] **Ivanov V. V.** (2004). National Innovation System as Institutional Framework of Economy in Post-industrial Society // Innovatsii. No 5. P. 15-24.
- [32] **Ivanova N. I.** (2002). National Innovation Systems. Moscow: Nauka.
- [33] **Johnson A.** (2001). Functions in Innovation System Approaches / Paper presented at DRUID's Nelson-Winter Conference. Aalborg, Denmark.
- [34] **Lorentzen J.** (2009). Learning by firms: The Black Box of South Africa's Innovation System // Science and Public Policy. Vol. 36, No 1. P. 33-45.
- [35] **Lundvall B. A., Johnson B.** (1994). The Learning Economy // Journal of Industry Studies. Vol. 1, No 2. P. 23-42.
- [36] **Lundvall B.-A.** (ed.) (1992). National Systems of Innovation. Towards a Theory of Innovation and Interactive Learning. London: Pinter.
- [37] **Lundvall B.-A., Johnson B., Andersen E.S., Dalum B.** (2002). National Systems of Production, Innovation and Competence Building // Research Policy. Vol. 31, No 2. P. 213-231.
- [38] **Lundvall B. A.** (2007). National Innovation Systems - Analytical Concept and Development Tool // Industry and Innovation. Vol. 14, No 1. P. 95-119.
- [39] **Makarov V. L.** (2003). Knowledge Economy: Lessons for Russia // Vestnik Rossiiskoi Akademii Nauk. Vol. 73, No 5. P. 450-456.
- [40] **Makarov V. L., Varshavsky A. E., Kozyrev A. N.** (2004). Transition of Russia towards the Knowledge-based Economy // Makarov V. L., Varshavsky A. E. (lead authors) Innovation Management in Russia: The Problems of Strategic Management and Science and Technology Safety. Moscow: Nauka.
- [41] **Malerba F., Orsenigo L.** (1997). Technological Regimes and Sectoral Patterns of Innovative Activities // Industrial and Corporate Change. Vol. 6, No 1. P. 83 – 117.

- [42] **Martin B., Bell M.** (2011). Editorial: In Memory of Chris Freeman Founding Editor of Research Policy, 1971-2003 // Research Policy. Vol. 40, No 7. P. 895-896.
- [43] **Meadows D. H., Meadows D. L., Randers J., Behrens W. W.** (1972). The Limits to Growth. N.Y.: Universe Books.
- [44] **Metcalf S.** (1995). The Economic Foundations of Technology Policy: Equilibrium and Evolutionary Perspectives // Stoneman P. (ed.) Handbook of the Economics of Innovation and Technological Change. Oxford: Blackwell Publishers.
- [45] **Miettinen R.** (2002). National Innovation System: Scientific Concept or Political Rhetoric. Helsinki: Edita Prima.
- [46] **Nelson R. R.** (1993). National Innovation Systems: A Comparative Analysis. N.Y.: Oxford University Press.
- [47] **Nelson R., Winter G.W.** (1982). An Evolutionary Theory of Economic Change. Cambridge, MA: Harvard University Press.
- [48] **OECD** (2002). Dynamising National Innovation Systems. Paris: OECD.
- [49] **Patel P., Pavitt K.** (1994). The Nature and Economic Importance of National Innovation Systems // STI Review. No 14. P. 9-32.
- [50] **Perez C.** (1983). Structural Change and Assimilation of New Technologies in the Economic and Social Systems // Futures. Vol. 15, No 4. P. 357-375.
- [51] **Perez C.** (1985). Microelectronics, Long Waves, and World Structural Change: New Perspectives for Developing Countries // World Development. Vol. 13, No 3. P. 441-463.
- [52] **Porter M. E.** (1990). The Competitive Advantage of Nations. N.Y: The Free Press [რუს. пер.: Портер М. Е. Международная конкуренция. М.: Международные отношения, 1993.]
- [53] **Qoqiauri L., Qoqiauri N.**, Innovations. Tb.: GTU. 2015. Pg. 688.
- [54] **Sharif N.** (2006). Emergence and Development of the National Innovation Systems Concept // Research Policy. Vol. 35, No 5. P. 745 - 766.
- [55] **Shinn T.** (2002). The Triple Helix and New Production of Knowledge: Prepackaged Thinking in Science and Technology // Social Studies of Science. Vol. 32, No 4. P. 599-614.
- [56] **Smith K.** (1995). Interactions in Knowledge Systems: Foundations, Policy Implications and Empirical Methods // STI Review. No 16. P. 68-99.
- [57] **Smith K.** (2000). Innovation as a Systemic Phenomenon: Rethinking the Role of Policy // Enterprise & Innovation Management Studies. Vol. 1, No 1. P. 73-102.
- [58] **Solow R.** (1957). Technical Change and the Aggregate Production Function // Review of Economics and Statistics. Vol. 39, No 3. P. 312-320.
- [59] **Stern N.** (1991). The Determinants of Growth // Economic Journal. Vol. 101. P. 122-132.
- [60] **Sun Y., Liu F.** (2010). A Regional Perspective on the Structural Transformation of China's National Innovation System since 1999 // Technological Forecasting & Social Change. Vol. 77, No 8. P. 1311-1321.
- [61] **Uzawa H.** (1964). Optimal Growth in a two Sector Model of Capital Accumulation // Review of Economic Studies. Vol. 31. P. 117-124.
- [62] **Van Looy B., Debeckere K., Callaert J., Tijssen R., Van Leeuwen T.** (2006). Scientific Capabilities and Technological Performance of National Innovation Systems: an Exploration of Emerging Industrial Relevant Research Domains // Scientometrics. Vol. 66, No 2. P. 295-310.
- [63] **Wieczorek A. J., Hekkert M. P.** (2012). Systemic Instruments for Systemic Innovation Problems: A Framework for Policy Makers and Innovation Scholars // Science and Public Policy. Vol. 39, No 1. P. 74 - 87.
- [64] **Von Nanman.** 1945. Modell of Gaharal Egnilibriumll Reveich of Economic Studies. XXI
- [65] **Иванова Н.И.** Национальные инновационные системы. // Вопросы экономики. №7. 2001. с. 61.
- [66] **Е. Яковлева, Е. Владыкина,** «Инновационное общество», Неделя. №4589
- [67] **Кондратьев Н.Д.,** 1928. Опарин Д.И. Большие циклы конъюнктуры. М. с. 269
- [68] **Лыч Г.,** 2006. Иновационная экономика: реальность или миф? Директор. №2. с. 24
- [69] **Мильнер В.З.,** 2005. Теория организации. с. 294.
- [70] **Шумпетер И.,** 1939. Деловые циклы. с. 201

სოციალური მედიის მარკეტინგი როგორც მცირე ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობი ფაქტორი

SOCIAL MEDIA MARKETING AS A FACTOR FOR BOOSTING SMALL BUSINESS COMPETITIVENESS

გულიკო ქათამაძე,

ეკონომიკის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ირაკლი აბაშიძე,

ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

GULIKO KATAMADZE,

Ph.D. in economics,
Batumi Shota Rustaveli
State University
associate professor

IRAKLI ABASHIDZE,

Ph.D. student,
Batumi Shota Rustaveli State University

ანოტაცია

ინტერნეტ მარკეტინგის სახეობებს შორის სოციალური მედიის მარკეტინგი ერთ-ერთ ყველაზე უფრო ხელსაყრელ შესაძლებლობებს აძლევს მცირე ბიზნესს ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. სოციალური ქსელი არის სივრცე, სადაც დიდი და მცირე კომპანიებისთვის მოქმედებს თამაშის, პრაქტიკულად, ერთნაირი წესები. მომხმარებელს საშუალება აქვს არჩევანი გააკეთოს უამრავ ალტერნატივას შორის. ამიტომ, თანამედროვე ბაზრებზე მცირე ბიზნესისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია სოციალური მედიის ეფექტურად გამოყენება. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა შესაბამისი კომპეტენციების ფლობა და სტრატეგიის შემუშავება. სტატიაში განხილულია სოციალური მედიის მარკეტინგის ძირითადი პრინციპები, შესაძლებლობები და გამოწვევები მცირე ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლების თვალსაზრისით. ასევე, მაგალითის სახით, მოყვანილია ავტორების მიერ ჩატარებული მარკეტინგული კამპანია სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“. დასკვნით ნაწილში შემუშავებულია პრაქტიკული რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: ინტერნეტ მარკეტინგი, სოციალური მედია, მცირე ბიზნესი, კონკურენტუნარიანობა

ABSTRACT

Amongst different types of internet marketing, social media marketing gives one of the most favorable opportunities to small business for boosting its competitiveness. Social network is a space where equal opportunities are available for small and big companies. Consumers are able to make choices between numerous alternatives. Thus, it is vitally important for small business to utilize social media effectively. To achieve this goal, it is necessary to possess relevant competences and elaborate strategy. Basic principles, opportunities and challenges of social media marketing are discussed in this article in terms of supporting small business competitiveness. Besides, a marketing campaign conducted by the authors in Facebook is provided as an example. Practical recommendations are suggested as a conclusion in the final part.

Keywords: Internet marketing, social media, small business, competition.

შესავალი

ინტერნეტი, როგორც მარკეტინგული საკომუნიკაციო არხი განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა მაშინ, როცა 2005 წელს აქტუალური გახდა Web 2.0-ის კონცეფცია. სოციალური

ქსელების კომერციული დანიშნულებით მასობრივი გამოყენების დასაწყისი სწორედ ამ პერიოდთანაა დაკავშირებული. ხშირად სოციალურ ქსელებს აიგივებენ კიდეც Web 2.0-თან, თუმცა იგი სხვა პლატფორმებსაც მოიცავს. ინტერნეტი გახდა სივრცე, სადაც მცირე ბიზნესს მიეცა შესაძლებლობა კონკურენცია გაუწიოს დიდი მარკეტინგული ბიუჯეტის მქონე ბრენდებს. სოციალური ქსელები, შეიძლება ითქვას, თანაბარ შესაძლებლობებს აძლევს პატარა და მსხვილ კომპანიებს წარმართონ მარკეტინგული კამპანიები, რის შედეგადაც შესაძლებელია სხვადასხვა სახის კომერციული სარგებლის მიღება: ახალი კლიენტების მოზიდვა, გაყიდვების ხელშეწყობა, ბრენდის ცნობადობის მხარდაჭერა და ა.შ. ამ პროცესში მხოლოდ მსხვილი მარკეტინგული ბიუჯეტი არ განაპირობებს წარმატებას. პატარა კომპანიები კონკურენციას უწევენ დიდ ბრენდებს ისეთი რესურსების ხარჯზე, როგორებიცაა ორიგინალური იდეები, მომხმარებელთან კომუნიკაციის მაღალი სტანდარტები, კვალიფიციური კადრები და სოციალური მედიის მარკეტინგის პრინციპების საფუძვლიანი ფლობა. სოციალური მედია, ერთგვარად, არის დაბალფასიანი მარკეტინგული ინსტრუმენტი, რომელიც თავის თავში მოიცავს ტექნოლოგიებსა და სოციალურ ინტერაქციას [1. გვ., 3].

სოციალური ქსელების განვითარების შედეგად მსხვილი ბრენდებიც და პატარა კომპანიებიც აღმოჩნდნენ რეალობის წინაშე, სადაც მომხმარებელი ერთგვაროვანი აუდიტორიის პასიური წევრიდან გადაიქცა აქტიურ ინდივიდად, რომელსაც სოციალური ქსელების სახით გააჩნია მძლავრი ბერკეტი იმისათვის, რომ გავლენა მოახდინოს ბრენდის რეპუტაციაზე. ამ პროცესში მომხმარებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები არიან არა უბრალოდ დამკვირვებლები, არამედ მონაწილეები [2. გვ., 11]. ინტერაქციის დონე იმდენად მაღალია, რომ კომპანიები იძულებულნი ხდებიან მუდმივად აკონტროლონ სოციალურ მედია სივრცეში მიმდინარე პროცესები და აწარმოონ განუწყვეტელი კომუნიკაცია მომხმარებელთან. რაც უფრო მაღალია კომპანიის აქტიურობის დონე სოციალურ ქსელებში, მით უფრო დიდია შესაძლებლობები და, მეორეს მხრივ, მაღალია რისკები. ეს პრინციპი ვრცელდება თანაბრად მსხვილ ბრენდებზეც და მცირე ბიზნესზეც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის მომხმარებ-

ბლის აღქმაში ბრენდები დიდწილად წარმოდგენილი არიან სწორედ სოციალური მედიის მეშვეობით. აქედან გამომდინარე, სოციალური მედიის მარკეტინგის უგულებელყოფა ან არაჯეროვანი მართვა კონკურენტუნარიანობის დაქვეითების ერთ-ერთ წინაპირობად შეიძლება ჩაითვალოს. სტატიის მიზანსაც წარმოადგენს სოციალური მედიის მარკეტინგის განხილვა კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობის თვალსაზრისით.


საქართველოში სოციალური მედიის მარკეტინგს აქტიურად მიმართავენ უამრავი დიდი თუ პატარა კომპანია. ეს ის კომპანიებია, რომლებმაც გააცნობიერეს სოციალური მედიის შესაძლებლობები და დაუბოლოებელი კიდეც კომერციულ სარგებელს. თუმცა, კომპეტენციის დონე ქართულ კომპანიებს შორის ხშირად რადიკალურად განსხვავდება. არიან კომპანიები, რომლებიც სოციალური მედიის მარკეტინგს მართავენ უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად და არიან კომპანიები, რომლებიც ამას დილეტანტურ დონეზე აკეთებენ. რაც შეეხება პლატფორმებს, მომხმარებლების რაოდენობით და აქტიურობით, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, საქართველოშიც „ფეისბუქი“ დიდი უპირატესობით ღიადობს. „ფეისბუქის“ პოტენციური აუდიტორია საქართველოში 1,9 მილიონ ადამიანს შეადგენს [3. გვ., 38]. აქედან გამომდინარე, პერსპექტივა სწრაფად მზარდია.

შესაძლებლობები, კონკურენცია და გამოწვევები. ისევე როგორც ინტერნეტ მარკეტინგის სხვა სახეობები, სოციალური მედიის მარკეტინგიც მუდმივად ვითარდება. მაგალითად, საზოგადოებასთან ურთიერთობის პოლიტიკა მუდმივად იცვლება სოციალური ქსელების განვითარების ზემოქმედების შედეგად, რაც, თავის მხრივ, ცვლის ბიზნესის დაგეგმვის პროცესსაც [4. გვ., 1]. იცვლება და იხვეწება პროგრამული შესაძლებლობებიც, თუმცა უცვლელი რჩება ის ძირითადი ასპექტები, რომლებიც ახასიათებს არა მარტო სოციალური მედიის მარკეტინგს, არამედ ზოგადად ინტერნეტ მარკეტინგს. მაგალითად, ზუსტი სეგმენტაცია და მიზნობრივი ბაზრის შერჩევა სპეციფიკური კრიტერიუმების შესაბამისად. მცირე ბიზნესისთვის სოციალური მედია ხელსაყრელი სივრცეა სასურველი კატეგორიის აუდიტორიის მოსაზიდად. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ რეკლამის ფასი სოციალურ მედიაში გაცილებით დაბალია, ვიდრე მედიის სხვა

სახეობებში [5, გვ., 343]. ასეთი ვითარება კი მცირე ბიზნესს საშუალებას აძლევს დიდი მარკეტინგული ბიუჯეტის გარეშე ჩაატაროს კამპანიები და იბრძოდეს ბაზარზე დამკვიდრებისთვის. სანამ დაიწყება უშუალოდ სარეკლამო კამპანია ან სოციალური მედიის მეშვეობით ნებისმიერი სხვა მარკეტინგული ღონისძიება, „ფეისბუქი“ კომპანიებს საშუალებას აძლევს წინასწარ შეაფასონ პოტენციური ბაზარი გეოგრაფიული მდებარეობის, დემოგრაფიული მონაცემების, ინტერესების თუ ქცევითი თავისებურებების მიხედვით. თავად სოციალურ ქსელში ინტეგრირებული ანალიტიკური პროგრამული უზრუნველყოფა ფასდაუდებელ ინფორმაციას იძლევა სეგმენტაციის, მიზნობრივი ბაზრის შერჩევისა და შემდგომი კომუნიკაციის წარმოებისთვის. ილუსტრაციაზე (ნახ.1) ნაჩვენებია ბათუმისა და მის შემოგარენ ტერიტორიებზე მცხოვრები „ფეისბუქ“ მომხმარებლების მონაცემები. გარდა დემოგრაფიული მაჩვენებლებისა, შესაძლებელია დადგენა თუ რა ტიპის მოწყობილობებს მოიხმარს აუდიტორიის ესა თუ ის კატეგორია (კომპიუტერი, პლანშეტი, სმარტფონი), თემატიკის მიხედვით რომელი გვერდები აქვთ მოწონებული და ა.შ. მცირე ბიზნესისთვის ეს ბაზრის ერთგვარი უფასო კვლევაა კონკურენციის თვალსაზრისით, რადგან შესაძლებელია დადგენა თუ რომელი პოტენციური კონკურენტის მომხმარებლები შეადგენენ სასურველ მიზნობრივ აუდიტორიას. ეს პროგრამული უზრუნველყოფა ერთნაირად ხელმისაწვდომია როგორც მსხვილი კომპანიებისთვის, ასევე მცირე ბიზნესისთვის, სრულიად უსასყიდლოდ.

არანაკლებ მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა ევბ ანალიტიკა ანუ მარკეტინგული ინფორმაციის მართვის შესაძლებლობა ინტერნეტ სივრცეში. მისი მეშვეობით შესაძლებელია შესაბამისი საზომი კრიტერიუმების და შედეგების მთავარი ინდიკატორების (KPI - key performance indicator) წინასწარ განსაზღვრა [6, გვ., 3]. გარდა ამისა, ინტერნეტ ანალიტიკის მეთოდოლოგია შესაძლებლობას იძლევა კომპანიამ მიიღოს ამომწურავი სტატისტიკური და ხარისხობრივი ინფორმაცია მიმდინარე თუ ჩატარებული კამპანიების შესახებ. მიღებული ინფორმაცია მრავლისმომცველია და საშუალებას იძლევა მომდევნო კამპანიები დაიგეგმოს მიღებული მონაცემების გათვალისწინებით, შედეგების გაუმჯობესებისა და ხარჯების ოპტიმიზაციისთვის. სოციალური მედიის ანალიტიკის მთავარი ღირსება კი ის არის, რომ არ არსებობს დამატებითი პროგრამული უზრუნველყოფის შეძენის აუცილებლობა. მაგალითად, „ფეისბუქს“ მსგავსი ფუნქცია ინტეგრირებული აქვს გვერდების მართვის პანელში, სადაც გვერდის ადმინისტრატორი ლეულობს და აანალიზებს უამრავი სახის მონაცემებს: სტატისტიკას აუდიტორიის შესახებ, გამოხმაურებების და გაზიარებების ანგარიშებს და ა.შ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შესაძლებელია ღირებული ინფორმაციის მიღება აუდიტორიის ქცევითი თავისებურებების შესახებ და ანალიტიკური მონაცემების საფუძველზე გარკვეული ტენდენციების პროგნოზირება.

მცირე ბიზნესისთვის ხელსაყრელი შესაძლებლობის თვალსაზრისით განსაკუთრებით



ნახ. 1 - „ფეისბუქის“ დემოგრაფიული მაჩვენებლები ბათუმის ტერიტორიაზე

უნდა აღინიშნოს დაბალი დანახარჯები, რაც სოციალურ ქსელში მარკეტინგული კამპანიის ჩასატრებლად საჭირო. მართალია, მსხვილ კომპანიას შეუძლია გაცილებით მეტი თანხები გამოიყოს სოციალური მედიის მარკეტინგისთვის, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი უპირატესობა შეიძლება აღმოჩნდეს არა თანხების ოდენობა, არამედ სოციალური მედიის მარკეტინგის მართვის და შესაბამისი სამ-

იზნე აუდიტორიის სწორად შერჩევის უნარი. ამიტომ, თუნდაც დაბალი ბიუჯეტით, კომპანიას შეუძლია მიაღწიოს სასურველ შედეგს და კონკურენცია გაუწიოს მსხვილ კომპანიებს. დაბალი დანახარჯი მარკეტინგში კი, თავის მხრივ, განაპირობებს უკუგების მაღალ მაჩვენებელს მარკეტინგულ ინვესტიციაზე (ROMI - return on marketing investment). ასევე, სოციალური ქსელების პროგრამული სპეციფიკა საშუალებას იძლევა ჩატარდეს მოქნილი კამპანია ანუ ვითარების შესაბამისად შეიცვალოს ისეთი პარამეტრები როგორებიცაა სარეკლამო კომუნიკაციის კონკრეტული დროის მონაკვეთი, ინტენსივობა, შერჩეული სამიზნე აუდიტორიის დემოგრაფიული მონაცემები და უამრავი სხვა. ცალკე უნდა აღინიშნოს სოციალური მედიის შესაძლებლობა მკაფიოდ განისაზღვროს კამპანიის მიზანი. შესაძლებელია წარმართოს შესყიდვის თითოეული ფაზისთვის შესაბამისი კამპანია, ეს იქნება საჭიროების გაცნობიერება, ინფორმაციის მოძიება, ალტერნატივების შედარება, შესყიდვა თუ შესყიდვის შემდგომი ფაზა. ამ მხრივ, თანამედროვე მარკეტინგული კომუნიკაციებში ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა კონტენტ მარკეტინგია. სოციალური ქსელები კი კონტენტ მარკეტინგისთვის ხელსაყრელ პლატფორმას წარმოადგენს.

სოციალური ქსელებისთვის გამოყენებული მონაცემების მრავალფეროვნებაც შეიძლება ჩაითვალოს სოციალური მედიის მარკეტინგის ერთ-ერთ მთავარ უპირატესობად. იქედან გამომდინარე, რომ მომხმარებლების აბსოლუტური უმრავლესობა სოციალურ ქსელებს მოიხმარს რამდენიმე სახეობის მონაცემებისა და მაღალი ინტენსივობით, შესაძლებელია მომხმარებელთან კომუნიკაციის შენარჩუნება, პრაქტიკულად, ყველგან და ყოველთვის. ეს განსაკუთრებით ეხება სმარტფონებს, რომლის მოხმარების ინტენსივობა ბოლო ათწლეულის განმავლობაში სწრაფი ტემპებით იზრდება და ტენდენცია კვლავ გრძელდება.

ცალკე განხილვის საგანი შეიძლება იყოს ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების მართვის შესაძლებლობები. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ სოციალური მედიის მარკეტინგი არის ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი და სხვა კომპონენტების

უგულვებელყოფა დაუშვებელია. რეკლამაც, საზოგადოებასთან ურთიერთობაც, გასაღების სტიმულირებაც და გაყიდვებიც შესაძლებელია მნიშვნელოვანი დოზით იყოს წარმოდგენილი სოციალური მედიის სახით. მცირე ბიზნესისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელია სოციალური მედია არხების ამ დანიშნულებით გამოყენება, რადგან მომხმარებელთა აუდიტორიის მცირე მასშტაბის გამო არ არსებობს დამატებითი თანხების გამოყოფის აუცილებლობა. ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების ელემენტებიდან განსაკუთრებულად ეფექტური შეიძლება აღმოჩნდეს რეკლამა. ამ მიმართულებით შესაძლებელია როგორც ფასიანი სარეკლამო კამპანიის წარმართვა, ასევე ვირუსული მარკეტინგის მეთოდოლოგიის გამოყენება, რაც ფინანსურ ხარჯებს მინიმუმამდე ამცირებს ან სულაც გამორიცხავს. მიღებული შედეგი კი შესაძლოა აღმოჩნდეს ხელსაყრელი საწინდარი ბაზარზე საკუთარი წილის გაზრდისთვის და შესაბამისად, მსხვილი კომპანიებისთვის კონკურენციის განხილვისთვის.

როგორც ზემოთ განხილული შესაძლებლობებიდან ჩანს, მარკეტინგულ კომუნიკაციებში დღეისათვის არსებული მიდგომები და მეთოდოლოგია რადიკალურად განსხვავდება რამდენიმე ათწლეულის წინანდელი ვითარებისგან. ინტერნეტ ტექნოლოგიების განვითარებამ დიდ და პატარა კომპანიებს, პრაქტიკულად, ერთნაირი თამაშის წესები დაუწესა. ეს განსაკუთრებით ეხება სოციალურ მედიას. უფრო მეტიც, სოციალური მედიის მარკეტინგი მცირე ბიზნესისთვის უფრო ხელსაყრელ მარკეტინგულ არხად შეიძლება ჩაითვალოს, ვიდრე მსხვილი კომპანიებისთვის, რადგან ამ გზით შესაძლებელია უფრო ლოკალური და პერსონალიზებული კომუნიკაციის წარმოება, ვიდრე მომხმარებელთა ფართო აუდიტორიის შემთხვევაში. თანამედროვე მარკეტინგში კი პერსონალიზებული კომუნიკაცია უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მომხმარებელთა კეთილგანწყობის და დადებითი რეპუტაციის მოსაპოვებლად. თუმცა, ყველაზე მომგებიან პოზიციაში მაინც მომხმარებლები რჩებიან. მათ თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა ეძლევათ. ამ პროცესზე გავლენას ახდენს ერთი მხრივ მსხვილი კომპანიების ბრენდის ავტორიტეტი, ხოლო მეორეს მხრივ პატარა კომპანიების ექსკლუზიური შეთავაზებები და

მაქსიმალურად პერსონალიზებული კომუნიკაცია. აქტიური და სწორი კომუნიკაციის შემთხვევაში პატარა კომპანიებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე, რისთვისაც სოციალური მედიის მარკეტინგი ერთ-ერთი მძლავრი იარაღია. ამისათვის არსებობს სამი ძირითადი სტრატეგია, რომელთა გამოყენებაც სოციალური ქსელების მეშვეობითაა შესაძლებელი: 1. პუბლიკაციების ეფექტურობის მუდმივი მხარდაჭერა სოციალურ მედიაში; 2. პუბლიკაციების ეფექტურობა, თავის მხრივ, იწვევს მიზნობრივი აუდიტორიის ზრდას; 3. ფასიანი პუბლიკაციები და კომპანიის გვერდის რეკლამირება [7. გვ., 15]

იქედან გამომდინარე, რომ სოციალურ მედიაში კომპანიის შესახებ მნიშვნელოვანი მოცულობის ინფორმაცია იყრის თავს, ეს არის შეუფასებელი ინსტუმენტი კონკურენტული დაზვერვისთვის. [8. გვ. 6]. ბევრი კომპანია გაცილებით მეტ ინფორმაციას იღებს ინტერნეტიდან, ვიდრე თვითონ განათავსებს ელექტრონულ ქსელში. ინტერნეტს ისინი საკუთარი მარკეტინგული კვლევების ჩასატარებლად იყენებენ. ბაზრების შესახებ ასეთი ინფორმაციის ფლობა კი, მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს [9. გვ., 309] ასეთი შესაძლებლობა, პირველ რიგში სწორედ მცირე კომპანიებისთვისაა ხელსაყრელი. მათ შეუძლიათ მუდმივად ადევნონ თვალ-ყური მსხვილი კონკურენტების მარკეტინგულ ღონისძიებებს სოციალურ მედიაში და გამოიყენონ შესაბამისი ანალიტიკური დასკვნების გასაკეთებლად. მეორეს მხრივ, თავად დიდი კომპანიები ასეთ შესაძლებლობას, გარკვეულ დონეზე, მოკლებულნი არიან, რადგან მცირე კომპანიების დაბალი ცნობადობიდან და მათი სიმრავლიდან გამომდინარე, მსხვილი კომპანიის მარკეტინგული სამსახურისთვის რთულია მუდმივი დაკვირვების წარმოება. ასეთი ტიპის მარკეტინგული დაზვერვა შეიძლება მოიცავდეს ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა ბიზნეს სტრატეგიები, მიზნობრივი სეგმენტების ტიპები, მომხმარებელთა ქცევითი თავისებურებები და ა.შ. ეს მცირე ბიზნესს უზრუნველყოფს კონკურენტული დიფერენციაციის შესაძლებლობით [10. გვ., 125].


სოციალურ მედია სივრცეში მცირე ბიზნესისთვის არსებული შესაძლებლობების გარდა არსებობს რისკები და საფრთხეებიც. მართა-

ლია, მცირე კომპანიების ცნობადობა დიდ ბრენდებთან შედარებით დაბალია და რეპუტაციის რისკიც შესაბამისად უფრო მცირეა, მაგრამ მეორეს მხრივ, მსხვილ ბრენდებს უფრო შესწევთ უნარი, გაუმკლავდნენ კრიზისის საზოგადოებასთან ურთიერთობაში. ბრენდის ღირებულება და წარსულში მოპოვებული რეპუტაცია ხშირად ერთგვარ იმუნიტეტს წარმოადგენს დიდი კომპანიებისთვის. პატარა კომპანიებისთვის კი, მცირე მასშტაბის კრიზისიც შესაძლოა მძიმე შედეგების მომტანი აღმოჩნდეს. ამიტომ, ანტიკრიზისული სტრატეგიის შემუშავება ისევე მნიშვნელოვანია პატარა კომპანიებისთვის, როგორც მსხვილი ბრენდებისთვის. განსაკუთრებით სოციალურ მედია სივრცეში, სადაც ნებისმიერი პროდუქტი ან თავად კომპანია იმყოფება მუდმივი რისკის ქვეშ მარცხი განიცადოს სხვადასხვა გადაცდომის, შეცდომის ან კონკურენტის მიერ მიღებული ზომების შედეგად. სოციალურ მედიაში აუდიტორიის განწყობისა და განხილვებზე მუდმივი დაკვირვება რეპუტაციის რისკის დაზღვევის უმთავრესი წინაპირობაა. ამისათვის აუცილებელია ონლაინ რეპუტაციის მართვის (ORM - online reputation management) მეთოდოლოგიისა და სტრატეგიის ფლობა. განსაკუთრებით ჭებ 2.0-ს პირობებში, სადაც ერთ ცალკეულ მომხმარებელსაც კი შეუძლია ხმა მიანვდინოს აუდიტორიის ფართო მასებს და სერიოზული ზიანი მიაყენოს კომპანიის რეპუტაციას. შესაბამისად, სოციალურ მედია სივრცეში ბრენდი იქცა საკმაოდ მონყვლად არამატერიალურ აქტივად.

მაგალითის განხილვა. სტატიის ავტორების მიერ ჩატარებული იქნა 10 დღის ხანგრძლივობის სარეკლამო კამპანია „ფეისბუქის“ მეშვეობით. რეკლამირებულ პროდუქტს წარმოადგენდა ქალთა სილამაზის სალონის მომსახურება. სარეკლამო პუბლიკაციაში დეტალურად იყო აღწერილი მომსახურების სახეობები, ფასები და საკონტაქტო მონაცემები. სამიზნე აუდიტორიის შერჩევისას განისაზღვრა პოტენციური მომხმარებლების კატეგორია. კერძოდ, ფეისბუქის ქალი მომხმარებლები 18-დან 65 წლის ჩათვლით. რაც შეეხება სხვა პარამეტრებს, ბიზნესის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა გეოგრაფიული დამიზნება. „ფეისბუქის“ რეკლამის მართვის პანელში მითითებული იქნა ქალაქი ბა-

თუმი და მისი შემოგარენი დაახლოებით 40 კილომეტრის რადიუსში. რაც შეეხება სარეკლამო ბიუჯეტს, იგი შეადგენდა 100 აშშ დოლარს, რაც განისაზღვრა ყოველდღიურად გასახარჯი მაქსიმუმ 10 დოლარით.

რეკლამის ჩაშვების პირველივე დღიდანვე რამდენიმეჯერ მოიმატა ყოველდღიური სატელეფონო ზარები და შეტყობინებები „ფეისბუქში“. კონტაქტზე გამოსულ მომხმარებელთა დიდი ნაწილი წინასწარ ეწერებოდა სალონის მომსახურების მისაღებად. რაც შეეხება თავად სარეკლამო პუბლიკაციის სტატისტიკურ მონაცემებს, წვდომამ (Reach) შეადგინა ბათუმში მცხოვრები „ფეისბუქის“ მომხმარებელი 29800 ქალი, ინტერაქციამ (Engagement) კი 1131 (რეაქციები, კომენტარები, გაზიარებები, ბმულზე დაწკაპუნებები) (ნახ. 2). გვერდის მონონებების ანუ პოტენციური აუდიტორიის რაოდენობა რეკლამის ჩაშვებიდან მხოლოდ 12 დღის განმავლობაში 31%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ სარეკლამო პუბლიკაცია არ გავრცელებულა არც ერთ მამაკაცზე, რითაც თავიდან იქნა აცილებული ფუჭი ხარჯი.



ნახ. 2 - „ფეისბუქში“ ჩატარებული კამპანიის სტატისტიკა

თუნდაც ასეთი პატარა მასშტაბის სარეკლამო კამპანიიდან ნათლად ჩანს, რომ მცირე ბიზნესისთვის, შესაბამის პროდუქტზე მოთხოვნის არსებობის პირობებში, ყოველთვის მოიძებნება ნიშა ადგილობრივ ბაზარზე. სოციალური მედია მარკეტინგი (ამ შემთხვევაში „ფეისბუქი“) შესანიშნავ საშუალებას იძლევა ჩატარდეს ლოკალური მასშტაბის მარკეტინგული კამპანია, რომელსაც კომერციული წარმატების მოტანაც

შეუძლია და ცნობადობის გაზრდაც ადგილობრივ ბაზარზე. მართალია, ბათუმში მოქმედებს სხვა უფრო დიდი და პრესტიჟული სილამაზის სალონები, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ უფრო მცირე მასშტაბის დაწესებულებებს არ შეუძლიათ მათთვის კონკურენციის გაწევა. ბაზარი შედგება მრავალი სეგმენტისგან, მათ შორის საფასო სეგმენტებისგან. შესაბამისად, სოციალურ მედიაში სწორად შერჩეულ აუდიტორიას და კომპეტენტურად დაგეგმილ მარკეტინგულ კამპანიას შეუძლია მცირე ბიზნესის კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი ხელშეწყობა.

დასკვნა

სხვა ასპექტებთან ერთად, სოციალური მედია მარკეტინგი უნდა განვიხილოთ როგორც კონკურენტული უპირატესობის მოპოვების საშუალება. არ აქვს მნიშვნელობა კომპანიის მასშტაბს, კლიენტების რაოდენობას ან მარკეტინგულ ბიუჯეტს. ნებისმიერმა კომპანიამ, რომლის საქმიანობაც სამომხმარებლო ბაზარზეა ორიენტირებული, თავის მარკეტინგულ პოლიტიკაში უნდა გაითვალისწინოს სოციალური მედიის მეშვეობით მომხმარებელთან კომუნიკაცია. დღევანდელ ვითარებაში ეს არის აუცილებლობა და არა არჩევანი, რადგან სოციალურ მედიის მარკეტინგზე უარის თქმით კომპანია უთმობს უპირატესობას სხვა კომპანიებს და მნიშვნელოვნად ეცემა მისი კონკურენტუნარიანობა. მთელს მსოფლიოში და მათ შორის ქართულ ბაზარზე მიმდინარე ტენდენციებით თუ ვიმსჯელებთ, სოციალური მედიის მარკეტინგის აქტუალობა კიდევ უფრო გაიზრდება და კომპანიების მარკეტინგული პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი გახდება. მართალია, სოციალურ მედიის მარკეტინგს მსხვილი კომპანიები დიდი წარმატებით იყენებენ, მაგრამ კვალიფიციური მიდგომის შემთხვევაში მცირე ბიზნესისთვის შესაძლოა განსაკუთრებული სარგებლის მომტანი აღმოჩნდეს. მცირე ბიზნესს შეუძლია სოციალური მედია მარკეტინგული ღონისძიებების უმთავრეს მიმართულებად განიხილოს და ძირითადი მარკეტინგული ძალისხმევა და

რესურსებიც ამ კუთხით მიმართოს. შედეგად, მცირე მასშტაბის კომპანია შეძლებს ბაზარზე საკუთარი ადგილის დაკავებას და დიდი კომპანიებისთვის კონკურენციის განევას ადგილობრივ დონეზე.

იმისათვის, რომ მცირე ბიზნესმა სოციალური მედიის მარკეტინგი მართოს ეფექტურად და გამოიყენოს კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად, აუცილებელია რამდენიმე რეკომენდაციის გათვალისწინება: 1. საჭიროა სოციალური მედიის მარკეტინგის მეთოდოლოგიის საფუძვლიანი ფლობა და არა დილეთანტური მიდგომებით მოქმედება; 2. სოციალური მედიის მარკეტინგს უნდა წარმართავდეს სპეციალურად ამ სფეროში გამოცდილი და კვალიფიცირებული კადრი; 3. აუცილებელია სოციალური მედიის მარკეტინგის სფეროში მიმდინარე სიახლეებზე მუდმივი თვალყურის დევნება და მათი პრაქტიკაში გატარება; 4. მარკეტინგული მიზნების და ამოცანების რეალისტურად დასახვა და განხორციელების კონტროლი; 5. ბაზარზე მიმდინარე მოვლენების შესაბამისად მარკეტინგულ კამპანიაში ცვლილებების შეტანის უნარი; 6. მიმდინარე და ჩატარებული მარკეტინგული კამპანიის ანალიტიკის მეთოდოლოგიის ფლობა და შესაბამისი დასკვნების გაკეთება მომავალი კამპანიებისთვის; 7. ინტერნეტ აუდიტორიის ქცევის ძირითადი თავისებურებებში წვდომა და სამიზნე სეგმენტზე გათვლილი საკომუნიკაციო სტილის დამკვიდრება.

ცირებული კადრი; 3. აუცილებელია სოციალური მედიის მარკეტინგის სფეროში მიმდინარე სიახლეებზე მუდმივი თვალყურის დევნება და მათი პრაქტიკაში გატარება; 4. მარკეტინგული მიზნების და ამოცანების რეალისტურად დასახვა და განხორციელების კონტროლი; 5. ბაზარზე მიმდინარე მოვლენების შესაბამისად მარკეტინგულ კამპანიაში ცვლილებების შეტანის უნარი; 6. მიმდინარე და ჩატარებული მარკეტინგული კამპანიის ანალიტიკის მეთოდოლოგიის ფლობა და შესაბამისი დასკვნების გაკეთება მომავალი კამპანიებისთვის; 7. ინტერნეტ აუდიტორიის ქცევის ძირითადი თავისებურებებში წვდომა და სამიზნე სეგმენტზე გათვლილი საკომუნიკაციო სტილის დამკვიდრება.

ლიტერატურა/REFERENCES

- [1] **Neti, S.**, “Social media and its role in marketing”, International Journal of Enterprise Computing and Business Systems, #1, (2011);
- [2] **Evans, D., McKee, J.**, “Social Media Marketing The Next Generation of Business Engagement”, Wiley Publishing, Inc. (2016);
- [3] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, „საქართველოს სარეკლამო ბაზარი“, (ანგარიში), (2016); მის: http://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/sakartvelos_sareklamo_bazari_2016.pdf [Transparency International - Georgia, Georgian advertising market, (Report), 2016];
- [4] **Allagui, I., Breslow, H.**, “Social media for public relations: Lessons from four effective cases”, Public Relations Review, #42, (2016), pp. 20-30;
- [5] **Zhu, Y., Chen, H.**, “Social media and human need satisfaction: Implications for social media marketing”, Business Horizons, #58, (2015), pp. 335-345;
- [6] **Ruhi, U.**, “Social media analytics as a business intelligence practice: current landscape and future prospects”, Journal of Internet Social Networking & Virtual Communities, Vol. 2014;
- [7] **Ballings, M., Van den Poel, D., Bogaert, M.**, “Social media optimization: Identifying an optimal strategy for increasing network size on Facebook”, Omega, #59, (2016), pp. 15-25;
- [8] **Charest, F., Bouffard, J., Zajmovic, E.**, “Public relations and social media: Deliberate or creative strategic planning”, Public Relations Review, #4, (2016), pp. 530-538;
- [9] **ჯოლია, გ., გეჩბაია, ბ., სეხნიშვილი, დ., დევაძე, ა.**, „ინტერნეტ-ეკონომიკა“, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, (2014); [Jolia, G., Gechbaia, B., Sekhniashvili, D., Devadze, A., “Internet economics”, Tbilisi, “Universal” publishing house, (2014)];
- [10] **Jayaram, D., Manrai, A., Manrai, L.**, “Effective use of marketing technology in Eastern Europe: Web analytics, social media, customer analytics, digital campaigns and mobile applications”, Journal of Economics, Finance and Administrative Science, #20, (2015), pp. 118-132.

WINE BRAND AND WINE TOURISM DEVELOPMENT PERSPECTIVES IN GEORGIA

ღვინის ბრენდი და ღვინის ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ETER KHARAISHVILI,

Doctor of Economic Sciences,

Professor Ivane Javakhishvili

Tbilisi State University

Head of Microeconomic Department

BADRI GECHBAIA,

Doctor of Economic Sciences, Associated

Professor Batumi Shota Rustaveli

State University, Head of Business

Administration, Management and

Marketing Department

ეთერ ხარაიშვილი,

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი

ბადრი გეჩბაია,

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული

პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის

ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და

მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ABSTRACT

The role of wine brand in the sector of vine-wine growing and development of wine tourism is argued in the article. The wine tourism is examined as the prospective trend of vine-wine growing as the traditional field of population business, with less expenditure, high Marge of profit and increasing tendency of demand.

The work examines the tendencies of wine-vine growing in world as well as in Georgia. The dynamics of wine producing is given and the Georgian wine brands are evaluated on the basis of wine classification. It is concluded that Georgian wine take active part in world market and wine and alcohols drinks international exhibitions in the form of united brand, and through the way of seeking new markets and sales the opportunities for attracting tourists is increasing.

Wine tourism is examined in united concept of agro tourism, problems existing in the field of agro tourism are revealed using relevant criteria: the cost of landscape and beauty; territories with wild nature and wilderness; cultural values; particularly useful conditions for hunting, fishing, sliding, mountain climbing; availability at foreign markets of customers; effective and professional promotion and commercial activity and relevant manage-

ment. According to these factors the comparative advantages of Georgia are being established.

For evaluating the impact of wine brand on wine tourism the qualitative research was made. Through the average indicators of attracting regions for developing agro tourism the tourist products of wine and services are revealed: hostels, degustation of local cuisine, wine degustation, possibility of harvesting grapes and wine pressing. The following is considered as the product less developed: visiting wine house-museums, acquaintance with local folklore, acquaintance with tourist routes "wine road."

The relevant reports are made regarding the prospective development of wine tourism and wine brand in Georgia and relevant recommendations are offered.

Keywords: wine brand, wine tourism, wine-vine growing, agro tourism.

საშუალო

სტატიაში დასაბუთებულია ღვინის ბრენდის როლი მევენახეობა-მეღვინეობის სექტორისა და ღვინის ტურიზმის განვითარებაში. მევენახეობა-მეღვინეობის დარგის პერსპექტიულ მიმართულებად განხილულია ღვინის ტურიზმი,

როგორც მოსახლეობის საქმიანობის ტრადიციული სფერო, ნაკლები დანახარჯებით, მოგების მაღალი მარჟით და მოთხოვნის ზრდადი ტენდენციებით.

ნაშრომში განხილულია მევენახეობა-მელვინეობის განვითარების ტენდენციები, როგორც მსოფლიოში, ასევე, საქართველოში. მოცემულია ღვინის წარმოების დინამიკა და ღვინოების კლასიფიკაციის საფუძველზე შეფასებულია ქართული ღვინის ბრენდები. გაკეთებულია დასკვნა, რომ ქართული ღვინო მსოფლიო ბაზარზე ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენებზე მასშტაბურად იღებს მონაწილეობას ერთიანი ბრენდირებული სახით, ახალი ბაზრებისა და გაყიდვების არხების ძიებით კი ზრდადია ტურისტების მოზიდვის შესაძლებლობებიც.

ღვინის ტურიზმი განხილულია აგროტურიზმის ერთიან კონცეფციაში, აგროტურიზმის სფეროში არსებული პრობლემები გამოვლენილია შესაბამისი კრიტერიუმების გამოყენებით: ლანდშაფტის ღირებულება და სილამაზე; ტერიტორიები ველური ბუნებითა და ველურობით; კულტურული ღირებულებები; განსაკუთრებულად ხელსაყრელი პირობები ნადირობისთვის, თევზაობისთვის, სრიალისთვის, მთებზე სიარულისთვის; ხელმისაწვდომობა მომხმარებელთა უცხოურ ბაზრებზე; ეფექტიანი და პროფესიონალური პრომოუშენი და კომერციული საქმიანობა და სათანადო მენეჯმენტი. ამ ფაქტორების მიხედვით დადგენილია საქართველოს შედარებითი უპირატესობები.

ღვინის ტურიზმზე ღვინის ბრენდის გავლენის შესაფასებლად ჩატარებულია თვისებრივი კვლევა. აგროტურიზმის განვითარებისათვის რეგიონების მიმზიდველობის საშუალო მაჩვენებლის საშუალებით გამოვლენილია საქართველოში ყველაზე განვითარებული ღვინის ტურისტული პროდუქტები და მომსახურებები: საოჯახო სასტუმროები, ადგილობრივი სამზარეულოს გაცნობა/დაგემოვნება, ღვინის დეგუსტაცია, ყურძნის კრეფისა და ღვინის დანერგვის შესაძლებლობა. ნაკლებად განვითარებულ პროდუქტებად მიჩნეულია: ღვინის სახლ-მუზეუმების დათვალიერება, ადგილობრივი ფოლკლორის გაცნობა, ტურისტული მარშრუტების გაცნობა „ღვინის გზა“.

საქართველოში ღვინის ბრენდისა და ღვინ-

ის ტურიზმის პერსპექტიული განვითარების მიმართულებებზე გაკეთებულია დასკვნები და შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: ღვინის ბრენდი, ღვინის ტურიზმი, მევენახეობა-მელვინეობა, აგროტურიზმი.

Actuality of problem. Agriculture was the main residential place for the population traditionally and the main source for existing. Today 42.8% of population lives in the country [1].

The level of extreme poverty based on the examination made about the wellbeing of the population has decreased in recent years. Though,

The comparative poverty limit is the 60% of consummation of entire population. The number of economies being below the comparative poverty limit is increased. According to the figures of the lowest poverty limit is 1.7% of domestic economies of Georgia and 2.1% of entire population still remains in the extreme poverty [2]. Generally the level of poverty in village significantly exceeds the relevant indicator existing in the city. Also, problem is still more actual which is caused due to the increase of prices on agro-products and decrease of incomes for the families [3].

Due to the above mentioned currently the countryside population for the purpose of maintaining the self-being actively seeks the new ways to get income and recruitment, particularly for them those fields are more attractive in which they have their business experience. Among these fields the vine and wine-growing is examined. This field is of priority for the Georgian economy and for the big part of the population it represents the main source for receiving income.

Georgia is distinguished for having unique species of grapes and multiplicity of wines, also with useful geographic location, characteristics of relief, diversity of dishes and folklore. The resource potential in this direction in Georgia is not adjusted and its effective usage shall be examined under the possibilities of developing wine tourism.

The development of vine and wine-growing in Georgia has long history and is the integral part of nation's social-cultural life. The researches cer-

tify that despite the narrow-scaled production Georgian wine is competitive and considering the dispersion of market shares and market concentration, [4] Herfindal-Hirshman the wine market is of monopolist competition and more or less is diversified [5].

The further development prospective direction of vine and wine-growing should be examined wine tourism, because this area if of traditional mood for the population is characterized with the comparatively less expenditures, high Marge of the profit and tendencies of increasing demand are distinguished. It is also remarkable that in Georgia the wine brand is formulated. The development of wine tourism based on wine brand may extend the scales of production in the field of vine and wine-growing, the balanced development of local economic, business development opportunities, creation of work places and income all the above mentioned may have relevant multiplication effect [6].

The inter-impact of wine brand and wine tourism will play great role in solving the social-economic problems of population, maintaining Georgian countryside self-being, protection of country's cultural inheritance and development of it.

Aim of survey. The aim of survey is the determination of role of Georgian wine brands in the development of wine tourism and working on the recommendations rearding the prospective trends of developing these fields.

Methods of survey. Various methods of survey are used in the proces of survey itself, namely the statistic (selection, grouping, observation, tendency and other), analysis, induction and comparison ones, also quantitative survey in the form of detailed interviews.

The theoretic reason for the scientific works of Georgian and foreign scientists, analytical reports, materials for survey of EU regarding the relevant problem; the information base are the documents of policy of Georgian Parliament, data of National Agency of Georgian wine, National Service of

Statistics, Ministries of Agriculture of Georgia and Finances.

Tendencies of developing wine and vine-growing are increasing in Georgia as well as in world. The majority of the area of vineyards fall on four countries – Spain-13%; China-11%; France-10.4%; Italy-9.5% [7]. In 2011-2016 the area of vineyards are decreased in Spain, Italy and France (between 0.7%-3.8%) and are increased in China, Peru and Turkmenistan (between 23.5%-40%). The increase of the area of vineyards in Georgia in the same period comprised 25.2% [8]. Also studying the dynamic of producing grapes in the world has shown us that these figures are mildly increasing in various countries of the world.

The indicators of producing vine in Georgia are unstable, which basically condition the negative impact on the natural factors and low level of using modern technologies. In 2006-2016 the change of parameters for producing vine is given on diagram 1 (see diagram 1) [9].




Diagram 1. Tendency of producing vine in Georgia in 2014-2016
Thousands of tones

85.8% of entire volume of producing vine falls mostly on the portion of household economies, rest – on agricultural enterprises [10]. Today in the world the tendency for increasing the demand in the world is denoted regarding red wines. In Georgia as of the information of 2016 111.8 thousand tones of white grapes are produced and 47.4 thousand tones of red grapes [11].

The indicators of producing red wine in Georgia is characterized with increasing tendency (see diagram 2). Wine factories purchase grapes under

the terms of good harvest in great volumes and create wine stocks.

which assists the attraction of more tourists and development of wine tourism. Relevantly, the




Diagram 2. Dynamics of producing wine in Georgia [12]
Millions of liters

evaluation of wine brand and wine tourism on the example of Kakheti and Imereti regions are examined. From this point of view the classification of wines has been evaluated. From 18 on-site originated wines registered in Georgia 14 are produced in Kakheti. High quality brand wines are made in region from the local and cultivated species. Also the region of Imereti is distinguished for its diversity of producing wines. The diversity is based on the species spread (see scheme 1).

For processing the conception of wine tourism the classification of wines is considered. Today, Georgian wines are classified according to their districts according to the species of grapes and colouring. The developing of wine tourism in Georgia is taking place in different ways in various regions. Basically this type of tourism is prioritative in the regions of vine and wine-growing, namely in the regions of Kakheti and Imereti. In these regions the interest of foreign investors is great

SCHEME 1. CLASSIFICATION OF WINES ACCORDING TO THE REGIONS OF KAKHETI AND IMERETI [13]

Region of Kakheti		
Wine titles	Species of grapes	Color
MUKUZANI	Saperavi	Red
TSINANDALI	Rkatsiteli, green	White
NAFAREULI	Saperavi/Rkatsiteli, green	Red/white
TELIANI	Cabernet oviniomi	Red
GURJAANI	Rkatsiteli, green	White
VAZISUBANI	Rkatsiteli, green	White
MANAVI (GREEN)	Green	White
KVARELI	Saperavi	Red
KARDENAKHI	Rkatsiteli	White fastened
TIBAANI	Rkatsiteli	White kakhuri
KINDZMARauli	Saperavi	Red half sweet
AKTASHENI	Saperavi	Red half sweet
SAPERAVI	Saperavi	Red
RKATSITELI	Rkatsiteli	White
GREEN	Green	White
KISI	Kisi	White
KIKHVI	Kikhvi	Red
KHISIMI SAPERAVI	Saperavi	Red
TSARAPI	Rkatsiteli	White
KAKHURI	Rkatsiteli, green	White
Region of Imereti		
Wine titles	Species of grapes	Color
SVIRI	Triskal, Tsolikouri, Krakhuna	White
TSITSKA	Triskal	White
TSOLIKOURI	Tsolikouri	White
KRAKHUNA	Krakhuna	White
OTSKHANURI SAPERE	Orakhiani Saperavi	White
KVISHKOURI	Green Green	White

Also in rest regions of Georgia seldom species of grapes are spread over (Alexandrouli, Mujretuli, Tsolikouri, Dzelshavi, Usakhelouri, Orbeluri and other), which gives opportunity to produce wines characteristic to micro zone. In regions of Adjara, Guria and Mengrelia are produced in comparatively less volumes. Though, historically various species of vine (Chkhaveri, Jani, Mtevandidi, Aladasturi, Skhilatubani, Kviristava, Godaaturi, Sakmiela, Ojaleshi, Avasikhva, Kachichi, Khopaturi, Tchvitoluri, Krakhuna, Klarhuli and other) are distinguished for their self-being of wine production.

The dynamics of recent years has shown that Georgian wine takes participation largely at international exhibitions of alcohols and wines at world market in the form of united branded one. Through the way of seeking channels for new markets and sale the opportunities of attracting tourists increase. Various awards, for example gold and silver medals are won by the brands of Georgian wine: double gold – “Saperavi. Stock 2005,” Company “Kakhuri,”; gold-“Saperavi. 2008,” Company “Kakhuri,”; gold-“Saperavi. Family stock 2013,” Company “Lukasi,”; gold – “Marani. Condole vineyards. 2013,”; Company “Telavi Wine Vanult,” gold-“Wine vanult. Stock. 2007”; Company “Telavi Wine Vanult,” silver-“Mukuzani Iberian. 2013”; company “Shumi”; silver-“Napareuli. 2013”; Company “Shumi”; silver-“Trapeze Saperavi. 2012”; Company “Telavi Wine Vanult”; silver-“Saperavi of pitcher. 2011”; Corporation “Kindzmarauli.” [14].

Among the brands of Georgian wine special place is occupied by pitcher’s wine. The wine from pitcher for Georgia is somewhat visit card and one of the main products of wine tourism. The wine tourists make the wine degustation of this type. Due to the characteristics of Georgian pitcher’s wine this product attracts not only tourists who arrived but also it becomes famous at all the important markets of the world factually.

The wines of Georgian pitcher are delivered to various countries of the world, namely specialized wine shops and bars, also exhibitions and participation in degustation increases the knowledge of Georgian wine and popularization. Mentioned process has positive impact on increasing the volume of export, also increase of knowledge about Georgian

wine at international markets and attraction of tourists. Among the wines of Georgian origin from tourists’ side “Kindzmarauli” is leading according to the demand.

Majority of researchers examines wine tourism in united concept of agro tourism. Respectively it is important to distinguish those agro tourist products which “are directly connected to agrarian environment, agrarian product and agrarian location: educational visits, recreation activities and purchase of agrarian product or handicrafts [15]. The functions of agro tourism are also to be considered: social-psychology, economic, special and environmental [16].

The revealing of problems existing in the field of agro tourism requires the usage of relevant criteria. From this point of view various researchers use different criteria. In our survey we used the comparatively perfect criteria offered by Lane (1992). Scientist differentiates six factors which determine the value of agro tourist places [17].

1. Value and beauty of landscape, which includes: mountains, seashores, lakes, islands, picturesque beauty river gorges and places with specific beauty and value, like marshes and forests;
2. Territories with wild nature and wilderness;
3. Cultural values which include historic buildings, small cities, villages and places like ethnic inheritance;
4. Particularly available conditions for hunting, fishing, sliding, mountain climbing;
5. Availability on foreign markets of customers;
6. Effective and professional promotion and commercial activity and relevant management.

First five indicators reflect objective values, advantages taken under inheritance. Sixth indicator is the human factor. Natural and cultural values are impossible to re-make, though through human factor it is possible to extend them and improve. These values are considered as constant factors of quality for agro tourist location, the rest are changeable.

According to above mentioned factors Georgia has great advantage, namely her comparative advantages are: ancient civilization and culture, un-

touchable natural inheritance, rich flora and fauna, particular hospitality and cuisine, rich traditions and so on. Also agro tourism does not require any big expenditure, investments for organizing events for welcoming tourist and creating normal conditions for him. The main motto of agro tourism is to relax and recreate cheaply, fresh environment, far from urban life.

For revealing problems existing in wine tourism particularly, the tourist products of this field are to be evaluated. The researchers interpret wine tourism as visiting vineyards, wine factories, wine festivals in various regions, tasting wine and degustation of wine grapes [18]. Also, wine tourism is examined as journey the aim of which is to study wine regions and connecting them with lifestyle [19]. Almost in all the countries the interpretation of wine tourism is different from one another, though as the type of agro tourism which unites the economic, social and cultural aspects of countryside development, includes lots of intersections between agro sector and tourism are the circles connecting these two sectors.

The development of wine tourism as it was mentioned above is significantly determined by strong brand. It is examined as the guarantee for corporate success [20]. Brand notifies customer about the source for originating product and protects the purchaser as well as manufacturer from those competitors who wish to create analogue, low quality product [21].

For evaluating the impact of wine brand on wine tourism the quantitative research was made through the way of inquiring the representatives of this survey. The researchable regions are evaluated according to the historic-cultural inheritance, natural inheritance, tourism infrastructure, agro-cultural landscapes, and food product criteria. The parties interested and competent involved in the agro tourism process were inquired: representatives of the agro business field and agriculture, experts. The list of regions attractive for the

development of Georgian agro tourism is evaluated by respondents giving 1-5 scores, 5 scores are given to the components offered to Municipality having the most attractive environment, 1 score is less attractive.




Diagram 3. Evaluation of environment attractive for tourist point of view in Municipalities of Kakheti and Imereti

According to historic-cultural inheritance following leading municipalities is revealed: Signagi, Gurjaani, Telavi. In these municipalities it would be better to make accent on such tourist forms or tourist routes which are oriented on getting acquainted with historic-cultural inheritance and promoting them.

A second criterion was untouchable/wild natural inheritance in which leaders are following Municipalities: Akhmeta, Lagodekhi, Kvareli, and Sachkhere. For these regions it would be better to offer tourism which is closely connected to nature and adventures, for example, eco tourism and adventurous tourism.

As for the existing tourist infrastructure, following sequence is distinguished: Signagi, Kvareli, Kutaisi, and Telavi. In these Municipalities or settlements tourist infrastructure is best developed than in other place.

According to the criteria of agrarian landscapes following are leaders: Signagi, Kvareli, Akhmeta, Lagodekhi. This is not even surprising because in these regions the number of resident population during the whole year is higher comparing to other and relevantly there are more processes land plots. In these regions it is better to make accent on farm tourism which directly means living in farmer's family and contribution to their activities, certainly due to farmer's wish.

Based on the experience of various countries the eyesight of foreign tourists towards the development of wine tourism in Georgia is as follows: quick provision of information to tourists about the innovations and services existing in wine tourism, establishment of system for booking products and services, differentiation of products according to target groups, direct sales of products of farmers; to visitors, making tourists get interested through the way of using this priority by Municipality having environment attractive from tourist point of view and other.

Through developing wine tourism in Georgia it is possible to solve important social-economic, psychology, special and environmental problems. Expected result for developing wine tourism are: diversification of vine and wine-growing; devel-

oping farm economies and their extension; restoration of Georgian traditions and popularization; increase of demand on Georgian cuisine and wine brand production; termination of migration processes; obtaining new skills, development of local infrastructure; making public amenities to households; maintaining historic-cultural inheritance, landscapes and protection;

Thus, the development of wine tourism of Georgia has great potential. The knowledge of wine brand and historic-economic grounds of wine and vine-growing increases the development of wine tourism and on the one hand the population recruited in the field of vine and wine-growing seeks for additional income and in some cases, alternative ways of developing field.

REFERENCES

- [1] Population of Georgia, National Service of Statistics, www.geostat.ge 2016
- [2] Research of welfare of Georgian population, fourth stage, 2015, pg 6.
- [3] http://unicef.ge/115/WMS_GEO_Full/442
- [4] **Kharaishvili, E.** (2016). 'Small Farm Diversification Opportunities in Viticulture-Winemaking Sector of Georgia'. World Academy of Science, Engineering and Technology, International Science Index 113, International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering, 10(5), 1376 - 1379.
- [5] **Kharaishvili E.**, Wine market and concurrent models of developing vine and wine-growing, Tbilisi 2017 pg. 50-51
- [6] **Kharaishvili E.**, Wine market and concurrent models of developing vine and wine-growing, Tbilisi 2017 pg. 111
- [7] **Mekvabishvili E., Atanelishvili T.**, Personal Remittances in the Post-Soviet Countries (Comparative Analysis). bulletin of the georgian national academy of sciences, vol. 11, no. 3, 2017. P., 158;
- [8] **Gechbaia B.**, EU Innovative Economic Priorities, Contemporary Problems and Challenges of Its Formation. ICEBM 2016: 18 th International Conference on Economics and Business management. Paris, France. November 21-22, 2016
- [9] National Service of Statistics of Georgia http://geostat.ge/?action=page&p_id=427&lang=geo
- [10] www.wineinstitute.org
- [11] www.wineinstitute.org
- [12] <http://www.oiv.int/public/medias/5029/world-vitiviniculture-situation-2016.pdf>
- [13] Information provided by the Ministry of Agriculture of Georgia
- [14] Information provided by the Ministry of Agriculture of Georgia
- [15] Jansen-Verbeke and Nijmegen, 1990
- [16] Lakovidou al., 2000
- [17] Lane, 1992
- [18] Hall and Macionis, 1998
- [19] Western Australian Wine Tourism Strategy, 2000
- [20] Ivana First, 2009
- [21] **David A Aaker**, Managing Brand Equity, The Free Press, New York, 1991

დროის ღირსი და პრობლემები საქართველოში

VALUE OF TIME AND RELATED ISSUES IN GEORGIA

ედუარდ მიქელაძე,

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ტბელ აბუსერისძის
სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

EDUARD MIKELADZE,

Doctor of Economy, Professor
Georgian Patriarchate St. Tbel Abuseris-
dze Teaching University.
Khichauri, Georgia

ანოტაცია

საქართველოში დროის მენეჯმენტის პრობლემას სამწუხაროდ არ ექცევა სათანადო ყურადღება, როგორც წესი, ნახევრად დატვირთული ან ქაოსური მუშაობაა. მუშაობა არ მიმდინარეობს შედეგზე ორიენტირებული, ასევე დაბალ დონეზეა ოპერატიული და სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენა-შესრულება. ხშირად გაუაზრებელი გადაწყვეტილების მიღება, ზოგჯერ, შეკრებები და თათბირები უბრალო ხასიათს ატარებს.

ყველა თანხმდება იმაზე, რომ „დრო ფულია“, ფული კი ადამიანის არსებობისთვის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. ადამიანი ვერასოდეს მიაღწევს წარმატებას თუ მან არ იცის დროის მართვა და ვინც დროს უაზროდ ფლანგავს, რადგან დრო ძალიან სწრაფად მიდის, დროს ვერ შეაჩერებ და ვერც უკან დააბრუნებ. ამიტომ ყველა პიროვნებამ ინდივიდუალურად უნდა შექმნას თანამედროვე დროის მართვის მანქანა.

თანამედროვე მსოფლიოში აღიარებული მეცნიერ-ეკონომისტის ი. კეპლერის აზრით: „უფალმა ადამიანს მისცა ჭკუა, რათა მან მისი მეშვეობით შეიცნოს იდუმალი წესრიგი, რომელიც გარემოს მბრძანებელია, და რომ მან ეს შემეცნება დაუდოს საფუძვლად თავის საკუთრებრივ პირობებს“. ასევე დიბროს შეხედულების თანახმად: „სასარგებლოა იმის ცოდნა, რომ საქმის კეთების სურვილი გაძლევს გამბედაობას და გიაძვილებს მას“.

საკვანძო სიტყვები: დროის მენეჯმენტი, დღის განრიგი, სიკეთე.

ABSTRACT

Unfortunately, time management is not drawn the relevant attention to in Georgia. As a rule, there are half-loaded working processes. Moreover, it can be estimated as a chaotic state from the point of view of time managing, as well as the working processes are not oriented on the results. The same can be said about drawing up and accomplishing the plan of operational and strategic development, which do not meet the desirable rate. The decisions made without relevant discussions, and consequently, business meetings are not effective.

Everyone confesses that “time is money”. And money is one of the essential factors for existence. You have no opportunity to succeed if you are not able to manage time properly. A great number of people simply waste their time, which is impossible to stop or take back. This is why each person should create a modern time-managing machine individually.

According to the world-wide recognized scientist-economist I. Capleroy “God gifted mind to humans to perceive that mysterious order that governs the universe, and this perception should be the basis for humans to create their own environment.” According to Dibro “it’s useful to know that the desire of doing something encourages you and simplifies your job.”

Key words: Time management, day schedule, goodness

IV საუკუნის ქრისტიანი ფილოსოფოსი ჰიპონიუს ეპისკოპოსი ნეტარი ავგუსტინე უღრმავდებოდა დროის ჭეშმარიტი არსის გაგებას. ის თვლიდა რომ დროის რთული პრობლემის გადასაწყვეტად მხოლოდ ადამიანური გონება არაა საკმარისი, ის ღმერთს სთხოვდა დახმარებოდა დროის ჭეშმარიტი არსის გაგებაში. ავგუსტინე ამბობდა რომ არ იარსებებდა დრო უფალი რომ არ იყოს მისი დასაბამი. ბიბლიური ტრადიციის თანახმად დრო სწორხაზოვანი და დასრულებადია. ისტორიის შინაარსს შეადგენს კაცობრიობის მოქმედება დროში. ისტორიაში ანუ დროში მიედინება „ზე ციური“ და მიწიერი ქალაქების არსებობა და ბრძოლა.“ ნეტარი მამა ამბობს დროის გაზომვა მხოლოდ მაშინ შეგვიძლია როცა ის მიმდინარეობს და შეგვიძლია სწორედ იმიტომ, რომ მის მსვლელობას ვგრძნობთ., ნეტარი ავგუსტინე ამბობს რომ დრო არსებობს მხოლოდ ადამიანის სულში.

დროის მენეჯმენტი ეს არის დროის რეგულირების მეთოდების ერთობლიობა, რომელიც იცვლება დროსა და სივრცეში შექმნილი ვითარების შესაბამისად. ამ მხრივ განსხვავდება დროის მენეჯმენტის შემდეგი მეთოდები: 1. დეტერმინირებული; 2. რთული და ; 3. ალბათური.

რატომ უნდა ვისწავლოთ დროის მენეჯმენტი? - სამყაროში თითოეულ ადამიანს აქვს ერთი და იგივე რაოდენობის დრო - 60 წამი წუთში, 60 წუთი საათში, 1440 წუთი დღეში და 525600 წუთი წელიწადში. ძალიან ბევრი ადამიანი აღიარებს, რომ ვერ ახერხებს ამ დროის გამოყენებას და უმეტეს შემთხვევაში განიცდის დროში შეზღუდულობას. დროს ნებისმიერი საზოგადოების ფენაში ფასებულია და არასაკმარისი. რაც უფრო ეფექტურად და დროულად იყენებს ადამიანი დროს მით უფრო უკეთესად იცხოვრებს.

დროის დაგეგმვას ადამიანები იყენებენ სამოქმედო კურსის განსაზღვრისათვის, რომელიც სამი საფეხურისგან შედგება: 1) რა მიზანს ირჩევს ინდივიდი; 2) რა უნდა გააკეთოს ამ მიზნის მისაღწევად; 3) როგორ უნდა გაანაწილოს დრო ამ მიზნის მისაღწევად.

დროის ორგანიზებისას ინდივიდმა უნდა მოახდინოს თავის ხედვაში, დარწმუნებასა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევებზე ფორმულირება. დროის ხარჯვის კონტროლისას ადამიანმა უნდა შეადგინოს წარმატების მისაღწევად გარკვეული მიზანი. დროის ხარჯვის კონტროლის შედეგს წარმოადგენს უნარი ზუსტად შეაფასოს მისი

მუშაობის ხარისხი, ყაირათიანობა და ეფექტიანობა. დროის მართვას, სწორად განაწილებას ადამიანისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მისი წარმატების ფაქტორს სწორედ ყოველი წამი მაქსიმალურად გამოყენებაა საჭირო.

ყველა თანხმდება იმაზე, რომ „დრო ფულია“, დული კი ადამიანის არსებობისთვის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. ადამიანი ვერასოდეს მიაღწევს წარმატებას თუ მან არ იცის დროის მართვა და ვინც დროს უაზროდ ფლანგავს, რადგან დრო ძალიან სწრაფად მიდის, დროს ვერ შეაჩერებ და ვერც უკან დააბრუნებ. ამიტომ ყველა პიროვნებამ ინდივიდუალურად უნდა შექმნას საკუთარი დროის მართვის მანქანა. პიროვნების მუშაობის ეფექტიანობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია დასახულ ამოცანათა გადანწყვეტისას დროში წინსწრება, რადგან განსაკუთრებით კარგია როცა დღეს ვაკეთებთ სახვადიო საქმეს და წინ გავიხედავთ.

დროის მენეჯმენტი ამარტივებს ცხოვრებისეულ მიზნებსა და ამოცანებს. მისი ძირითადი დანიშნულებაა ცხოვრების ყოველგვარი საქმიანობის სწორად დაგეგმვა და ცნობიერების სათანადოდ გამოყენება. დროის მიუღწევლობისათვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს სასწრაფო და მნიშვნელოვანი დეტალების გაუთვალისწინებლობა. დროის უსარგებლო ხარჯვის გამომწვევი ფაქტორებია: ა) არაორგანიზებულობა; ბ) დაყოვნება; გ) რისკის გაუთვალისწინებლობა; დ) ლოდინი; ე) უსარგებლო შეხვედრები; ვ) უსარგებლო სატელეფონო კავშირები.

მიზნის მიღწევის პროცესი ადამიანის მხრიდან მოითხოვს შემდეგი პირობების შესრულებას: განავითაროს სურვილი; განავითაროს რწმენა; ჩაინიშნოს ყველა დეტალი; გაანალიზოს საკუთარი მდგომარეობა და განსაზღვროს გეგმის დანების დრო; დაადგინოს საბოლოო ვადა; გააცნობიეროს შესაძლო რისკები; მოსალოდნელ მოვლენებს მიეცით ვიზუალური სახე და წინასწარ მიიღეთ გადანწყვეტილება, რომ არასდროს დანებდეთ.

დღის განრიგი ანუ „სიის შედგენა“ - ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა ადამიანის ცხოვრებაში. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ინდივიდმა სრულყოფაში მოიყვანოს წინა დღით ან დღის დასაწყისში დასახული გეგმა და ყოველდღიურად აწარმოოს ჩანაწერები თავის წიგნაკში. თანამედროვე მსოფლიოში აღიარებული მეცნიერ-ეკონომისტის ი. კეპლერის აზრით: „უფალმა ადამიანს

მისცა ჭკუა, რათა მან მისი მეშვეობით შეიცნოს იდეალური წესრიგი, რომელიც გარემოს მბრძანებელია, და რომ მან ეს შემეცნება დაუდოს საფუძვლად თავის საკუთრებრივ პირობებს“. ასევე დიბროს შეხედულების თანახმად: „სასრებლოა იმის ცოდნა, რომ საქმის კეთების სურვილი გაძლევს გამბედაობას და გიადვილებს მას“.

სხვადასხვა კულტურის ერები დროს განსხვავებულად აფასებენ: ამერიკელებისთვის ის - დრო ფულია, მათ საზოგადოებაში დრო ყველაზე მეტად ფასობს, ამიტომ ისინი მოქმედების ხალხია, უსაქმურობა მათთვის აუტანელია.

გერმანელები - ნებისმიერი ადამიანი აღნიშნავს, რომ ევროპაში ყველაზე პუნქტუალურები არიან. აღნიშნულ ერს შემდეგი თვისებები ახასიათებს: მონდომება, სრულყოფილებისაკენ სწრაფვა, ერთგულება და სიფაქიზე.

ნორვეგიელები - მათი სამეფო დევიზია: „ყველაფერი ნორვეგიისთვის“.

რატომ უნდა დაისახოს ადამიანმა მიზანი: მიაღწიოს მეტს; უკეთესად შეასრულოს მოვალეობები; მატებს სიამაყეს, თვითკმაყოფილების და თავდაჯერებულობის გრძნობა. ასევე პიროვნებისთვის აუცილებელია: ა) სპეციფიკურობა; ბ) მიღწევადობა; გ) განსაზღვრულობა; დ) დიდი შანსი და ე) დროში შეზღუდულობა.

თანამედროვე ცხოვრებაში დროის უკმარისობა ყველაზე აქტუალური თემაა, რომლის განსაზღვრა და ერთ კონკრეტულ ჩარჩოში მოქცევა საზოგადოების უმეტესი ნაწილისთვის გადაუჭრელ პრობლემად რჩება. იმისათვის ის, რომ წარმატებას მივაღწიოთ უნდა დავისახოთ მიზანი და ვებრძოლოთ დროს. „დრო დროზე ჩქარა მიქრის“, ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია, ის რომ ადამიანი იბადება, იზრდება და ბოლოს კვდება.

დროის დაგეგმვა საჭიროებს გამიზნულ არსს, თუ როგორ მართო დრო შემდეგ ხუთ სფეროში: ა) ფიზიკურ სფეროში; ბ) გონებრივ სფეროში; გ) საზოგადოებრივ სფეროში; დ) კარიერის სფეროში და; ე) სულიერ სფეროში.

როდესაც ვაკვირდებით მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, უპირველესად პარალელს ვავლებთ ჩვენს ქვეყანას. სამწუხაროდ, დროის ცუდად აღქმის პრობლემა და აქილევსის ქუსლადაა მიჩნეული საქართველოში. ჩვენ ადამიანებს მუდამ თან გვძევს იმის შეგრძნება, რომ სათანადოდ ვერ ვიყენებთ ჩვენდამი დაქვემდებარებული დროის სწორად მართვას, ხშირ შემთხვევაში

პრობლემა ისევე ჩვენშია, ჩვენს არაორგანიზებულობაში, მართვასა და ყოველდღიური საქმიანობის არასისტემატურობაში, დროის არასწორად დაგეგმვაში და მის არასწორ გამოყენებაში. დროის მართებულად მართვისა და დაგეგმვის ერთიანი სისტემა არის ერთ-ერთი ქმედითი საშუალება ამ პრობლემასთან საბრძოლველად, ის გვეხმარება თითქმის თითოეული ადამიანის დონეზე დავშალოთ და გავანაწილოთ როლები, ფუნქციები და ამოცანები საერთო მიზნის მისაღწევად.

მართო საკუთარი თავი - ესაა ყველაზე მაღალი ძალაუფლება. სამუშაო დღის ორგანიზაცია უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს: „სამუშაო უნდა ექვემდებარებოდეს სამუშაოს თანმიმდევრობას“. სამუშაო დღის დაწყება სასურველია პოზიტიური განწყობით და ჩამოვყალიბოთ კარგი ფსიქოლოგიური განწყობა.

ყოველი ახალი დღე დაცული უნდა იყოს, სამუშაო დროის დასაწყისში, სასურველია გადავმოწმოთ შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი და თუ საჭიროება მოითხოვს კორექტირების განხორციელება. უარი უნდა ითქვას რყევებზე. სასურველია დილაობით დაკავდეთ სრული და მნიშვნელოვანი საქმეებით: საკმაოდ სწრაფად მიმდინარე საქმეებმა ჩავვითრიოს თავის დინებაში და დრო დარჩება ანალიზისა და გააზრებისთვის.

მუშაობის პროცესში გამუდმებით ადგილი აქვს საქმისაგან მოწყვეტის ცდუნებას. დრო, როცა მოფიქრებული და გააზრებული უნდა იქნას პრობლემები, ეს არ არის დრო გონებრივი მოდუნებისათვის. სამუშაო დღე სრულდება შესრულებული საქმის შეჯამებითა და მეორე დღის საქმეების გადახედვით. საჭიროა დასვენება და ხვალ უნდა ავდგეთ ოპტიმისტები. უნდა გავანალიზოთ, რომ რამემ არ შეგვიშალს ხელი, სად იყო რისკები, სად გვეკონდა ფუჭი კომპრომისები და რა სარგებელი მივიღეთ ყოველი ახალი დღისაგან. შესაძლებელია სამუშაო დღე შეფასდეს ხუთბალიანი სისტემით:

5 ბალი - იშვიათად წარმატებული დღე; 4 ბალი - განსაკუთრებით წარმატებული დღე; 3 ბალი - საშუალო დღე; 2 ბალი - შეიძლება უკეთესი ყოფილიყო; 1 ბალი - წარუმატებელი დღე.

ყველა ადამიანს ესაჭიროება საქმიანი კალენდრის შედგენა, რადგან ეს არის ინფორმაციული ხასიათის ფილოსოფია, ინსტრუმენტი

მიზნების ეფექტიანად მიღწევისათვის, სამსახურებრივი და პირად ცხოვრებაშიც. თავდაპირველად ჩვენ უნდა ჩამოვყალიბოთ მიზნები, ასე რომ მიზნები შემდგომ გვიყალიბებენ საერთო სამოქმედო გეგმებსა და ამოცანებს. სწორედ დაგეგმვის მთელი სისტემა ეს არის სამუშაოებისა და ვადების გამუდმებული დაზუსტებას, დროის რესურსების თანმიმდევრული შევსება.

თითოეულმა ადამიანმა სასურველია თავიანთი საქმიანობის მსვლელობისას მუდმივად აწარმოონ მოვლენების აღნუსხვა, სადაც უნდა დააფიქსირონ ტავიანთი აზრები და მიღწეული შედეგები. დღიურის წარმოების საოცარი ტვისება გამოავლინეს ამერიკელმა ფსიქოლოგებმა. მათ კვლევებიდან დაადგინეს, რომ საკუთარი აზრების რეგულარულად გადმოცემა ქალაქებში კეთილ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ხსნის დეპრესიას. დღიურის წარმოება საშუალებას იძლევა ლიკვიდირებული იქნას სადავო საკითხები საქმიანი ურთიერთობების მსვლელობაში სამომავლოდ.

უარესი - კარგის მტერია. შეიძლება თავი დავიცვა სულელისგან, მაგრამ არა - სიახლისგან. რთულ პრობლემებს ყოველთვის აქვს მარტივი, აღსაქმელად არასწორი გადანაცვება. სიტუაცია შექცევადი ხდება მაშინ, როდესაც შეუძლებელია თქვა: მოდი ყველაფერი დავივიწყოთ. არსებობს კარგი ქცევის ოთხი ძირითადი წესი: ა) თავაზიანობა; ბ) ღირსება; გ) უბრალოება და; დ) კარგი აღზრდა. ასევე არსებობს ფინანსური წარმატების მიღწევის მრავალი გზა და ამდენივე რეცეპტი, კერძოდ კი მთავარი ისაა, რომ ყოველთვის უნდა ეყრდნობოდე საკუთარ თავს.

აშშ-ის ექვსი პრეზიდენტის მრჩეველმა ბერნარდ მ. ბარუხამ ჩამოაყალიბა ხელმძღვანელობის შემდეგი რჩევები:

- ორგანიზებული ადამიანისათვის არსებობს მრავალი შესაძლებლობა, გახდეს მდიდარი;
- იმისათვის, რომ გააკეთო ფული უნდა გქონდეს განსაკუთრებული ნიჭი;
- ყველამ უნდა აკეთოს ის, რაც მას შეუძლია;
- ყოველთვის ისწავლეთ სხვის შეცდომებზე;
- იმისათვის, რომ მოვიპოვოთ ფული, თქვენ იმაზე უნდა ფიქრობდეთ სულ: ჭამის, სეირნობის და ღამითაც კი;

- არსებობს საქმიანობის მრავალი სფერო, სადაც თქვენ მიაღწევთ წარმატებებს. უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ გახდეთ ნამდვილი ჯელტმენი. მსოფლიოში ცნობილი ეკონომისტი ალფრედ მაკკენზი ამბობდა, რომ: „არაფერია იმაზე ადვილი, რომ იყო დაკავებული და არაფერი იმაზე ძნელი, რომ იყო შედეგიანი“;
- თქვენ შეიძლება შეცდეთ, მაგრამ სულით ნუ დაეცემით, დაიწყეთ იქიდან, საიდანაც წაიფორხილეთ - იარეთ წინ;
- როცა თქვენ შეჩერდებით რაიმე იდეაზე, განუწყვეტლივ იფიქრეთ მასზე, განავითარეთ იგი და არ შეჩერდეთ მანამდე, სანამ არ მიაღწევთ მიზანს;
- თქვენ უნდა შეისწავლოთ თქვენი თავი და შესაძლებლობები;
- თუკი თქვენ წაგაქციეს, სწრაფად წამოდექით და „შეჯექით იმ ცხენზე რომლიდანაც გადმოვარდით“;
- იყავით საკმაოდ მოქნილი იმისათვის, რომ მიიღოთ, გაიზაროთ და შეცვალოთ მოქმედებების მიმართულება, თუკი ერთ ადგილს ტყეპნით;
- მიიღეთ გადანაცვლებები: „მე შემოიძლია გავაკეთო ფული“. ცადე გახდეთ ჩემპიონი შემოსავლების მიხედვით.

ასევე ადამიანებისათვის აუცილებელი უნდა გახდეს შემდეგი ცნებები: ა) აკეთე სწორი საქმეები და არა საქმე აკეთე სწორად; ბ) დაზოგვის ნაცვლად მოახდინეთ რესურსების გამოყენების ოპტიმიზაცია; გ) აბაღლეთ მოგება დანახარჯების შემცირების ხარჯზე; დ) მიაღწიეთ შედეგებს მოვალეობის შესრულების ნაცვლად; ე) შექმენით ალტერნატივები პრობლემების გადაჭრის ნაცვლად.

ადამიანი, რომელიც ჩაკეტილია თავის განცდებში და გულჩათხრობილია, ძნელია მათთან რაიმე ურთიერთობის დამყარება. წარუმატებლობის შემთხვევაში ადანაშაულებს სხვებს, როცა ნაშლილია ზღვარი ადამიანსა და საქმეს შორის, ეს საქმეს „შთანთქავს“ ადამიანს. ამ დროს ადამიანი ანაწილებს სხვადასხვა ნივთში და ამ დროს შეიძლება აღმოჩნდეს უზარმაზარი ჭეშმარიტებანი და უდიდესი აღმოჩენები. ადამიანი რომელმაც მოახდინა თავისი თავის კონკრეტულ საქმეში რეალიზება, ვერასოდეს ვერ შეიცნობს და დაინახავს საკუთარ თავს.

ჯერ კიდევ კიდევ ძველ წელთა აღრიცხვით VI საუკუნეში ლაო ძი ამბობდა, რომ „ადამიანს ბედის მოწყობა მისსავე ხელში. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, შეძლებს თუ არა იგი დაარწმუნოს საკუთარი თავი ქცევის შედეგების კეთილგონიერებაში ანდა დამანგრეველ ძალებზე“. გერმანელი მწერალი კ. ბრანტი კი ამბობდა, რომ: „იჩქარე დღეს გახდეს უკეთესი, ხვალე რომ არ იჩქარო“, ასევე გერმანელი პოეტი ფ. ლოგაუ აღნიშნავდა, რომ: „ბრძოლა საკუთარ თავთან ყველაზე ძნელია. გამარჯვება - გამარჯვებათა შორის - არის გამარჯვება საკუთარ თავზე“. ი. ვ. ჰატე ამბობდა, რომ „ადამიანის სიღრმეში თვლემს შემოქმედებითი ძალა, რომელსაც შეუძლია შექმნას ის, რაც უნდა იყოს, იგი არ გვაძლევს მოსვენებას და სიმშვიდეს, სანამ არ გამოვხატავთ მას ამა თუ იმ გზით“.

მაგალითად: საკუთარი თავის შესახებ მოვიყვანოთ რამოდენიმე ასეთი ტიპის ფრაზა: 1) მეფე უნდა ჰგავდეს მეფეს, როგორც არ უნდა მოიქცეს ადამიანებს ვერ გააცურებს; 2) ყველაფერი დამოკიდებულია ჩემზე და არა სხვებზე. ირგვლივმოყვარულთან მიმოსვლის გზა თვით ჩემშია; 3) ადამიანებს, რომელთაც არ მოსწონთ საკუთარი სახლი, არ უყვართ საკუთარი თავი; 4) ადამიანების უმეტესობას სხვისი აზრის წაკითხვის უნარი არ აქვს; 5) თვალები - პიროვნების ასახვაა, ყურადღება მიაქციეთ მათ გამომეტყველებას; 6) მე ვეცდები მივადნო ჩემს მიზნებს; 7) მე გავაკონტროლებ საკუთარ თავს; 8) სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს; 9) წარმატება - ეს არის ანგარების საპირისპირო რამ.

ადამიანების გამაძლიერებელ ფაქტორებს განეკუთვნება შემდეგი ფაქტორები: ა) გადანაცვლების მიღების შესაძლებლობების განვითარება; ბ) შრომის უნარიანობის ამაღლება; გ) უნარი ეფექტიანად აღაფრთოვანოს ხალხი; დ) უნარი მოხსნას ნერვიული დაძაბულობა; ე) უნარი დატკბეთ თავისუფალი დროით; ვ) მისწრაფება განვითარებისაკენ; ზ) მეხსიერების განვითარება; თ) ჯანმრთელობის განვითარება ვარჯიშის შედეგად.

დროის გამოყენების პრობლემების მხრივ საქართველო მართო არ დარჩენილა, ზუსტად ერთნაირ სიტუაციაში იმყოფებიან იტალია, საფრანგეთი და ესპანეთი.

იტალიელებისათვის - გარდაცვალება და ფულის გადახდა გვიან არასოდეს არის. მათი მთავარი პრინციპია - „საქმე საქმეზე რომ მიდგეს

რატომ უნდა ვიჩქარო როდესაც ცა ასე უსაზღვროდ ღამაზია, მზე ანათებს, მინა კი ნაყოფს იძლევა“.

ფრანგებისთვის - პუნქტუალობას რაც შეეხება, ისინი ზოგ შეხვედრაზე დროულად მიდიან, ზოგან კი აგვიანებენ. ხუმრობენ კიდევ - საფრანგეთში შეხვედრაზე მისვლის დროის მიხედვით შეიძლება ადამიანის ხასიათისა და მისი თვისებების დადგენაო.

ჩამოთვლილი ღონისძიებები, ბუნებრივია, დაკავშირებულია სოლიდურ თანხებთან, თუმცა სახელმწიფოს აღნიშნული ხარჯების ნაწილობრივ კომპენსირება მიწის პრივატიზაციისგან მიღებული შემოსავლებით შეუძლია, რაც, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის სავარაუდო ფართობის გათვალისწინებით, არცთუ მცირე იქნება. ასევე, გასათვალისწინებელია ფისკალური ეფექტი, რაც ამ გეგმის განხორციელებას უნდა მოჰყვეს. კერძოდ, ცნობილია, რომ 5 ჰა-მდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელების უდიდესი ნაწილი არ იხდის ქონების გადასახადს. მათი დიდი ნაწილი საერთოდ არ იყენებს ოდესღაც სახელმწიფოსგან საჩუქრად მიღებულ მიწას და დიდი ალბათობით, მზად არის მის გასაყიდად. ასეთი მიწების იდენტიფიკაცია და კონსოლიდაცია, ხოლო შემდგომ მათი გასხვისება, დამატებით დასაბეგრ ბაზას გააჩენს სახელმწიფოსთვის და გრძელვადიან პერსპექტივაში გაზრდის მიწის გადასახადიდან მიღებულ შემოსავალს სახელმწიფო ბიუჯეტში.

დასკვნა

ჩვენი აზრით, ზემოხსენებული გეგმის განხორციელების შედეგად, შესაძლებელია მიწების ეტაპობრივი გამსხვილება და ნაკვეთების საშუალო ზომის ზრდა. გამსხვილებული ნაკვეთები საშუალებას მისცემს მათ მესაკუთრეებს გაზარდონ მეურნეობების მასშტაბი და შესაბამისად, ეფექტიანობა. ეს მნიშვნელოვან როლს ითამაშებს დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში და დააჩქარებს სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციას.

ლიტერატურა/REFERENCES

- [1] „სასოფლო-სამეურნეო მიწების კონსოლიდაციის სახელმწიფო სტრატეგიის აუცილებლობის შესახებ“, 2017. On the necessity of state strategy of consolidation of agricultural lands, 2017
- [2] ევროპის სამეზობლო პროგრამა 2016. European Neighborhood program. 20016

კლიმატის ცვლილების გავლენა ვაშლის განვითარებასა და მოსავლიანობაზე

IMPACT OF THE CLIMATE CHANGE ON GRAPE DEVELOPMENT AND THE YIELD

რეზო ჯაბნიძე,

საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის
მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი. ბათუმი, საქართველო

ნანა ჯაბნიძე,

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
წმინდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო
უნივერსიტეტის პროფესორი. ბათუმი,
საქართველო

REZO JABNIDZE,

Academician of Georgian
Agricultural Sciences
Academy. Professors of Batumi Shota
Rustaveli Shteite University. Batumi,
Georgia

NANA JABNIDZE,

Professors, St. Tbel Abuserisdze
Teaching University,
doctor of agriculture.
Khichauri, Georgia

ანოტაცია

საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობამ განსაკუთრებულ აღმავლობას მე-20 საუკუნეში მიაღწია, როცა ვენახების ფართობმა 120 000 ჰექტარს გადააჭარბა; აშენდა ღვინის ახალი ქარხნები; შეიქმნა დარგის მართვის მძლავრი სამეცნიერო ცენტრები.

ქვეყანაში მევენახეობამ საზოგადოებრივი წარმოების წესის შეცვლის შემდეგ მძიმე რღვევა განიცადა და ღვინისათვის არსებული არასრული მონაცემებით ვაშის წარგება 40-60 ათას ჰექტარამდე შემცირებული, ხოლო ყურძნის წარმოება 550-560 ათას ტონიდან - 150-220 ათას ტონამდე შემცირებული. რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია კლიმატური ცვლილებები, რომელიც განსაკუთრებულ პირობებს შეუქმნის ვაშის ძირითადი მავნებელ-დაავადებების გავრცელებას, რადგანაც ჩვენთვის კარგადაა ცნობილი მათი გამრავლებისათვის საჭირო ოპტიმალური პირობები, რომელთა მატებამ ან კლებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ვაშის დაზიანების ინტენსივობის მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც უარყოფითად აისახება ყურძნის მოსავლიანობასა და მის ხარისხზე. ყოვილევ ამის გამო აუცილებელია დადგენილ იქნეს ტემპერატურისა და ტენის ცვლილების კორელაციური

დამოკიდებულება ამ მეტად საშიში მავნებლები-სა და დაავადებების გავრცელებაზე.

კლიმატის ცვლილების ზემოქმედება, სავარაუდოდ, არ იქნება თანაბარი ყველა ჯიშისა და რეგიონისათვის; გასათვალისწინებელია ექსტრემალური ამინდების უარყოფითი გავლენა, არიდულობის მაღალი დონე და სარწყავი წყლის მოთხოვნილების ზრდა და ა. შ.

საკვანძო სიტყვები: ვენახი, კლიმატი, მოსავლიანობა, ვაში, ღვინო, საქართველო, ყურძნის წარმოება, ვენახების ფართობი, ნერგები.

ABSTRACT

Grape-growing and wine-making has received the highest raising in 20th century, the vintage area has exceeded 120 000 ha; wine factories have been built; scientific centers for the field management have been established.

Notwithstanding the fact that this sector has undergone hard disruption, and today the vine planting is decreased to 40-60 thousand ha, and the grape producing has gone down from 550-560 thousand tons to 150-220, In spite of this vine-growing and wine-making are still the leading

fields of always been rendered as the business of the high priority.

Climate changes provide exceptional conditions for spreading of the grape main pests and diseases, reproduction and spreading of which significantly relate to the temperature and moisture conditions, especially in Adjara. We are familiar with the optimal conditions necessary for their reproduction and spreading increase or decrease of which might cause grape damage intensity significant change, and influence negatively the grape harvest and its quality. Due to all that it is necessary to define the correlative relation of the temperature and moisture change over spreading of these dangerous pests and diseases.

The climate change will impact the vine in the following direction: changes on grape phenology; harvest, quality, replacement of the grape spreading borders, style, assortment of species or vine-growing directions, the negative impact of the extreme weather shall be taken into account; avoidance high level and increased need for the irrigation water, etc. Adaptation might soften the negative effects caused by such changes.

Keywords: *Vineyard, climate, yield, vine, wine, Georgia, grape production, vineyards area, seedlings.*

საქართველოში მევენახეობა-მელვინეობამ განსაკუთრებულ აღმავლობას მე-20 საუკუნეში მიაღწია, როცა ვენახების ფართობმა 120 000 ჰექტარს გადააჭარბა; აშენდა ღვინის ახალი ქარხნები; შეიქმნა დარგის მართვის მძლავრი სამეცნიერო ცენტრები.

საქართველოში მევენახეობამ საზოგადოებრივი წარმოების წესის შეცვლის შემდეგ მძიმე რღვევა განიცადა და დღეისათვის არსებული არასრული მონაცემებით ვაზის წარგობა 40-60 ათას ჰექტარამდეა შემცირებული, ხოლო ყურძნის წარმოება 550-560 ათას ტონიდან - 150-220 ათას ტონამდეა შემცირებული.

მიუხედავად ასეთი რთული მდგომარეობისა, მევენახეობა-მელვინეობა კვლავ რჩება საქართველოს აგროსასურსათო სექტორის წამყვან დარგად, განსაკუთრებით კახეთში, სადაც ვაზის და ღვინის წარმოებას განსაკუთრებული პრიორიტეტი ენიჭება.

UNFCCC (2009) - ის ანგარიშში (1955-1970 და 1990-2005 წწ) მოყვანილი წლების შედეგებიდან გამომდინარე კლიმატური ცვლილებების შეფასებისას ირკვევა, რომ საქართველოში ზამთრისა და ზაფხულის სეზონებზე ქვეყნის დასავლეთ ნაწილში საშუალო წლიური ტემპერატურა გაიზარდა 0,2-0,4 °C-ით, ხოლო ნალექების რაოდენობა - 8-13%-ით. მსგავსად ამისა, აღმოსავლეთ საქართველოში ტემპერატურა გაიზარდა 0,6° C -ით, ხოლო ნალექების რაოდენობა - 6%-ით. არარეგულარი ნალექები იწვევს ძლიერ წვიმებს, რასაც წყალდიდობა და მნიშვნელოვანი ეკონომიკური დანაკარგები მოაქვს. აღმოსავლეთ საქართველოში გაიზარდა გვალვის პერიოდი 54-დან 72 დღემდე და გაორმაგდა გვალვის სიხშირე; აქვე ძლიერი ქარების სიხშირე ხუთჯერ მეტია, ვიდრე გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში.

ნავარაუდებია, რომ საქართველოში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 2030 – 2040 წლებისათვის შესაბამისად 1,4-2,1° C-ით გაიზარდება, ატმოსფერული ნალექების ჯამი კი 3%-ით შემცირდება (IPCC 2007); 2100 წლისათვის ალპზნის აუზში ნაკადების ჩადინება 26 – 35%-ით შემცირდება (UNDP 2011); მოხდება სტეპის (ველის) ეკოსისტემის მზარდი დეგრადაცია ბარში, ტყეების გადანევა ზედა მიმართულებით, ინვაზიური სახეობების გაფართოება და უკიდურესი ბუნებრივი ფენომენების გაზრდილი სიხშირე. ეს ფაქტორები კი ზრდის გარემოს რისკებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, რადგან ტემპერატურის ზრდამ და ტენიანობის შემცირებამ შესაძლოა გამოიწვიოს წყლის დეფიციტი და სასოფლო-სამეურნეო მცენარეების გაზრდილი დაუცველობა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ, რაც საბოლოო ჯამში გამოიწვევს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემცირებას, მათ შორის ღვინის წარმოების შემცირებას 10-15%-ით. დასანანია, რომ ქართული მევენახეობა-მელვინეობის ასეთი ჩამორჩენა, მაშინ, როცა, მსოფლიოში იგი სწრაფი ტემპით ვითარდება ხუთივე კონტინენტზე. იზრდება მევენახეობა-მელვინეობის ქვეყნების რაოდენობაც. ამ ფონზე კი საქართველო ერთობ უღიმღამოდ გამოიყურება. მისი ხვედრითი წილი მსოფლიო ყურძნის წარმოებაში 0,3 პროცენტია, ღვინის წარმოებაში 0,5 პროცენტი.

აჭარა-გურიის რეგიონის მოსახლეობა ისტორიულად მევენახეობა-მელვინეობის დარგის განვითარებისადმი ტრადიციულად აქტიური დამოკიდებულებით გამოირჩეოდა, რაზედაც მეტყველებს ჩატარებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მეცნიერული კვლევების მასალები და ისტორიული ძეგლები, ადგილობრივი ენდემური ვაზის ჯიშების მრავალფეროვნება და გავრცელების არეალი, ყურძნისაგან დამზადებული ღვინო პროდუქციისა და სხვადასხვა კვების პროდუქტების გამორჩეული სამომხმრებლო თვისებები.

ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ჩატარებული კვლევები, რომლებიც განხორციელდა ქართულ და უცხოელ სპეციალისტების მიერ გახდა საფუძველი შემუშავებული იყოს ვაზის ჯიშების დარაიონების სქემები, რაიონების, ზონებისა და სოფლების მიხედვით. აჭარის რეგიონში განისაზღვრა როგორც საღვინე ისე სუფრის ყურძნის ჯიშების გავრცელების არეალი და წარმოების მიახლოებითი მასშტაბები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გასული საუკუნის 50-90 წლები, როდესაც გაფართოვდა ზვრების საერთო ფართი ისე წარმოებული ყურძნის რაოდენობა და დამზადებული ღვინი პროდუქციისა და კვების პროდუქტების მოცულობა.

ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობათა ჩამოყალიბება აჭარის რეგიონში ძირეული კორექტივები შეიტანა მევენახეობა-მელვინეობის განვითარების სტრატეგიაში. ეს დარგი მთლიანად მოექცა კერძო სექტორში, შეიცვალა და გაფართოვდა მოხმარების მოცულობა და სტრუქტურა, განსაკუთრებით ტურისტული ინდუსტრიის განვითარებასთან დაკავშირებით. შეიქმნა ოჯახური და ფერმერული მეურნეობები, რომლებიც მომხმარებელს აწვდიან სხვადასხვა სახის და ტექნოლოგიებით დამზადებულ საკუთარ ღვინო პროდუქციას.

მევენახეობა-მელვინეობა გადაიქცა მოსახლეობის დიდი ნაწილის რეალური შემოსავლების გაზრდისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გარანტიად.

1990 წლისათვის აჭარაში 1000 ჰექტარზე მეტი ვენახის ზვრები იყო და 4-5 ათასი ტონა ყურძენი იკრიფებოდა. 2014 წლისათვის კი მისი ფართობები 250 ჰექტარამდე შემცირდა. თუმცა სოფლის მეურნეობაში და მათ შორის მევენახეობა-მელვინეობაში გატარებული ღონისძიებების

შედეგად გარკვეული დადებითი ძვრები თვალში საცემია, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე აჭარაშიც. დღეისათვის აქ ვენახის ფართობები როგორც მასიური, ისე გაფანტული წესით 500 ჰექტარამდეა, რასაც ხელი შეუწყო საქართველოს მასშტაბით, როგორც მრავალწლიანი ისე ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების სანერგე და სათესლე მეურნეობების შექმნამ, საიდანაც ხშირ შემთხვევაში დაინტერესებულ ფერმერებზე ნერგები უსასყიდლოდ გაიცემოდა.

ცნობილია, რომ აჭარაში - სამხრეთ საქართველოს ამ ერთ-ერთ უძველეს და ულამაზეს კუთხეში მოსახლეობაში დღემდე შემორჩენილია დროებით მივიწყებული ვაზის ისეთი აბორიგენული ჯიშები, როგორიცაა - ბროლა, ხარისთვალა, ჯავახეთურა, შავშურა თეთრი, კლარჯული, ჭიპაკური, ჭოდი, ვაიოს საფერავი, მახათური, ვენახის დედოფალი, სანური და სხვა. ამის დასტურია 2011 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტთა და ა(ა)იპ „აგრა-რული უნივერსიტეტის“ მეზარეობის, მევენახეობისა და მელვინეობის ინსტიტუტის პროფესორების მონაწილეობით აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტში ჩატარებული სამეცნიერო ექსპედიციის შედეგები, სადაც 24 ფერმერის ნაკვეთში აღწერილია, ფოტოილუსტრირებულია და იდენტიფიცირებულია ვაზის 58-მდე ნიმუში, რომელთაგან იდენტიფიკაციის შედეგად დადგინდა 50 ჯიში, მათ შორის ადგილობრივი 34 ჯიში და ინტროდუცირებული 16 ჯიში, ამათგან 18 ჯიში თეთრყურძნიანია და 32 ფერადყურძნიანი. სამეურნეო დანიშნულების მიხედვით მონაცემები შემდეგნაირია: საღვინე - 16 ჯიში, სასუფრე-საღვინე - 8 ჯიში, სასუფრე - 19 ჯიში, საკონიაკე - 2 ჯიში და არასამრეწველო - 5 ჯიში.

საქართველოს მევენახეობისა და მელვინეობის 8 - ათასწლიანი ისტორია, არქეოლოგიური მასალები ადასტურებს, რომ ვაზის გაკულტურება ქართველურ ტომთა არეალში მოხდა, ასევე ღვინის დაყენება და სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენება (საკულტო, სამკურნალო, მრავალწლიანი კვებითი დანიშნულებით), ქვევრი, ღვინის დაყენების ინდივიდუალური წესი და სუფრაზე მოხმარება. მას შემდეგ რაც ქართველობა სამხრეთ კავკასიაში საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე დამკვიდრდა, მევენახეობა-მელვინეობის ორი მთავარი ზონა

- აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს არეალში ჩამოყალიბდა, სულ კი 20-მდე მიკროზონა. ცხადია, შესაბამისი დარაიონებული ვაზის ჯიშებით, რომლებიც შეესაბამებიან თითოეულ მიკროზონის ნიადაგობრივ და ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს.

მსოფლიოში ოთხი ათასამდე ვაზის ჯიშია აღრიცხული, აქედან 500-მდე ქართულ სინამდვილეში. მათგან მხოლოდ 41 ჯიშია სტანდარტულ ასორტიმენტში შეტანილი, 27 საღვინე ჯიშია, 14 კი სუფრის. მთავარი სამრეწველო ჯიშებია: რქანთელი, ცოლიკაური, საფერავი, კახური მწვანე, გორული მწვანე, ჩინური, ალადასტური, ჩხავერი. დანარჩენი ჯიშები კი, მათ შორის უძვირფასესი ჯიშები, მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი.

მევენახეობის პროდუქცია, სასურსათო ბალანსის მნიშვნელოვანი სეგმენტია. მსოფლიოში ტურძნის წარმოება და მისი გადამუშავება, წარმოდგენილია მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე.

ყურძნის წარმოებით ლიდერობს ევროპა, კონტინენტების მიხედვით 2005 წლის დინამიკაში მსოფლიოში წარმოებული 61,1 მილიონი ტონა ყურძნის 62,5% მოდიოდა ევროპაზე, 2012 წელს ეს მაჩვენებელი 39,0%-ით შეიცვალა, ამის მიზეზია, ის რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა ყურძნის წარმოება სხვა კონტინენტებზე კერძოდ: აზიაში - 19,4%-დან 31,2%-მდე, აშშ-ში 12%-დან 21%-მდე და ა. შ.

2012 წლის მონაცემებით, ყურძნის მწარმოებელი ქვეყნები ასე გამოიყურება: ჩინეთი, იტალია, აშშ, ესპანეთი, საფრანგეთი, თურქეთი, ჩილე, არგენტინა, ინდოეთი, ირანი. რაც შეეხება ღვინის წარმოებას, აქ ლიდერობს იტალია და საფრანგეთი.

დღევანდელ მსოფლიოში, ღვინის ბაზარი კლებადი ტენდენციით ხასიათდება, განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნებში. საქართველოზე მოდის ღვინის მსოფლიო წარმოების 0,3%. მსოფლიოში ღვინის მოხმარების საშუალო მაჩვენებელი 16,5 ლიტრს შეადგენს.

ქართული ღვინის ძირითადი საექსპორტო ქვეყნებია: რუსეთი, ბელორუსია, უკრაინა, ყაზახეთი. იზრდება ღვინის ექსპორტი ევროპის ქვეყნებში და ჩინეთში.

2012 წლის მონაცემებით მსოფლიოში ვენახების ფართობი შეადგენდა 7 009 726 ჰექტარს. ბოლო წლებში ვენახების გაშენების ყველაზე

მაღალი მაჩვენებელი აქვთ: ისრაელს, ინდოეთს, პერუს, არგენტინას. საქართველოზე მოდის მსოფლიო ვენახების რაოდენობის 0,8% (2009 წლის მონაცემები). ამ ფართობების უმეტესი რაოდენობა მოდის აღმოსავლეთ საქართველოზე. დამოუკიდებლობის შემდეგ ყურძნის წარმოების ყველაზე დიდი მაჩვენებელი საქართველოში დაფიქსირდა 2007 წელს - 227 ათასი ტონა.

კლიმატის ცვლილება განსაკუთრებულ პირობებს შეუქმნის ვაზის ძირითადი მავნებელ-დაავადებების გავრცელებას, როგორცაა ყურძნის ჭია, ვაზის აბლაბუდიანი ტკიპა, ვაზის ჭრაქი, ნაცარი, რომელთა გამრავლება-გავრცელება მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ტემპერატურასა და ტენის პირობებთან, განსაკუთრებით აჭარაში. ჩვენთვის კარგადაა ცნობილი მათი გამრავლება-გავრცელებისათვის საჭირო ოპტიმალური პირობები, რომელთა მატებამ ან კლებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ვაზის დაზიანების ინტენსივობის მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც უარყოფითად აისახება ყურძნის მოსავლიანობასა და მის ხარისხზე. ყოველგვარი ამის გამო აუცილებელია დადგენილ იქნეს ტემპერატურისა და ტენის ცვლილების კორელაციური დამოკიდებულება ამ მეტად საშიში მავნებლებისა და დაავადებების გავრცელებაზე.

კლიმატის ცვლილება ვაზზე მოქმედებს შემდეგი მიმართულებით: ცვლილებები ვაზის ფენოლოგიაზე; ყურძნის მოსავალზე; ხარისხზე; რაც ცვლის ვაზის გაადგილების ზღვრებს, ღვინის სტილზე, ჯიშურ სორტიმენტზე; კლიმატის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს არსებულ დაავადებათა ეფიქტუა ან ახალი დაავადებების გმოჩენა; კლიმატის ცვლილების ზემოქმედება, სავარაუდოდ, არ იქნება თანაბარი ყველა ჯიშისა და რეგიონისათვის; გასათვალისწინებელია ექსტრემალური ამინდების უარყოფითი გავლენა, არიდულობის მაღალი დონე და სარწყავი წყლის მოთხოვნილების ზრდა.

ვაზს საქართველოში ასამდე მავნე ორგანიზმი აზიანებს, მათგან მნიშვნელოვანია: ყურძნის ჭია, ცრუფარიანები, ტკიპები, ნაცარი, ჭრაქი, ვირუსული და სხვა ფიტოპლაზმური დაავადებები, სიდამპლეები და სხვა.

ვაზის მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ, მეცნიერების მიერ დამუშავებულია ბრძოლის ინტეგრირებული ღონისძიებები, ითვალის-

წინებს აგროტექნიკური, სელექციური, ფიზიკური, ბიოლოგიური, ბიოფიზიკური, ქიმიური და სხვა ღონისძიებების იმგვარად შეთანხმებას რის შედეგადაც მიიღება ვაზის მავნე ორგანიზმების რიცხოვნობის შემცირება, აგრეთვე ეკონომიკური და ეკოლოგიური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

ბრძოლის ინტეგრირებულ ღონისძიებებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგროტექნიკურ მეთოდს, რომლის სწორად ჩატარებასაც ემყარება დანარჩენი ბრძოლის მეთოდების ეფექტურობა.

მნიშვნელოვანია ბრძოლის ბიოლოგიური ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებს მტაცებელი და პარაზიტი მწერების და ტკიპების ხელოვნურ გამრავლებას და მათ ბუნებაში გაშვებას. ასეთებია: კრიპტოლემუსი - ფარიანების და ცრუფარიანების წინააღმდეგ, მეტისელიუსი ტკიპების წინააღმდეგ, მტაცებელი თრიფსები აბლაბუდიანი ტკიპების წინააღმდეგ, ადგილობრივი სასარგებლო მწერები - ოქროთვალურები, ჭიამაიები, მტაცებელი ბუგრები, პარაზიტოიდები და სხვა. მნიშვნელოვანია აგრეთვე მიკრობიოლოგიური პრეპარატები: სონიტი, ბიტოქსიბაცილონი, ლეპიდოციდი და სხვა.

ბრძოლის ქიმიური საშუალებებიდან უპირატესობა ენიჭება თბილისისხლიანებისათვის საშუალო და დაბალი ტოქსიკურობის პრეპარატების გამოყენებას, რომელთა სკ-50 თბილისისხლიანების მიმართ 1000 მგ/კგ ნაკლებია, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია გრემოსდაცვის თვალსაზრისით.

ვიციტ, რომ აღმოსავლეთის არეალში მევენახეობასა და ღვინის მწარმოებელ ქვეყნებს შორის საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისათვის საუკეთესო პირობები და შესაძლებლობები აქვს (ნიადაგი, კლიმატი, ყურძნის უნიკალური ჯიშები, ტრადიციები, მევენახეები, მეღვინეები), მევენახეობის პროდუქტების ყურძნის და ღვინის საერთაშორისო ბაზარზე გატანის კანონიერი უფლების აღიარებისათვის. მართალია, ქართველმა ღვინის მწარ-

მოებლებმა ბოლო წლებში შეძლეს უნიკალური ვაზის ჯიშების ყურძნისაგან დაყენებული ღვინით საერთაშორისო ბაზარზე გასვლა, ევროპული და ამერიკელი მომხმარებლის მოზიდვა, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. მევენახეობა-მეღვინეობის სახელმწიფოს მხრიდან საგანგებო ხელშეწყობა სჭირდება.

მისასალმებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ჯილაურას ექსპერიმენტული საცდელი მეურნეობის საქმიანობა, რომელიც 15 ჰექტარზეა გაშენებული და გამოჰყავს ვაზის სხვადასხვა ჯიშის ნერგები მოსახლეობისათვის გადასაცემად. ამ მეურნეობას ბატონ ბიძინა ივანიშვილის ფონდმა „ქართუმ: 10 წლის წინათ ჩაუყარა საფუძველი. იქ დღეისათვის 300-ზე მეტი ქართული ვაზის ჯიშია გაშენებული. მათ შორის გაქრობის პირას მისული ჯიშებიც. აქვეა ყურძნისა და ღვინის წარმოებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა. ადმინისტრაციული შენობები, ლაბორატორიები, მარნები. რამდენიმე წლის წინათ მან ეს მეურნეობა საჩუქრად გადასცა სახელმწიფოს.

უცხოელი მეცნიერები ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ, - საქართველო კულტურული მევენახეობა-მეღვინეობის სამშობლოა. იგი ქართველი ერის შემოქმედებაა და ქართველ კაცთან ერთად განვითარდა. ვეთანხმებით იმ აზრს, რომ პერსპექტივაში საქართველო ყურძნის და ღვინის წარმოებით არსებით გავლენას ვერ მოახდენს მსოფლიო ბაზარზე, მაგრამ იქ ადგილის დამკვიდრება უდიდეს სიკეთეს მოგვითმის. ჩვენ რაოდენობას არ უნდა გამოვეკიდოთ. 90-100 ათასი ჰექტარი ვენახები გვეყოფა, საიდანაც 300-3500 ათასი ტონა ყურძენი შეიძლება მოგვკრიფოთ, მაგრამ ეს უნდა იყოს გამორჩეული ჯიშები, ეკოლოგიურად სუფთა და მაღალიხარისხის. ასეთ შემთხვევაში ისეთი ღვინოები შეიძლება ვაწარმოოთ, რომელთაც მსოფლიო ბაზარზე პირდაპირ დაიტაცებენ. ამას სჭირდება მაღალორგანიზებული შრომა. მევენახეობისადმი სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ხელშეწყობა.

ლიტერატურა/REFERENCES

- [1] გ. ბადრიშვილი. ვენახის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიები. თბ., 2016; C. Badrishvili. Modern technologies for the maintenance of the vineyard. თბ., 2016;
- [2] გ. ალექსიძე, გ. ჯაფარიძე. გლობალური დათბობის გავლენა ვაზის ზრდა-განვითარებასა და მოსავლიანობაზე. თბ., 2017; C. Aleksidze, G. Japaridze. Influence of global warming on growth and development of vine თბ., 2017;
- [3] ნ. ჩხარტიშვილი. მევენახეობის აგრონესები. თბ., 2015; N. Chkhartishvili. Viticulture farmers. თბ., 2015;
- [4] ნ. ჩხარტიშვილი. ღვინის დაყენება. თბ., 2014; N. Chkhartishvili. Winery თბ., 2014;
- [5] საერ. სამეც. კონფერენცია - მევენახეობა და მეღვინეობა ევროპის ქვეყნებში. თბ., 2017; At the Yes Conference - Viticulture and winemaking in European countries. თბ., 2017;
- [6] ნ. ბაღათურია, ქვევრის ქართული ღვინოების წარმოების ტექნოლოგიის მეცნიერული საფუძვლები. თბ., 2015; N. Bagaturia, scientific basis for technology of production of Georgian wines of qvevri. თბ., 2015;
- [7] ე. ხარაიშვილი, საქართველოს აგროტურისტული პროდუქტების კონკურენტუნარიანობა. საერ. სამეც. კონფ. მასალები „ეკონომიკა და ბიზნესი“, ბათ., 2010; E. Kharaishvili, Competitiveness of agro products of Georgia. At the Yes Conf. Materials “Economics and Business”, Batumi, 2010;
- [8] ე. ხარაიშვილი, ღვინის ბაზარი და მევენახეობა-მეღვინეობის დივერსიფიკაციის კონკურენტული მოდელები საქართველოში. თბ., 2017; E. Kharaishvili, Wine Market and Competitive Models of Diversification of Viticulture and Winemaking in Georgia. თბ., 2017;
- [9] გ. პაპუნიძე, მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარება აჭარა-გურიის რეგიონში. თბ., 2017; C. Papunidze, development of viticulture and wine industry in Adjara-Guria region. თბ., 2017;
- [10] ი. ჭავჭავაძე, მევენახეობა-მეღვინეობა. თბ., 2017. I. Chavchavadze, viticulture and winemaking. თბ., 2017.

„ერთი სარტყელი-ერთი გზა“ და საქართველოს სატრანსპორტო ღერეუნი პერსპექტივები

“ONE BELT - ONE ROAD” AND PROSPECTS OF GEORGIA’S TRANSPORT CORRIDOR

პაატა აროშიძე,

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
ბათუმი, საქართველო

PAATA AROSHIDZE

Candidate of Economic Sciences
Associate Professor of the Batumi
Shota Rustaveli State University.
Batumi, Georgia

ანოტაცია

2014 წლის ბოლოს, ჩინეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ განცხადა მზაობა ჩამოეყალიბებინა „აბრეშუმის დიდი გზის“ ალტერნატივა - „ერთი სარტყელი-ერთი გზა“. ამ პროექტის მიხედვით, ჩინეთი ეკონომიკურად უკავშირდება ევროპას, ცენტრალურ და სამხრეთ დასავლეთ აზიას, აფრიკასა და ავსტრალიას. ამ პროექტის მიზანს წარმოადგენს ტექნოლოგიისა და „ნოუ-ჰაუს“ ექსპორტი ჩინეთიდან, მაღალსიჩქარიანი რკინიგზა, ინფრასტრუქტურის განვითარება და მომსახურების განვითარება მთელი მსოფლიოსათვის. სამაგიეროდ ჩინეთი მოახდენს ისეთი პროდუქციის იმპორტირებას, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ჯანდაცვის პროდუქცია, ენერგეტიკული პროდუქცია და სხვა ისეთი მნიშვნელოვანი საქონელი, რომელიც აუცილებელია ჩინეთისათვის. „დიდი აბრეშუმის გზის“ თანამედროვე ვერსიას გააჩნია სერიოზული საფუძველი, რათა მთლიანად შეცვალოს გლობალური ეკონომიკური ლანდშაფტი. ჩინეთი „მსოფლიო ფაბრიკიდან“ იქცევა ტექნოლოგიებისა და ტექნიკის მთავარ ექსპორტიორად, „მსოფლიო სავაჭრო ცენტრად“ და ცენტრალური ელექტრონული ვაჭრობის მთავარ ჰაბად. „ერთი სარტყელი-ერთი გზა“ უზრუნველყოფს არა მხოლოდ ტვირთბრუნვის გაზრდას ჩინეთსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის, არამედ მოხდება ევროპასა და აზიას შორის გამოცდილების გაცვლა. პროექტი მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: 1. ჩინეთი-ცენტრალური აზია-რუსეთი-ევროპა (ბალტიის ზღვით); 2. ჩინეთი-ცენ-

ტრალური აზია-დასავლეთი აზია-სპარსეთის ყურე-ხმელთაშუა ზღვა; 3. ჩინეთი-ჩრდილოეთ ალმოსავლეთი აზია-სამხრეთი აზია-ინდოეთის ოკეანე. ამ მიმართულებებით დაგეგმილია შეიქმნას საერთაშორისო ეკონომიკური დერეფნები: „ჩინეთი-მონღოლეთი-რუსეთი“, „ჩინეთი-ცენტრალური აზია-დასავლეთი აზია“, „ჩინეთი-ინდონეზიის“, „ჩინეთი-პაკისტანი“, „ბანგლადეში-ინდოეთი - ჩინეთი“ და „ჩინეთი-ხმელთაშუა ზღვა“.

საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ამ პროექტის განხორციელება, რადგან ჩინეთი ხმელთაშუა ზღვის ეკონომიკური კორიდორი ესაზღვრება საქართველოს ტერიტორიას და ამ კონტექსტით შეიძლება გამოყენებულ იქნას ქვეყნის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2017 წლის მაისში საქართველოსა და ჩინეთს შორის დაიდო თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, ასევე ჩინეთმა გამოთქვა მზადყოფნა დააფუძნოს საქართველოში საერთაშორისო ბანკი, რომლის კაპიტალი 1 მლრდ. აშშ დოლარი იქნება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს საზღვაო პორტების გამოყენების პერსპექტივა. ოფიციალურ რუკაზე, რომელიც მოიცავს პროექტ „ერთი სარტყელი-ერთი გზას“, მონიშნულია ანაკლიის ღრმანყოფილება პორტი.

შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთის ახალი პროექტი საქართველოს სატრანზიტო ფუნქციას ახალ შესაძლებლობებს მისცემს, რაც პირველ რიგში ქვეყნის გეოპოლიტიკური სტრატეგიის უზრუნველყოფას შეუწყობს ხელს, ეს კი საფუძ-

ველი უნდა გახდეს პოლიტიკური უსაფრთხოებისა და ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას.

საკვანძო სიტყვები: ერთი სარტყელი-ერთი გზა, ჩინეთი, საქართველო, სატრანსპორტო კორიდორი, სავაჭრო ხელშეკრულება

ABSTRACT

By the end of 2014, the central government of China declared the readiness to develop "alter of the Great Silk Road" – "One Belt - One Road". According to this project, China will economically be connected to Europe, the central and South-West Asia, Africa and Australia. The goal of this project is to export technology and "know-how" from China, high-speed railways, infrastructure development and service delivery to the whole world. Instead China will be able to import agricultural, health care and energy products, also other important commodities that are essential for China. The modern version of the "Great Silk Road" has the serious basis to fully change the global economic landscape. China from "World Factory" will become the main exporter of technologies and techniques, "World Trade Center" and the main hub of central electronic trade. "One Belt - One Road" will not only increase cargo turnover between China and the rest of the world, but also will make it possible to exchange experience between Europe and Asia. The project includes the following directions: 1. China-Central Asia-Russia-Europe (with the Baltic Sea); 2. China-Central Asia-West Asia-Persian Gulf-Mediterranean Sea; 3. China-North-East Asia-South Asia-India Ocean. The international economic corridors are planned to be created in these directions of: "China-Mongolia-Russia", "China-Central Asia-West Asia", "China-Indochina", "China-Pakistan", "Bangladesh-India-China" and "China-Mediterranean Sea".

Implementation of this project is important for Georgia, because the economic corridor of China-Mediterranean Sea borders the territory of Georgia and the country's favorable geopolitical location can be used in this context. It should particularly be noted that in May 2017, the Free Trade


Agreement was signed between Georgia and China, and China expressed readiness to establish an international bank in Georgia with a capital of 1 billion US dollars. Especially important is the prospect of the use of marine ports of Georgia. On the official map, which includes the project "One Belt - One Road" the Deep Sea Port of Anaklia is marked.

It can be said that the new project of China will give a new possibilities to the transit function of Georgia, which will facilitate the country's geopolitical strategy and should be the basis for political security and economic growth of the country.

keywords: One Belt - One Road, China, Georgia, Transport Corridor, Trade გრემენტ

შესავალი

2014 წლის ბოლოს, ჩინეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ განაცხადა მზაობა ჩამოეყალიბებინა „აბრეშუმის დიდი გზის“ ალტერნატივა - „ერთი სარტყელი-ერთი გზა“. ახალი სტრატეგიის მიხედვით, ჩინეთი ეკონომიკურად უკავშირდება ევროპას, ცენტრალურ და სამხრეთ დასავლეთ აზიას, აფრიკასა და ავსტრალიას. ამ პროექტის მიზანს წარმოადგენს ტექნოლოგიისა და „ნოუ-ჰაუს“ ექსპორტი ჩინეთიდან, მაღალსიჩქარიანი რკინიგზა, ინფრასტრუქტურის განვითარება და მომსახურების გაწევა მთელი მსოფლიოსათვის. სამაგიეროდ ჩინეთი მოახდენს ისეთი პროდუქციის იმპორტირებას, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ჯანდაცვის პრდუქცია, ენერგეტიკული პროდუქცია და სხვა ისეთი მნიშვნელოვანი საქონელი, რომელიც აუცილებელია ჩინეთისათვის. „დიდი აბრეშუმის გზის“ თანამედროვე ვერსიას გააჩნია სერიოზული საფუძველი, რათა მთლიანად შეცვალოს გლობალური ეკონომიკური ლანდშაფტი. ჩინეთი „მსოფლიო ფაბრიკიდან“ იქცევა ტექნოლოგიებისა და ტექნიკის მთავარ ექსპორტიორად, „მსოფლიო სავაჭრო ცენტრად“ და ცენტრალური ელექტრონული ვაჭრობის მთავარ ჰაბად. „ერთი სარტყელი-ერთი გზა“ უზრუნველყოფს არა მხოლოდ ტვირთბრუნვის გაზრდას ჩინეთსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის, არამედ მოხდება ევროპასა და აზიას შორის გამოცდილების გაცვლა.



**ჩინეთის ეკონომიკური განვითარების
ახალი სტრატეგია და მისი არსი
ეკონომიკური სარტყელის ძირითადი მი-
მართულებებია:**

- ჩრდილოეთი (ჩინეთი-ცენტრალური აზია-რუსეთი-ევროპა(ბალტიის ზღვამდე))
- ცენტრალური (ჩინეთი-ცენტრალური და დასავლეთ აზია-სპარსეთის ყურე-ხმელთაშუა ზღვა)
- სამხრეთი (ჩინეთი-სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია-სამხრეთ აზია-ინდოეთის ოკეანე)

საზღვაო „აბრეშუმის გზის“ ძირითადი მიმართულებები:

- ჩინეთის ნავსადგურებიდან სამხრეთ ჩინეთის ზღვის გავლით, წყნარი ოკეანის სამხრეთ აკვატორია;
- ჩინეთის ნავსადგურებიდან სამხრეთ ჩინეთის ზღვის გავლით ინდოეთის ოკეანემდე და იქედან ევროპის მიმართულებით.

პროექტის ძირითადი მონაწილე ქვეყნები არიან: ჩინეთი, რისეთის ფედერაციული რესპუბლიკა, მონღოლეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, პოლონეთი, გერმანია, ნიდერლანდი, პაკისტანი, ბანგლადეში, მიაშნა (ყოფილი ბირმა), ინდოეთი და ირანი.


ჩინეთის ინიციატივას უკვე შეუერთდა 100-ზე მეტი ქვეყანა და საერთაშორისო ორგანიზაცია. 40-ზე მეტმა ქვეყანამ ჩინეთთან უკვე გააფორმა თანამშრომლობის ხელშეკრულება, ბოლო სამი წლის განმავლობაში, „სარტყელის“ მონაწილე ქვეყნების ეკონომიკაში ჩინეთმა უკვე დააბანდა დაახლოებით 50 მლრდ. აშშ. \$-ის კაპიტალი. ამ პერიოდის განმავლობაში, ჩინური კორპორაციების მიერ 20-ზე მეტ ქვეყანაში შეიქმნა 56 სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ზონა, 180 ათასი სამუშაო ადგილი, ამ ქვეყნების ბიუჯეტებში შევიდა 1 მლრდ. აშშ. \$-ზე მეტი შემოსავლები. სტრატეგიის მონაწილე 43 ქვეყნის ეკონომიკაში ჩინურმა კორპორაციებმა დააბანდეს 3 მლრდ. დოლარამდე არასაფინანსო აქტივები.

ორი ძირითადი მიმართულებიდან იგეგმება შემდეგი ეკონომიკური დერეფნების შექმნა:

- „ჩინეთი-მონღოლეთი-რუსეთი“
- „ჩინეთი-ცენტრალური აზია-დასავლეთ აზია“
- „ჩინეთი-ინდოჩინეთი“
- „ჩინეთი-პაკისტანი“
- „ბანგლადეში-ინდოეთი-მიაშნა (ბირმა)-ჩინეთი“
- „ჩინეთი-ხმელთაშუა ზღვა-ევროპა“

MERICIS China Mapping

One Belt, One Road: With the Silk Road Initiative, China Aims to Build a Global Infrastructure Network
 Projects completed and planned December 2015



ჩინეთის სტრატეგია და საქართველოს ინტეგრაცია

საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ამ პროექტის განხორციელება, რადგან ჩინეთი ხმელთაშუა ზღვის ეკონომიკური კორიდორი ესაზღვრება საქართველოს ტერიტორიას და ამ კონტექსტით შეიძლება გამოყენებულ იქნას ქვეყნის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა. რა შეიძლება მივიღოთ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენც ჩავერთვებით ამ პროექტში:

1. მსხვილი სატრანზიტო ქვეყნის სტატუსი - დღეისათვის, საქართველოს ტერიტორიაზე გადის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-სუფსის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გზასადენი და რუსეთი-სომხეთის გაზსადენი. სწორედ მიღსადენი ტრანსპორტის განვითარებასთანაა დაკავშირებული საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის აღიარება გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდისა. ტრანსპორტის ამ სახეობის განვითარებას ხელი შეუწყო იმ დროინდელ მსოფლიოში არსებულმა ობიექტურმა თუ სუბიექტურმა პირობებმა. ობიექტური პირობებიდან აღსან-

იშნავია, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ირანს შორის არსებული დაძაბული პოლიტიკური ვითარება, ევროპის სურვილი და მისწრაფება, მოეხდინა რუსული ნავთობისა და გაზის ალტერნატიული მიმწოდებლების გამოძებნა, ხოლო სუბიექტური პირობებიდან ჩვენ ვთვლით საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ავტორიტეტს, რომელმაც ფაქტიურად დაითანხმა აშშ-ს, თურქეთისა და აზერბაიჯანის პირველი პირები, რომ „საუკუნის პროექტის“ ერთ-ერთ მონაკვეთს საქართველოს ტერიტორიაზე გაეგლო. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ქვეყნებმა და განსაკუთრებით აშშ-მ და ევროპის ქვეყნებმა მზადყოფნა გამოთქვეს ამ წინადადების მისაღებად. აქ მთავარი როლი ითამაშა იმანაც, რომ საერთაშორისო მიღსადენების პროექტის განხორციელება საშუალებას იძლეოდა, მომხდარიყო რუსული გავლენის სფეროს გარკვეულწილად შეზღუდვა და ამერიკული თუ ევროპული გავლენის გაძლიერება.

ჩინური სტრატეგიის განხორციელება საქართველოსათვის მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაღრმავდეს საქართველოს,

როგორც სატრანზიტო ქვეყნის სტატუსი. შესაძლებელია, ნავთობპროდუქტების სატრანზიტო სტატუსს დაემატოს უმსხვილესი სატრანსპორტო სატრანზიტო ქვეყნის სტატუსიც, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველ რიგში ეკონომიკური აღმავლობისათვის, ხოლო შემდეგ - პოლიტიკური თუ საერთაშორისო ასპარეზზე სტიმულირებისათვის, თუმცა, აქვე უნდა ავლიწინოთ, რომ საერთაშორისო ნავთობსადენებმა და სატრანზიტო ქვეყნის სტატუსმა, საქართველო ვერ დაიცვა რუსული აგრესიისაგან 2008 წლის აპრილში. ჩვენი მოსაზრებით, სწორედ ეს ფაქტი გახდა რუსეთის აგრესიის გამომწვევი, რადგან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენმა პრაქტიკულად ნავთობის გარეშე დატოვა ბაქო-ნოვოროსიისკის ნავთობსადენი და კითხვით ნიშნის ქვეშ დააყენა, რუსეთის, როგორც ევროპის ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობმომმარაგებლის სტატუსი.

საქართველოს საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურებში 2015 წლის მდგომარეობით, შემდეგი მაჩვენებლები ფიქსირდება

სტრატეგიის ოფიციალურ რუკაზე, რომელიც მოიცავს პროექტ „ერთი სარტყელი-ერთი გზას“, მართალია, საქართველოს ტერიტორია „სარტყელის“ უშუალო განმახორციელებელი ქვეყნების არეალში არ მოიაზრება, მაგრამ მასზე აღნიშნულია საქართველოში მშენებარე ღრმანყოფანი პორტი ანაკლია. კომპანია „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ (JSC Anaklia Development Consortium (Georgia), რომელიც ანაკლიაში ღრმანყოფანი პორტის მშენებლობით არის დაკავებული, წარადგინა პორტის განვითარების გენერალური გეგმა, რომლის მშენებლობა 2017 წლის შემოდგომაზე დაიწყება. პორტის მშენებლობის პირველ ფაზაზე 586 მლნ. აშშ. \$-ის ინვესტიცია უნდა განხორციელდეს. მთავრობის მიერ გაცხადებული ინფორმაციით, ანაკლიის პორტის სიღრმე (20,5 მ.) შესაძლებელს გახდის სხვადასხვა ტიპის გემების მიღებას. პორტის გამტარუნარიანობა 100 მლნ. ტ. იქნება.

მოგვყავს ამონარიდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტ ბატონ ირაკლი დანელიას სტატიიდან „ანაკლიის პორტი და მისი პერსპექტივები“, რომელიც გამოქვეყნებულია 2016 წლის 18 აპრილს ჟურნალ „ფორბსში“

2013 წელს სახმელეთო საკონტეინერო ტერმინალის მშენებლობის დასრულებით „ეი-პი-ემ ტერმინალსმა“ პირველი ნაბიჯი გადადგა პორტის ფართომასშტაბიანი რეკონსტრუქცია/გაფართოების პროექტის განხორციელებისკენ. პროექტის მომდევნო ეტაპი, რომელიც, სავარაუდოდ, 2018 წელს დასრულდება, მოიცავს ორი ახალი ღრმანყოფანი ნავმისადგომის მშენებლობას, რომელთა წლიური გამტარუნარიანობა 1 მლნ TEU იქნება, ხოლო ნავმისადგომზე შესაძლებელი იქნება 9,000 TEU სიმძლავრის გემების მიღება. არსებული სახმელეთო საკონტეინერო ტერმინალის წინ ახალი ნავმისადგომების მშენებლობა დაგეგმილი, რაც საშუალებას მისცემს გაფართოებულ ღრმანყოფან ფოთის მეგაპორტს, სრულად გამოიყენოს არსებული ტერმინალი, სამანქანო გზა და სარკინიგზო ინფრასტრუქტურა. პროექტის დასრულების შემდგომ ფოთის მეგაპორტის წლიური ტვირთბრუნვის სიმძლავრე იქნება 50 მილიონი ტონა და 2 მილიონი TEU კონტეინერი. ფოთის მეგაპორტში, რომლის სიღრმე 16 მეტრამდე იქნება, შესაძლებელი გახდება დიდი გემების, ე.წ. მაზერვესელების, შემოსვლა. რაც შეეხება ბათუმის პორტის შესაძლებლობებს: მისი საკონტეინერო ტერმინალის გამტარუნარიანობა წელიწადში 100,000 TEU-ს შეადგენს, ხოლო ტერმინალის ნომინალური წლიური გამტარუნარიანობა – დაახლოებით 700,000 ტონას. მშრალი ტვირთების ტერმინალი ემსახურება დიდ და მცირე ტონაჟიან გემებს. მშრალი ტვირთების ტერმინალის მაქსიმალური გამტარუნარიანობა წელიწადში 2 მილიონი ტონაა. ფოთის პორტის მსგავსად, ბათუმის ნავსადგურის გამტარუნარიანობა ბოლომდე აუთვისებელია არსებული მცირე ტვირთბრუნვის კიდეც უფრო შემცირების ტრენდის პირობებში. 2015 წელს ქართულ პორტებში გადამუშავებული ტვირთების მოცულობა წინა წელთან შედარებით 2.1 მლნ ტონით შემცირდა – 21.3 მლნ ტონიდან 19.2 მლნ ტონამდე. 2014 წელს გადაზიდვების მოცულობის მკვეთრი ვარდნა დაფიქსირდა როგორც ფოთის (8.6 მლნ ტონიდან 6.8 მლნ ტონამდე), ისე ბათუმის (6.3 მლნ ტონიდან 5.7 მლნ ტონამდე) პორტებში, ხოლო ტვირთბრუნვა უმნიშვნელოდ გაიზარდა ყულევის პორტში (2.1 მლნ ტონიდან 2.5

მლნ ტონამდე). ზემოთქმულიდან გამომდინარე, რთულია მოკლე- და საშუალოვადიან პერიოდში ანაკლიის პორტის წარმატებაზე საუბარი. მრავალი მოსაზრების მიუხედავად, დღემდე მაინც ბუნდოვანი რჩება პასუხი კითხვაზე, რა პერსპექტივა აქვს ანაკლიის ახალი პორტის მშენებლობას იმ ლოკალური, რეგიონული და საერთაშორისო გამოწვევების პირობებში, რომლებიც შესაძლოა, ამ პროექტის მიზეზიც იყოს და შედეგიც.

2. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება - თანამედროვე საქართველოს ძირითადი გამოწვევაა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი ჩართვა საერთაშორისო გადაზიდვებში. ქვეყნის სატრანზიტო სტატუსის განმტკიცებისათვის ამ სფეროს განვითარება მნიშვნელოვანია. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, გარდა მილსადენი ტრანსპორტისა, წარმოდგენილია სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალების სახით. სარკინიგზო

ცხრილი №1

	ბათუმის პორტი	ფოთის პორტი	ყულევის პორტი	სუფსის საზღვაო ტერმინალი
გადამუშავებული ტვირთების რაოდენობა(მლნ. ტ.)	5,7	6,8	2,5	4,2
გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობა	54,695 TEU	325,121 TEU	-	-
საკონტეინერო ტერმინალის გამტარუნარიანობა(წ.)	100 000 TEU	400 000 TEU	-	-

1 TEU -20 ფუტი - 6,1 მეტრი.

ცხრილი შედგენილია <https://bpn.ge/ekonomika/20177-saqarthvelos-portebi.html?lang=ka-GE-s>

მონაცემების მიხედვით, ჩვენს მიერ

როგორც ვხედავთ, შედარებითი ანალიზის მიხედვით (იხ. ცხ. №1), ანაკლიის ღრმანწყლოვანი პორტი ყველაზე უკეთეს სასტარტო პირობებში იმყოფება საქართველოს სხვა პორტებთან შედარებით. კითხვა, პერსპექტიულია თუ არა ამ პორტის მშენებლობა, ვფიქრობთ, რომ პასუხგაცემულია, რადგან სტრატეგია „ერთი სარტყელი - ერთი გზა“ მიუთითებს, რომ საქართველოს პორტი გამოყენებული იქნება სატრანზიტო გადაზიდვებისათვის. პორტის ტერმინალის ოპერატორი მსოფლიოს უმსხვილესი სანავსადგურე სატერმინალო ოპერატორი SSA Marine გახდა. SSA Marine-იმსოფლიოს ხუთ კონტინენტზე, 250 ზე მეტ სტრატეგიული ტერმინალზე ახდენს ოპერირებას და წლიურად 27.2 მილიონ კონტეინერს (TEU) ემსახურება. გარდა ამისა, SSA Marine-ი მთელს მსოფლიოში 75 მილიონზე მეტ მშრალ ტვირთს ამუშავებს, ახდენს საკრუიზო გადაყვანებს მექსიკასა და ამერიკაში, ხოლო ამერიკაში 30-ზე მეტ პირველი კლასის ინტერმოდალურ სარკინიგზო მაგისტრალს უწევს ექსპლუატაციას.

მომსახურების უპირატესობები მისი ეკონომიურობა, სანდობა და ტევადობაა. სარკინიგზო ხაზი მხოლოდ სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართულებითაა გახსნილი.

საქართველოს ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სატრანზიტო პოტენციალის ზრდისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა. ამ პროექტს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური დატვირთვა აქვს. გარდა იმის, რომ ერთმანეთთან აკავშირებს მასში უშუალოდ მონაწილე სამ პარტნიორ ქვეყანას, ამ რკინიგზის მეშვეობით შესაძლებელი ხდება აზიიდან ევროპაში ტვირთების გადატანა. რკინიგზა ჩინეთიდან წამოსულ ტვირთებს ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებით გაატარებს. ტვირთების გატარების ვადები 12-15 დღით შემოიფარგლება. საწყის ეტაპზე რკინიგზა 6 მლნ. ტ. ტვირთს გადაიტანს. 2034 წლისათვის კი - 17 მლნ. ტონას. ექსპლუატაციის დაწყებისას გადაყვანილ იქნება 1 მლნ. მგზავრი, 2034 წელს 3 მლნ. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის სიგრძე 826 კილომეტრია.

აქედან საქართველოს ტერიტორიაზე გაივლის 254 კმ. პროექტის მიხედვით, რკინიგზა 2017 წელს უნდა ამოქმედებულიყო, მაგრამ არის გარკვეული შეფერხება თურქეთის მონაკვეთზე.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაცია-მშენებლობა. 2017 წლის მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე გადის 1603 კმ. საერთაშორისო მნიშვნელობის გზა, მოქმედებს 567 საერთაშორისო მნიშვნელობის ხიდი და 16 საერთაშორისო მნიშვნელობის გვირაბი. საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის ამაღლებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2018 წლიდან დაგეგმილი (ან უკვე დაწყებული) პროექტები, განვიხილოთ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პროექტები, რომლებიც შესაძლოა ჩართულ იქნენ ჩინეთის საერთაშორისო ეკონომიკურ სტრატეგიაში.

- რიკოთის უღელტეხილზე 52 კილომეტრზე ავტობანის მშენებლობის პროექტირება იწყება. ოთხზოლიანი გზის პროექტირებისთვის მომდევნო წლის განმავლობაში 40 მილიონი აშშ დოლარი დაიხარჯება. ალტერნატიულ მარშრუტად ხარაგაულის შემოვლითი გზა განიხილება. ავტობანს ექნება განშტოებებიც – ახალი გზები მივა ფოთსა და ანაკლიაში. ჩუმათელეთი-არგვეთას 52 კილომეტრიანი თანამედროვე სტანდარტების საავტომობილო გზის ასაშენებლად 50-მდე გვირაბის და ამდენივე ხიდის აშენებაა საჭირო. რიკოთზე ავტობანის მშენებლობის საპროექტო პერიოდია ორწლიანდინახევარი. მონაკვეთი ოთხ ლოტად არის დაყოფილი. პირველი ლოტის მშენებლობას მსოფლიო ბანკი აფინანსებს, მეორე, მესამე და მეოთხე ლოტებს კი - „აზიის განვითარების ბანკი“ „აზიის საინვესტიციო ბანკთან“ ერთად. ასეთი სირთულის პროექტი დღესდღეობით ევროპაში არსად არ მიმდინარეობს.

- ბათუმის შემოვლითი გზის 14 კილომეტრიანი მონაკვეთის საშენებლო სამუშაოებისთვის სატენდერო პროცედურები მიმდინარეობს. არსებული გზა გადის ტურისტულ და საცხოვრებელ ზონაში, რაც პრობლემას უქმნის განსაკუთრებით საერთაშორისო სატრანზიტო ტრანსპორტს, რომელსაც ვიწრო ქუჩებში უნ-

ევს მოძრაობა. ბათუმი-ფოთის მონაკვეთზე საერთაშორისო ტრანსპორტის დიდი რაოდენობა მოძრაობს, გზაზე გადატვირთული მოძრაობა და ცუდი საგზაო პირობები იწვევს საცობებს, სახიფათო სიტუაციებს. პრობლემის გადასაჭრელად უკვე აშენდა ქობულეთის შემოვლითი გზის პირველი მონაკვეთი და მიმდინარეობს მეორე მონაკვეთის მშენებლობა. აღნიშნულ მონაკვეთებს დაემატება ბათუმის შემოვლითი გზა, რაც სრულად გატვირთავს მოძრაობას საკურორტო ზონაში, გაიზრდება სატრანზიტო ტვირთბრუნვა. ჩქაროსნული ავტომაგისტრალი უმოკლესი დამაკავშირებელი გზაა ევროპასა და აზერბაიჯანს, სომხეთს და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის შავი ზღვის პორტების საშუალებით ფოთსა და ბათუმში. მას აგრეთვე შეუძლია დააკავშიროს რუსეთი და თურქეთი. ფიზიკური მდებარეობა უზრუნველყოფს, რომ ის გახდეს ძირითადი სატრანსპორტო რგოლი შავ ზღვას, კასპიის ზღვასა და ცენტრალურ აზიას შორის. ვაჭრობა მეზობელ ქვეყნებთან, როგორც სატრანზიტო, ისე ორმხრივი, ეკონომიკის ძალიან მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენს.

3. ჩინეთთან ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავება - ჩინეთი საქართველოს სავაჭრო პარტნიორების ოთხეულში შედის. ამ წლის იანვარ-თებერვალში სავაჭრო ბრუნვამ 109,1 მილიონ დოლარი შეადგინა, რაც საქართველოს სრული სავაჭრო ბრუნვის 7,7% შეადგენს.

ჩინეთში სპილენძის მადანი და კონცენტრატი, სპილენძის მეორადი ნედლეული და ალკოჰოლი გადის. 2015 წლის განმავლობაში ქართული ღვინის ექსპორტი 122%-ით გაიზარდა. სულ ჩინეთში 2015 წელს 2,7 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინო გავიდა, რაც ღვინის მთელი ექსპორტის 7,4 %-ს შეადგენს. ღვინის ექსპორტის მიხედვით ჩინეთი მეხუთე ადგილზეა რუსეთის, უკრაინას, ყაზახეთისა და პოლონეთის შემდეგ.

საქართველო რეგიონში პირველი ქვეყანაა, ვისთანაც ჩინეთმა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გააფორმა. ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ამოქმედების შემდეგ საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას გაეხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც აერთიანებს დაახლოებით 1,4 მილიარდ მომხმარებელს. ქართველ მწარ-

მოებლებს შესაძლებლობა ექნებათ, ჩინეთის ბაზარზე დამატებითი საბაჟო გადასახადის გარეშე შეიტანონ ქართული პროდუქციის დაახლოებით 94 პროცენტი. საექსპორტო პროდუქციას შორისაა ღვინო, თხილი, თაფლი, მინერალური წყალი, ლუდი, უალკოჰოლო სასმელები, ჯემები, ნვენები, ბოსტნეული, ხილი, შოკოლადის ნაწარმი, ჩაი, თევზი და სხვა ზღვის პროდუქტები, მარცვლეული, სამკურნალო საშუალებები, კაბელები, პლასტმასის პროდუქცია, აზოტოვანი და მინერალური სასუქების სახეობები, ფეროსილიკომანგანუმი, ლოკომოტივები და ა.შ. ჩინეთს საქართველოსთვის ტარიფების განულებისთვის არ დაუწესებია გარდამავალი პერიოდი, რაც ზოგიერთი ქვეყნის შემთხვევაში 5-10 წლამდე გრძელდება.

ცხრილი 2

ეკონომიკური თანამშრომლობა საქართველოსა და ჩინეთს შორის (2005-2016)

წელი	სავაჭრო ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	სალდო
2005	52,31	5,6	46,71	-41,1
2006	113,68	10,35	103,33	-93
2007	214,97	8,27	206,7	-198,4
2008	307,32	8,99	298,33	-289,3
2009	180,62	5,96	174,66	-168,7
2010	358,56	24,25	334,31	-310,1
2011	553,64	28,9	524,76	-495,86
2012	591,6	25,6	566	-540,4
2013	645,41	33,86	611,55	-577,69
2014	823,39	733	90,39	-642,62
2015	713,2	587,4	125,8	-461,6
2016	717	547	170	-377

წყარო: საქართველოს საელჩო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2017 წლის მაისში საქართველოსა და ჩინეთს შორის დაიდო თავისუფალი ვაჭრობის შეთანხ-

მება, ასევე ჩინეთმა გამოთქვა მზადყოფნა დააფუძნოს საქართველოში საერთაშორისო ბანკი, რომლის კაპიტალი 1 მლრდ. აშშ დოლარი იქნება.

ძირითადი დასკვნები

შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთის ახალი სტრატეგია საქართველოს სატრანზიტო ფუნქციას ახალ შესაძლებლობებს მისცემს, რაც პირველ რიგში ქვეყნის გეოპოლიტიკური სტრატეგიის უზრუნველყოფას შეუწყობს ხელს, ეს კი საფუძველი უნდა გახდეს პოლიტიკური უსაფრთხოებისა და ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას.

დღეისათვის ჩინური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში თანდათანობით იზრდება, ამას ხელს შეუწყობს თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების გაფორმება ჩინეთთან.

საქართველოსა და ჩინეთის ეკონომიკური თუ პოლიტიკური დაახლოება საწინდარია რეგიონში სიტუაციის სტაბილიზაციისა, რადგან კავკასიის რეგიონი ძირითადად ხასიათდება როგორც ნავთობმომპოვებელი (აზერბაიჯანი) და ნავთობის ტრანსპორტირების უზრუნველყოფი (საქართველო) რეგიონი, ამიტომ პოლიტიკური სტაბილიზაცია უმნიშვნელოვანესი ფაქტორია რეგიონის შემდგომი განვითარებისათვის, მით უმეტეს მაშინ, როცა საქართველოსა და ზოგადად კავკასიაში იკვეთება რუსეთის ფედერაციის, ევროკავშირის, თურქეთის რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესები. ახალი მოთამაშის შემოსვლა რეგიონში რეგიონის მიმზიდველობის ხარისხს აამაღლებს, თუმცა, არაა გამორიცხული მოხდეს ძალთა გადაჯგუფებაც.

ჩვენი აზრით, ამ ეტაპზე, ჩინეთი თავის პოლიტიკურ ინტერესს ღიად არ განაცხადებს, თუმცა, არაა გამორიცხული, რომ ადრე თუ გვიან დადგეს პერიოდი, როცა ჩინეთს თავისი ინტერესები გაუჩნდება საქართველოში არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური კუთხითაც. ვფიქრობთ, ამისათვის ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს ხედვა, თუ როგორ მიიღებს ჩინეთის პოლიტიკურ ინტერესს.

ლიტერატურა/REFERENCES

- [1] დანელია ი. - ანაკლიის პორტი და მისი პერსპექტივები, ჟ. „ფორბსი“, აპრილი, 2016, <http://forbes.ge/news/1309/ანაკლიის-პორტი-და-მისი-პერსპექტივები>
- [2] China's global plan must not reproduce domestic economic problems - The Financial Times Limited, 2017 <https://www.ft.com/content/d5c54b8e-37d3-11e7-ac89-b01cc67cfeec>
- [3] Bakan Arslan, BTK Demiryolu Hatti'nda incelemelerde bulundu <http://www.gazetevatan.com/bakan-arслан-btk-demiryolu-hatti-nda-incelemelerde-bulundu-1073242-ekonomi/>
- [4] საქართველოს პორტების დახასიათება - <https://bpn.ge/ekonomika/20177-saqarthvelos-portebi.html?lang=ka-GE>
- [5] <http://www.ssamarine.com>
- [6] საქართველოს საგზაო დეპარტამენტის ოფიციალური საიტი - <http://www.georoad.ge>
- [7] საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური საიტი - <http://1tv.ge/projects/analitics/?page=detail&id=159088>
- [8] ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ოფიციალური საიტი - http://china.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=553&info_id=41697

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის საბაღასახალო ასპექტები

TAX ASPECTS OF FREE TRADE WITH THE EU

ნაზი ბარათაშვილი,

ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი.

ბათუმი, საქართველო

ზაზა ფარსენაძე,

ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი.

ბათუმი, საქართველო

NAZI BARATASHVILI,

Doctoral Student of Kutaisi University.

Batumi, Georgia

ZAZA PHARSENADZE,

Doctoral Student of Kutaisi University.

Batumi, Georgia

ანოტაცია

საქართველოს ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის მიზნით უნდა ჩაითვალოს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის თავისუფლებისკენ გადადგმული ნაბიჯი ვაჭრობის ლიბერალიზაციის მიმართულებით. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება, რომელიც ევროკავშირთან, როგორც საქონლით ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას გულისხმობს.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული შეთანხმების ეკონომიკური მიზანია საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზაციის მხარდაჭერა, ევროკავშირთან და მსოფლიოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებთან ვაჭრობის გაფართოების ხელშეწყობით და ეკონომიკური რეგულირების ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად რეფორმების გზით, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს და ევროკავშირის ეკონომიკური ინტეგრაციის უმაღლესი დონის მიღწევას. ასოცირების შეთანხმების ეკონომიკური ნაწილის ძირითად ბირთვს მოიცავს როგორც სატარიფო, ისე არასატარიფო ბარიერებს ვაჭრობაში და გარდა ამისა, ორივე მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს. აღნიშნული შეთანხმება სარგებლის მომტანი იქნება საქართველოსთვის იმ მოქალაქეთა კეთილდღეობის ამაღლების თვალსაზრისით, რომელთაც

ექნებათ წვდომა უკეთესი ხარისხის პროდუქციასთან შიდა ბაზარზე და უფრო შორეული პერსპექტივით, გაეზრდებათ შემოსავლები ევროპასთან ინტეგრაციის შედეგად სტიმულირებული ახალი ბიზნეს-შესაძლებლობებისა და ეკონომიკური ზრდის გამო.

საკვანძო სიტყვები: თავისუფალი ვაჭრობა; ექსპორტი; იმპორტი; ტარიფები; ევროკავშირი; ასოცირების ხელშეკრულება; გადასახადი.

ABSTRACT

The step towards the liberalization of trade in the international labor distribution should be considered as the most important event for Georgia's economic development. One of the most important part of the Association Agreement between Georgia and the EU is the Deep and Comprehensive Free Trade Area Agreement, which covers liberalization of trade for goods and service.

The economic goal of the agreement between Georgia and the EU is to support the modernization process of Georgia's economy, to support and expand trade with the EU and World's largest trading partners

Based on the EU's best practices through reforms, which will stimulate to reach highest levels for Georgia-EU economic integration. The core of Association Agreement's economic part includes both tariff and non-tariff barriers in trade, in addition it covers obligations taken by the both sides. The agreement will benefit Georgia in terms of in-

creasing prosperity of its citizens, who will have access to higher quality products in the domestic market, and with a more distant prospect their income will be increased due to new business opportunities and economic growth promoted by the European integration.

Keywords: *Free trade, Export, Import, Tariffs, the European Union, Association Agreement, Tax.*

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტემპებმა და განსაკუთრებით ეროვნული ეკონომიკების აქტიურმა სწრაფვამ გლობალიზაციისაკენ, რომელიც აძლიერებს სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულებას, აჩქარებს გლობალური სასაქონლო და საფინანსო ბაზრების ფორმირებას, გამოიწვია განსაკუთრებული ინტერესი საგარეო ვაჭრობის მეცნიერული შესწავლისა და განვითარებისათვის.

დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში მსოფლიოს ყველა ქვეყანაა ჩართული, ვინაიდან ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს მხოლოდ თავისი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს საკუთარი წარმოება და დააკმაყოფილოს მოსახლეობა. შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში ქვეყანას ყოველთვის სჭირდება რესურსების, სამომხმარებლო პროდუქციისა და მომსახურების იმპორტირება, ხოლო საიმპორტო ხარჯების დაფარვის ძირითადი წყაროა ექსპორტიდან მიღებული შემოსავლით. მსოფლიოში მიმდინარე დემოკრატიული პროცესები გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს საქართველოს პოლიტიკური სივრცის მოდერნიზაციაზე და გამომდინარე აქედან, აუცილებელია გათვალისწინებული იქნას წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანსფორმაციის გამოცდილება. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს როლი გლობალურ სივრცეში თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით კიდევ უფრო გაიზარდა (რაც მას განსაკუთრებულ სატრანზიტო ფუნქციებს ანიჭებს), ამ უკანასკნელის გამოყენებით საჭიროა სწორი გზების გამონახვა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და არსებული სიძნელების დასაძლევად.

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს მოვლენად უნდა ჩაით-

ვალოს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის თავისუფლებისკენ გადადგმული ნაბიჯი ვაჭრობის ლიბერალიზაციის მიმართულებით. ვაჭრობის ლიბერალიზაციის სტრატეგია წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ ის უზრუნველყოფს ქვეყნის, როგორც მსოფლიო ბაზარზე საქონლისა და მომსახურების მიმწოდებლის შესაძლებლობების გაფართოებას, მისი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდასა და ბაზრებზე შეღწევის გაადვილებას. „თავისუფალი ვაჭრობის“ შეთანხმებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების საკითხებს [1, გვ., 5-6].

თავისუფალ ვაჭრობას სარგებელი მოაქვს სხვა ქვეყნის საზოგადოებისთვისაც. ეკონომისტები უკვე დიდი ხანია თვლიან, რომ ვაჭრობა აძლევს უფლებას ქვეყნებს მიაქციონ ძირითადი ყურადღება იმ საქონლის წარმოებას და იმ მომსახურებას, რომელთა მაღალი ხარისხიც შეუძლიათ უზრუნველყონ ამ ქვეყნებმა მაქსიმალური ეფექტურობით. ამგვარად, ისინი ამაღლებენ მთელი მსოფლიო თანამეგობრობის საწარმოო სიმძლავრეებს. უფრო მეტიც, ვაჭრობა ხელს უწყობს ეკონომიკისა და სოციალური სტაბილურობის ზრდას, დემოკრატიის განვითარებას ცალკეულ ქვეყნებში, აგრეთვე მსოფლიოს აყვავებას, კანონიერების დამყარებას და მშვიდობის უზრუნველყოფას საერთაშორისო ურთიერთობებში.

ვაჭრობის ღია სისტემა მოითხოვს, რომ ქვეყნებმა განახორციელონ სამართლიანი და დისკრიმინაციისგან თავისუფალი შეღწევა ერთმანეთის ბაზრებზე. ამისათვის ქვეყნები უნდა შეეცადონ შეუქმნან სხვა ქვეყნებს ხელსაყრელი პირობები თავის ბაზრებზე შესაღწევად - შეამცირონ თავიანთი სავაჭრო ბარიერები მრავალმხრივი და ორმხრივი შეთანხმებების დადების გზით. მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაციისას ძირითადი ყურადღება ტრადიციულად ეთმობა ტარიფებისა და გარკვეული არასატარიფო ბარიერების შემცირებას, უკანასკნელ წლებში გაჩნდა ახალი საშუალებები ამ ლიბერალიზაციის უზრუნველსაყოფად. ყველა ქვეყნის სავაჭრო კანონმდებლობა და სავაჭრო პრაქტიკა უნდა იყოს გამჭვირვალე, ანუ, სხვაგვარად, ყველამ უნდა იცოდეს წესები და ყველას უნდა ჰქონდეს თანაბარი შანსები კონკურენციაში მონაწილეობისათვის.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება, რომელიც ევროკავშირთან, როგორც საქონლით ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას გულისხმობს. შეთანხმებას 2014 წლის 27 სექტემბერს მოეწერა ხელი, რის შედეგადაც იგი საქართველოს, ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის 28 წევრი სახელმწიფოს მიერ იქნა რატიფიცირებული. ასოცირების შეთანხმების დებულების უმეტესი ნაწილი პირობითად 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა, ხოლო შეთანხმება სრულად ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისს. ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმაა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. ის, აგრეთვე, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area - DCFTA) და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს. ამიტომ, შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს საფეხურად იქნა მიჩნეული. ის საქართველოს ეკონომიკას ახალ შესაძლებლობებსა და კონკრეტულ სარგებელს სთავაზობს.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება მხარეებს შორის ურთიერთობებით რეგულირდება. ვაჭრობასთან დაკავშირებულ ასპექტებს განსაზღვრავს (DCFTA), რომელიც ასოცირების შეთანხმების განუყოფელი ნაწილია.

ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის (Deep and Comprehensive Free Trade Area - DCFTA) ჩამოყალიბებას. ასოცირების შესახებ შეთანხმებაში ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების განხორციელება ქმნის ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ მექანიზმს. შეთანხმების ეკონომიკური მიზანია საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზაციის მხარდაჭერა, ევროკავშირთან და მსოფ-

ლიოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებთან ვაჭრობის გაფართოების ხელშეწყობით და ეკონომიკური რეგულირების ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად რეფორმების გზით, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს და ევროკავშირის ეკონომიკური ინტეგრაციის უმაღლესი დონის მიღწევას. ასოცირების შეთანხმების ეკონომიკური ნაწილის ძირითად ბირთვს მოიცავს როგორც სატარიფო, ისე არასატარიფო ბარიერებს ვაჭრობაში და გარდა ამისა, ორივე მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს. ტარიფების გაუქმება თავისუფალი სავაჭრო სივრცის კლასიკურ საფუძველს წარმოადგენს. DCFTA-ს გაფორმებით ევროკავშირმა საქართველოს მიერ გატარებული ზომების საპასუხოდ, მისი მხრიდან საქართველოდან იმპორტის ლიბერალიზაცია განახორციელა და 2014 წლის 1 სექტემბრიდან ორივე მხარე პრაქტიკულად უტარიფო ექსპორტის რეჟიმით სარგებლობს. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს საქართველოსთან გაფორმებული შეთანხმების უნიკალურობას დანარჩენ ორ ქვეყანასთან, უკრაინასა და მოლდოვასთან გაფორმებულ DCFTA-ებთან შედარებით. ორივე მხარემ გააუქმა იმპორტის გადასახადი თითქმის ყველა პროდუქტზე. ასოცირების შეთანხმება მხოლოდ მცირე გამონაკლისებს ითვალისწინებს საქონლით ვაჭრობის ლიბერალიზაციის სფეროში და ყველა ეს გამონაკლისი ევროკავშირში სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტს ეხება [3, გვ., 35].

შეთანხმების ძალაში შესვლიდან პირველი წლის განმავლობაში ევროკავშირში ექსპორტის ზრდა არ იყო მაღალი, მაგრამ რუსეთსა და უკრაინასთან საქართველოს ვაჭრობის მნიშვნელოვანი შემცირების ფონზე, მთლიანობაში ვაჭრობის სტრუქტურა ძირეულად შეიცვალა ევროკავშირის სასარგებლოდ. პოზიციების მიხედვით მნიშვნელოვან ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია. ამავდროულად, საქართველოს ექსპორტის ზოგადი სტრუქტურა მთლიან ექსპორტში საერთაშორისო ბაზრების წილის მიხედვით მნიშვნელოვნად შეიცვალა და ევროკავშირის ბაზარმა დსთ-ს ქვეყნების ბაზრები ჩაანაცვლა. ევროკავშირში ექსპორტის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში 2013 წელს არსებული 20.9 %-დან 2015 წელს 29 %-მდე გაიზარდა, მაშინ, როდესაც დსთ-ს ქვეყნების წილი 55.5 %-დან 38 %-მდე შემცირდა, მათ შორის უკრაინასა და

რუსეთში არსებული არახელსაყრელი ეკონომიკური ვითარების გამო [5. გვ., 7].

ასოცირების შეთანხმების პოზიტიური შედეგები საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო მკაფიოდ გამოვლინდება, რადგანაც საქართველოს ეკონომიკა უკვე მორგებულია კონკრეტულ და ღია საბაზრო პირობებს. ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარებას ევროკავშირის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ტექნიკურ სტანდარტებთან ეტაპობრივი დაახლოება შეუწყობს ხელს [5. გვ., 8].

რთველო თავისი სტრატეგიული მდებარეობით, კარგად განვითარებული სატრანსპორტო და საბაჟო ინფრასტრუქტურით, მეგობრული პოლიტიკით, რეგიონალური და საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებით განსაკუთრებულ როლს შეასრულებს აზია-ევროპის ეკონომიკური კავშირების განვითარებაში და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტვირთების უმოკლეს დროში გადაზიდვას როგორც ევროპიდან საქართველოში, ასევე, საქართველოდან ევროპაში [3. გვ., 47].

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანები 2017 წლის ათი თვის ბრუნვის მიხედვით

ცხრილი №1

	ექსპორტი		იმპორტი		ბრუნვა	
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი
სულ	2 203 071.7	100.0	6 363 028.3	100.0	8 566 100.0	100.0
მათ შორის:						
თურქეთი	182 690.5	8.3	1 097 416.6	17.2	1 280 107.2	14.9
რუსეთი	314 047.1	14.3	615 599.5	9.7	929 646.6	10.9
ჩინეთი აზერბაიჯანი	184 496.7	8.4	543 488.2	8.5	727 984.9	8.5
უკრაინა	194 726.2	8.8	455 674.4	7.2	650 400.5	7.6
სომხეთი	89 915.1	4.1	358 708.8	5.6	448 623.9	5.2
გერმანია	168 536.8	7.7	235 684.0	3.7	404 220.8	4.7
აშშ	35 673.6	1.6	358 478.9	5.6	394 152.5	4.6
ბულგარეთი	98 173.9	4.5	218 522.5	3.4	316 695.9	3.7
იტალია	142 913.9	6.5	132 920.9	2.1	275 834.8	3.2
დანარჩენი						
პარტნიორი ქვეყნები	61 807.5	2.8	176 146.1	2.8	237 953.6	2.8
- სულ	730 091.0	33.1	2 170 388.4	34.1	2 900 479.4	33.9

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

საქართველოს, ასევე, აქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება თურქეთთან, რომელიც ევროკავშირის საბაჟო კავშირის წევრია. ამდენად შესაძლებელია სინერგიის მიღწევა DCFTA-ის და პან-ევროპულ ხმელთაშუაზღვის კონვენციის (PEM) პრეფერენციული წარმოშობის წესებს სისტემის გამოყენებით.

საქართველოს აქვს სტრატეგიული მდებარეობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, როგორც ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის, ასევე, რეგიონული სავაჭრო და ლოგისტიკური ცენტრის ჩამოყალიბების კუთხით. საქა-

2017 წლის ათი თვის მონაცემებით ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 66.1 % შეადგინა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია თურქეთი (1280.1 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (929.6 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (728.0 მლნ. აშშ დოლარი). სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2017 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 8566.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 12.7 %-ით მეტია; აქედან ექსპორტი

2203.1 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (29.4 %-ით მეტი), ხოლო იმპორტი 6363.0 მლნ. აშშ დოლარს (7.8 %-ით მეტი).

ასოცირების პირველი დადებითი შედეგები ვაჭრობაზე უკვე აისახა – რამდენიმე სახის პროდუქტის საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის მოცულობამ ნიშნულს აღემატა. ეს მხოლოდ პირველი ნიშნებია, თუმცა მოველით, რომ ამ ტენდენციას მოსალოდნელი სტატისტიკური კვლევის შედეგებიც დაადასტურებს. ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა და საწყისი ამ რეფორმების გრძელვადიანი, ფართო მასშტაბიანი და სიღრმისეული გეგმისა, რომლის შესრულებაც საქართველომ იტვირთა. ეს პროცესი მოიცავს სექტორული პოლიტიკის სფეროებში გასატარებელ, საჭიროებებზე მორგებულ, კარგად გააზრებულ რეფორმებს და მათი შედეგების შეფასებას, ასევე, დროულ კონსულტაციებს ყველა დაინტერესებულ პარტნიორთან. წინ მრავალი უზარმაზარი გამოწვევაა. მათ შორისაა კონკურენტუნარიანობის გაზრდა, ინვესტორთა დაცვის უზრუნველყოფა, მცირე მენარმეთა როლის განმტკიცება, წარმოების სტანდარტებისა და ამავდროულად, მომხმარებელთა უსაფრთხოების გაზრდა. საქართველო ევროკავშირის მხარდაჭერით, შეძლებს ასოცირების დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა ამოცანის შესრულებას, რაც ამ ქვეყნის მილიონობით მოქალაქეს ახალ შესაძლებლობებს მისცემს და მათ ცხოვრებას გააუმჯობესებს. ევროკავშირი მზადაა, რომ მთელი ამ პროცესის განმავლობაში მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გაუწიოს არა მარტო საქართველოს მთავრობას, არამედ მთელს საზოგადოებას. ჩვენს ხელთ არსებული გამოცდილება და ყველა ფინანსური ინსტრუმენტი ჩვენი პარტნიორებისთვის ხელმისაწვდომი გახდება. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო გამოიყენებს ამ უნიკალურ, ისტორიულ გამოცდილებას და ქვეყნის უკეთეს მომავალს უზრუნველყოფს რეფორმების გატარებისა და ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავების გზით.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება მოიცავს ვაჭრობის დაცვით ზომებს, რომელთა გატარების უფლება გააჩნიათ ევროკავშირის და საქართველოს მეორე მხარის იმპორტის მიმართ, თუ იმპორტი აზიანებს და

დაზიანების საფრთხეს უქმნის ადგილობრივ წარმოებას. კერძოდ, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ ანტიდემპინგურ, სუბსიდიების საწინააღმდეგო და დაცვით ზომებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ამისათვის ანტიდემპინგური ღონისძიებებია. თუ კომპანია პროდუქციის ექსპორტს უფრო დაბალ ფასად ახორციელებს, ვიდრე თავისი ქვეყნის შიდა ბაზარზე ყიდის, ითვლება, რომ იგი დემპინგს ახორციელებს. შესაბამისად მთავრობები უფლებამოსილი არიან, დემპინგის საწინააღმდეგო ზომებს მიმართონ იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილობრივ წარმოებას „არსებითი“ ზიანი ადგება. ამ დროს იმპორტიორ ქვეყანას უფლება აქვს შემოიღოს ანტიდემპინგური გადასახადი, ადგილობრივი წარმოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით. დაცვითი ზომები პრაქტიკულად არასდროს ყოფილა გამოყენებული ევროკავშირ-საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობებში. უფრო მეტიც, საქართველოს არ გააჩნია ანტიდემპინგურ, საკომპენსაციო, ან დაცვით ზომებთან დაკავშირებული კანონმდებლობა, რადგანაც ქვეყნის ლიბერალური სავაჭრო და ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში მიჩნეულია, რომ უფრო დაბალი ფასები მომხმარებლის ინტერესებში შედის და ქვეყანა არ ისახავს მიზნად თავისი სავაჭრო პარტნიორების დასჯას იაფი იმპორტის გამო. იმისათვის, რომ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებამ ეფექტურად იმუშაოს, საჭიროა მაღალი ხარისხის საბაჟო მომსახურების უზრუნველყოფა საზღვარზე და ამგვარად, ვაჭრობის ეფექტიანი და სწრაფი ხელშეწყობა, რათა თავიდან იქნას აცილებული პროცედურული შეფერხებები. ევროკავშირი და საქართველო თანხმდებიან ძირითად პრინციპზე, კერძოდ, იმაზე, რომ მათი საბაჟო კანონმდებლობა და პროცედურები იქნება სტაბილური, გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული. 2004 წლიდან საქართველომ საბაჟო მომსახურების სფეროში შთამბეჭდავი რეფორმები კონკურენტულ სისტემად გადააქცია და საქართველო უკვე აკმაყოფილებს საბაჟო კანონმდებლობასა და პროცედურებთან დაკავშირებით შეთანხმებაში ასახულ ძირითად პრინციპებს.

2014 წლის 1 სექტემბრიდან ევროკავშირის ქვეყნებმა საქართველოდან შეტანილ პროდუქტ-

ციაზე საბაჟო გადასახადი გააუქმა. ვინაიდან, საქართველოსა და ევროკავშირს შორის საბაჟო ტარიფები თითქმის სრულად არის გაუქმებული, ტექნიკური ბარიერები, როგორცაა ტექნიკური სტანდარტები და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, საჭიროებს ევროკავშირის პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანას. ტექნიკური ბარიერების აღმოფხვრის მიზნით, საქართველო თავის კანონმდებლობას დაუახლოებს ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას, სტანდარტებს და პროცედურებს. ეს ხანგრძლივი და რთული პროცესია, მაგრამ იგი საფუძველს ჩაუყრის ქვეყნის მრეწველობის მოდერნიზაციას და გააუმჯობესებს მის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას [4. გვ., 47].

ერთ ქვეყანაში დანესებული პროდუქციის სტანდარტები და ტექნიკური რეგულაციები შეიძლება განსხვავდებოდეს მეორე ქვეყანაში დანესებული სტანდარტებისგან. მწარმოებლებისა და ექსპორტიორებისთვის ეს ხელის შემშლელი ფაქტორებია, რადგან მათ თავიანთი საქონლის მახასიათებლებისა საექსპორტო ბაზრის მოთხოვნებს უნდა მოარგონ, ეს კი გავლენას ახდენს და ზღუდავს მხარეებს შორის საქონლით ვაჭრობას. უფრო მეტიც, საერთო ჩარჩოს გარეშე მხარეებმა შეიძლება წაახალისონ ან სულაც შემოიღონ პროტექციონიზმის გარკვეული ფორმები, რაც საზიანოა. ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების შეთანხმების მესამე თავში მოხსენიებულია მსო-ს „შეთანხმება ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ“. ქართული სტანდარტებისა და პროცედურების ევროკავშირის და საერთაშორისო სტანდარტებთან მეტად დაახლოების მიზნით საქართველომ მეტი ნაბიჯი უნდა გადადგას. მიმდინარეობს ვაჭრობაში ტექნიკური „ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების“ სიღრმისეული მიმოხილვა საქართველოში ბარიერების საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს ჩამოყალიბება, თუმცა ეფექტიანი და გამართული „ხარისხის ინფრასტრუქტურის“ სისტემის შექმნას მეტი დრო სჭირდება. შეთანხმების ფარგლებში ევროკავშირი და საქართველო აპირებენ თანამშრომლობის განმტკიცებას სტანდარტების, ტექნიკური რეგულაციების, მეტროლოგიის, ვაჭრობაზე ზედამხედველობის, აკრედიტაციისა და შესაბამისობის შეფასების სფეროებში. ამ თანამშრომლობამ უნდა გააღრმავოს მხარეების მიერ

ერთმანეთის სავაჭრო მექანიზმების ცოდნა და გაამარტივოს შესაბამის ბაზრებზე გასვლა.

თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება საქართველოს ავალდებულებებს ვაჭრობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა მიუახლოვოს ევროკავშირის კანონმდებლობას, შესაბამისად განახორციელოს რეფორმები შემდეგი მიმართულებებით: ვაჭრობასთან დაკავშირებული ტექნიკური ბარიერები, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები, სახელმწიფო შესყიდვები, საბაჟო და მომსახურებით ვაჭრობა (ელექტრონული კომუნიკაცია, ტრანსპორტი, ფინანსური მომსახურება, ფოსტა და საკურიერო მომსახურება). აღნიშნული ვალდებულებების შესრულება ხელს შეუწყობს საქართველოში უვნებელი პროდუქციის წარმოების სტანდარტის დამკვიდრებას: ევროკავშირის ქვეყნების სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე ქართული პროდუქციის წარდგენას. საქართველოსა და ევროკავშირის საბაჟო რეჟიმების დაახლოებას და მომსახურების ბაზრების შემდგომ ლიბერალიზაციას, რაც თავის მხრივ, წაახალისებს კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას და მის ეფექტურ გადანაწილებას ეკონომიკის სექტორებს შორის.

საგარეო ვაჭრობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკახორციელდება რეგულირების სატარიფო და არასატარიფო მეთოდით. იმპორტის გადასახდელების შემოღება მომგებიანია ეროვნული მწარმოებლებისა და სახელმწიფოსთვის, სადაც ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლის მიღება ხდება ფასების ზრდით. მომხმარებლები იძულებულნი არიან შეიძინონ იმპორტირებული საქონელი უფრო მაღალ ფასებში, შესაბამისად, ხდება დანაკარგები. ეს დანაკარგები, როგორც წესი, უფრო დიდია, ვიდრე მწარმოებლებისა და სახელმწიფოს მიერ მიღებული მოგება, ამიტომ ამ ღონისძიებების ქსელის ეფექტი ნეგატიურია.

იმპორტის კვოტები (კონტინგენტები) - უცხოური პროდუქციის მოცულობის რაოდენობრივი შეზღუდვები, დასაშვებია იმპორტირებულ ქვეყანაში. იმპორტის კვოტის შემოღება მწარმოებელთა გამარჯვების შედეგად მიღებული მოგებაა და მომხმარებელთა დაკარგვა. წმინდა ეფექტი ქვეყნის კეთილდღეობისათვის ამ შემთხვევაში არის უარყოფითი.

ეკონომიკა ითვლება ღიად, თუ სახელმწიფო ავრცელებს მინიმუმ ექსპორტის და იმპორტის

შეზღუდვებს. ეკონომიკის გახსნილობა ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლებით:

1. უცხოურ ვაჭრობის კვოტირება GNP- ში;
2. ექსპორტის წილი წარმოებაში;
3. იმპორტის წილი წარმოებაში;
4. უცხოური ინვესტიციების წილი შიდა ინვესტიციების მიმართ.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია კიდევ უფრო გააქტიურდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) მიერ ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების ლიბერალიზაციის მიზნით, კერძოდ, ტარიფისა და არასატარიფო ბარიერების შემცირებასა და აღმოფხვრაში.

ვაჭრობის დამაბრკოლებელი ყველაზე გავრცელებული ბარიერია ე.წ. გადასახადი იმპორტზე - ტარიფი. „ტარიფები უპირატესობას ანიჭებს ადგილობრივად წარმოებულ საქონელს ანალოგიურ იმპორტირებულ საქონელთან შედარებით და შესაბამისად, წარმოადგენს შემოსავლის ზრდის წყაროს ქვეყნებისთვის“. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (მსო) ცდილობს, ნულამდე დაიყვანოს აღნიშნული ტარიფები. ურუგვაის რაუნდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით, ვინაიდან, ქვეყნებმა დაადასტურეს, რომ შეამცირებენ ტარიფებს და დანევნ საბაჟო გადასახადებს იმ ნიშნულამდე, რომლიდანაც მათი კვლავ გაზრდა რთული იქნება. ტარიფები შეიძლება დანესდეს ასევე იმ კონკრეტულ რაოდენობებზე, რომლებიც სცდება დადგენილ კვოტას (ე.წ. სატარიფო კვოტა).

მსო-ს პრინციპების თანახმად, წევრ ქვეყნებს ეკრძალება შერჩევითი მიდგომის გამოყენება სავაჭრო პარტნიორების მიმართ და რომელიმე მათგანისთვის განსაკუთრებული უპირატესობის მინიჭება, ამ ქვეყნიდან საქონლის იპორტზე დაბალი ტარიფების მინიჭების გზით. ეს პრინციპი ცნობილია, როგორც უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (MFN) და წარმოადგენს DCFTA-ს განუყოფელი ნაწილის - ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების (GATT)-ის ნაწილს. თუმცა, ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების დადების შემთხვევაში ამგვარი შერჩევა ახსნადია. აღნიშნულ შეთანხმებათა მიხედვით, ქვეყნებმა, შესაძლოა უპირატესობა მიანიჭონ კონკრეტულ ქვეყნებს თავიანთ ბაზრებზე დაშვებისას, ან დაანესონ ბარიერები იმ პროდუქტების მიმართ, რომელთა იმპორტიც კონკრეტული ქვეყნიდან, სა-

ვარაუდოდ, არასამართლიანად ხორციელდება.

ზემოთ აღნიშნული ბარიერების გარდა, არსებობს აგრეთვე რიგი ე.წ. ტექნიკური სავაჭრო ბარიერები (TBT), როგორიცაა ტექნიკური რეგულაციები, სტანდარტები, გეოგრაფიული აღნიშვნები და სერტიფიცირების პროცედურები. ეს ბარიერები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით და ნაკლებად გამჭვირვალე და თვალსაჩინოა სატარიფო ბარიერებთან შედარებით. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აგროსასურსათო პროდუქტებს ეხება, რომლებმაც უნდა დააკმაყოფილონ წინასწარ შემუშავებული სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები, რომლებიც არც თუ იშვიათად გვევლინება, როგორც დაბრკოლება აღნიშნული პროდუქტებით ვაჭრობისას. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროკავშირი მსოფლიოს ერთ-ერთი ის რეგიონია, სადაც მომხმარებელთა დაცვის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და ეს იმ ფონზე, როდესაც საქართველოში საერთაშორისო სერტიფიკატი მხოლოდ რამდენიმე დასახელების საწყის და საბოლოო აგროსასურსათო პროდუქტზე გაცივმა, ხოლო სარეალიზაციოდ განკუთვნილი კვების პროდუქტების ხარისხი და უვნებლობა მრავალ კითხვას ბადებს. თუმცა, მას შემდეგ, რაც საქართველოს კანონმდებლობა სრულიად ჰარმონიზებული იქნება ევროკავშირის კანონმდებლობასთან, ტექნიკური სავაჭრო ბარიერები (TBT) ასევე გაუქმდება. რასაკვირველია, ეს პერსპექტივა დროის ხანგრძლივ პერიოდთან ასოცირდება. ნაციონალური კანონმდებლობებისა და პრაქტიკის დაახლოება TBT-სა და სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების შესახებ შეთანხმების (SPS) სფეროებში ყველაზე მეტად აუცილებელი და ამავედროულად, ძვირად ღირებული პროცესია. ამ პროცესს ქართული მხარის მნიშვნელოვანი ძალისხმევა სჭირდება, ამ მიმართულებით მოსალოდნელია ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა ევროკავშირის მხრიდანაც [5.გვ., 8].

საქართველოს ეკონომიკა ძირითადად სპეციალიზებულია სატრანსპორტო და ტურისტულ სექტორში, სოფლის მეურნეობის პროდუქტების, ზოგიერთი მეტალის და ქიმიური ნაწარმის წარმოებაში. ექსპორტის მოცულობის ზრდა, ასევე, სავაჭრო და მიმდინარე ანგარიშის ბალანსის დეფიციტის შემცირება განაპირობებს სპეციალიზაციას უფრო მეტ და ახალ

უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს ექსპორტში

ცხრილი №2

	2015 წლის		2016 წლის		2017 წლის	
	იანვარ-ოქტომბერი		იანვარ-ოქტომბერი		იანვარ-ოქტომბერი	
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი
ექსპორტი სულ მათ შორის:	1 832 775.2	100.0	1 702 215.8	100.0	2 203 071.7	100.0
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	207 185.2	11.3	265 022.2	15.6	352 529.0	16.0
ფეროშენადნობი	167 363.5	9.1	131 613.2	7.7	255 082.8	11.6
მსუბუქი ავტომობილები	154 363.6	8.4	137 904.7	8.1	173 875.9	7.9
ყურძნის ნატურალური ღვინოები	75 860.4	4.1	87 199.3	5.1	134 070.8	6.1
სამკურნალო საშუალებები	109 960.1	6.0	85 466.5	5.0	116 934.1	5.3
დაფასებული ეთილის სპირტი						
არადენატურიზებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც. %-ზე ნაკლები						
სპირტიანი სასმელები	51 822.9	2.8	70 202.2	4.1	93 093.6	4.2
მინერალური და მტკნარი წყლები	66 907.1	3.7	64 902.9	3.8	77 167.9	3.5
თხილი და კაკალი	145 028.4	7.9	146 807.7	8.6	65 306.3	3.0
აზოტოვანი სასუქები	100 725.1	5.5	55 796.7	3.3	64 677.0	2.9
ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრადდამუშავებული, ან ფხვნილის სახით	51 648.4	2.8	69 230.8	4.1	58 207.7	2.6
დანარჩენი საქონელი-სულ	701 910.5	38.3	588 071.5	34.5	812 126.7	36.9

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

პროდუქტებში. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რადგანაც ამჟამინდელი საექსპორტო პროდუქტების დივერსიფიკაციის დონე არაა დამაკმაყოფილებელია. ტოპ ათი საექსპორტო პროდუქტის მოცულობა ჯამში მთლიანი ექსპორტის ორ მესამედს შეადგენს.

2017 წლის იანვარ-ოქტომბერში, სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავეს, 352.5 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 16.0 % შეადგინა. ფეროშენადნობების ექსპორტი 255.1 მლნ. აშშ დოლარს და შესაბამისად, მთლიანი ექსპორტის 11.6 %

უდრიდა. მესამე ადგილზე მსუბუქი ავტომობილების ჯგუფი იმყოფებოდა. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 173.9 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 7.9 % შეადგინა.

ისეთი პროდუქტის და მომსახურების ექსპორტზე გატანა, რაშიც ქვეყანას შედარებით უპირატესობა გააჩნია ეკონომიკური განვითარების გზაზე ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. ბოლო ათი წლის განმავლობაში, საქართველოს მთავარ საექსპორტო პროდუქტებს- სატრანსპორტო და ტურისტული მომსახურება, აგროსურსათის სხვადასხვა პროდუქცია და ლითონის ზოგიერთი პროდუქცია შეადგენდა.

საქართველოს აქვს პოტენციური სამომავლოდ გააკეთოს სპეციალიზაცია შემდეგ ოთხ სფეროში: ენერგოტევად პროდუქტებში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებში, წარმოებასა და ბიზნეს მომსახურებაში. ეს პროგნოზი გაკეთებულია რაოდენობრივად, სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით. თუ ქვეყნები, რომლებსაც ადრე საქართველოს მსგავსი სპეციალიზაციის პროფილი ჰქონდათ და ამჟამად სპეციალიზებული არიან ზოგიერთი პროდუქტის წარმოებაში, მაშინ საქართველოსაც უნდა ჰქონდეს პოტენციური სამომავლოდ იგივე პროდუქტებზე გააკეთოს სპეციალიზაცია. აქ ჩამოთვლილი ოთხ მიმართულებაზე დაყრდნობა შესაძლებელია. მაგალითად, საქართველოს აქვს შესანიშნავი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი და ენერგეტიკის სატრანზიტო ქვეყანას წარმოადგენს, დაბალი ფასები ხელს შეუწყობს ისეთი ენერგოტევადი პროდუქტის წარმოებას როგორიცაა ალუმინი. ასევე, სოფლის მეურნეობისა და სურსათის წარმოებისთვის შესანიშნავი პირობებია საქართველოში, თუმცა ქვეყანაში ამჟამად სასოფლო სამეურნეო დეფიციტია, რაც მიუთითებს აგროსურსათში უფრო მეტი სპეციალიზაციის გამოუყენებელ პოტენციალზე.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია სახელმწიფო ხელისუფლებამ შესაძლოა გამოიყენოს ორი მთავარი გზით. პირველ რიგში, უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოს ხედვის ჩამოყალიბება ქვეყნის ეკონომიკური მომავლის შესახებ. ასეთი ხედვა აუცილებელია პოტენციურ ინვესტორებთან კომუნიკაციისთვის და ეკონომიკის მომავლის შესახებ გრძელვადიანი დებატების ფორმირებისთვის, მაგრამ ინფორმირება უნდა მოხდეს ობიექტური ანალიზის საფუძველზე, როგორც წარმოდგენილია აქ და არა სუბიექტური შეხედულებებით მიმდინარე მდგომარეობის შესახებ. მეორე, მიუხედავად იმისა, გამოკვეთილი სამრეწველო პოლიტიკა ტარდება თუ არა, სახელმწიფო ხელისუფლებამ ზოგჯერ უნდა მიიღოს არანეიტრალური გადაწყვეტილებები ინდივიდუალური სექტორის სასარგებლოდ. მაგალითად, ინვესტიციები საჯარო ინფრასტრუქტურაში, საჯარო განათლებასა და სავაჭ-

რო მოლაპარაკებებში. იმისათვის რომ, გადანაცვებილებმა უზრუნველყოს მაქსიმალური ღირებულება ქვეყნისთვის, მათ მხედველობაში უნდა მიიღონ ორივე, როგორც ინდივიდუალური სექტორების ობიექტური პოტენციალი, ასევე პროდუქტების დამატებული ღირებულების ინტენსიურობა. შედარებითი უპირატესობა წარმოიშობა სხვადასხვა ასპექტით, რომელიც მოიცავს ბუნებრივ პირობებს და რესურსებს, ასევე უნარებსა და ადამიანურ კაპიტალს მიმდინარე კალათაში პროდუქტისა და მომსახურების საწარმოებლად. ახალი სპეციალიზაციების პოტენციალის გამოვლენა არ უნდა შეიზღუდოს მიმდინარე ძლიერი მხარეების ფონზე. საქართველომ უნდა გამოიყენოს სხვა ქვეყნების გამოცდილება მსგავსი სასტარტო პირობებით და მდგომარეობით. (2.გვ2-3)

დასკვნა

DCFTA სარგებლის მომტანი იქნება საქართველოსთვის იმ მოქალაქეთა კეთილდღეობის ამაღლების თვალსაზრისით, რომელთაც ექნებათ ნდომი უკეთესი ხარისხის პროდუქციასთან შიდა ბაზარზე და უფრო შორეული პერსპექტივით, გაეზრდებოდა შემოსავლები ევროპასთან ინტეგრაციის შედეგად სტიმულირებული ახალი ბიზნეს-შესაძლებლობებისა და ეკონომიკური ზრდის გამო. შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმების გამოყენების წარსული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ვაჭრობა ცალსახად იხრება იმ პროდუქტებისკენ, რომლებზეც ვრცელდება აღნიშნული შეღავათები. აუცილებელია შევინარჩუნოთ არსებული პოზიტიური ტენდენციები, სატრანსპორტო და ტურისტულ სექტორში, სოფლის მეურნეობის პროდუქტების, ზოგიერთი მეტალის და ქიმიური ნაწარმის წარმოებაში.

მნიშვნელოვანია საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება იმ სექტორების განსაზღვრით, რომლებშიც საქართველო შესაძლოა ფლობდეს კონკურენტულ უპირატესობას. ასევე, აუცილებელია გათვალისწინებული იქნას სხვა ქვეყნების გამოცდილება ქვეყნის სტრატეგიის შემუშავებისას.

ლიტერატურა/REFERENCES


- [1] საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების გზები მსოფლიო მეურნეობრივი კავშირების გლობალიზაციის პირობებში. თეა ბიძინაშვილი, თბილისი, 2016 წელი. გვ 5-7; Ways of raising Georgia's export potential in the conditions of global trade unions. Tea Bidzinashvili, თბილისი, 2016 წელი, 5-7;
- [2] **ჯორჯ ზაჩმანი, დევიდ საა, მიშელ პერუსი** საქართველოს ეკონომიკური სპეციალიზაცია: აწმყო და მომავალი. ბერლინი/თბილისი, აპრილი, 2015 წელი. გვ., 2-3. George Zachman, David Saa, Michel Perus Georgia Economic Excellence: Present and Future. Berlin / Tbilisi, April, 2015 Pp. 2-3. Perus Georgia Economic Excellence: Present and Future. Berlin / თბილისი, პრილი, 2015 პ. 2-3;
- [3] ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაღრმავება ევროპული პოლიტიკის კვლევის ცენტრი, ბრიუსელი რეფორმატიქსი, თბილისი, 2016 წელი. გვ., 35-47; Deepening the relations between the EU and Georgia European Policy Research Center, Brussels Reformax, თბილისი, 2016 პ. 35-47;
- [4] საქართველო და ევროკავშირი. მაიკლ ემერსონი და თამარ კოვზირიძე, ევროპული პოლიტიკის კვლევის ცენტრი (CEPS), ბრიუსელი რეფორმატიქსი (Reformatics), თბილისი 2016 წელი. გვ., 8-10; Georgia and the European Union Michael Emerson and Tamar Kovziridze, European Policy Research Center (CEPS), Brussels Reformatics, თბილისი 2016. პ. 8-10;
- [5] ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და საქართველო, ეკონომიკური კვლევის ცენტრი, თბილისი, 2014 წელი. გვ., 7-9; EU Agreement on Deep and Comprehensive Free Trade Area and Georgia, Center for Economic Research, თბილისი, 2014 პ. 7-9.
- [6] <http://www.geostat.ge/>
- [7] <http://www.dcfta.gov.ge/ge/news>

აქტუალური კვლევა საქართველოს ეკონომიკის სტრატეგიულ მევენახეობა-მელვინეობის სექტორში

საქართველოში მევენახეობა-მელვინეობის დარგის განვითარება საუკუნეების მანძილზე ერის სოციალურ-კულტურულ ცხოვრებას ასახავდა. ეს დარგი, დღესაც ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა და მას დიდი როლის შესრულება შეუძლია ეკონომიკური ზრდის, მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიმართულებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპისა და მსოფლიო ღვინის ბაზრებზე კონკურენციის დონე საკმაოდ მაღალია, შესაბამისად, შესაფასებელია ამ სექტორის განვითარების გრძელვადიანი ტენდენციები, გამოსაკვლევა საქართველოს რეალობისათვის ადექვატური საუკეთესო ევროპული და მსოფლიო გამოცდილება კონკურენტული მოდელების შესახებ, შესამუშავებელია ღვინის ბაზრის გაფართოების ალტერნატიული შესაძლებლობები. ასეთი და სხვა აქტუალური პრობლემების გამოკვლევას ეძღვნება პროფესორ ეთერ ხარაიშვილის მონოგრაფია *„ღვინის ბაზარი და მევენახეობა-მელვინეობის დივერსიფიკაციის კონკურენტული მოდელები საქართველოში“*.

მონოგრაფიის რედაქტორია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი რევაზ გოგობია; რეცენზენტები არიან: ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტის უფროსი ეკატერინე ზვიადაძე; ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი; ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი. ნაშრომი დაბეჭდილია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით.

მონოგრაფია შედგება წინასიტყვაობის, სამი თავის, რვა პარაგრაფისა და დანართებისაგან. კვლევას თან ახლავს მდიდარი ლიტერატურული წყაროების ჩამონათვალი. წინასიტყვაობაში ავტორის მიერ ნათლად არის ფორმულირებული კვლევის მიზანი, ამოცანები და მოტივაცია.



კვლევის მიზნების მისაღწევად კი გამოყენებულია ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის კომპლექსური მეთოდები, ასევე, თვისებრივი კვლევა. ავტორს განსაზღვრული აქვს კვლევის დარგობრივი ფოკუსი და ეტაპები, გეოგრაფიულ არეალად კი შერჩეული აქვს კახეთის რეგიონი. კვლევა ჩატარებულია სტრატეგიული-ბუღალტერიული შემთხვევითი შერჩევით გამოყოფილი სამი სტრატა ჯგუფის მიხედვით: ა/ ფერმერები, რომლებიც მხოლოდ მევენახეობას მისდევენ; ბ/ მევენახეობა-მელვინეობით დაკავებული მენარმეები; გ/ მხოლოდ მელვინეები. კვლევის არეალი საკმაოდ მომცველობითია და მოიცავს როგორც ფერმერებს, ასევე, მევენახე-მელვინეებსა და მელვინეებს, სულ 2166 ეკონომიკურ ერთეულს.

მონოგრაფიაში დასაბუთებულია ისეთი დივერსიფიკირებული ეკონომიკის ფორმირების აუცილებლობა, რომელიც უზრუნველყოფს

ქვეყნის თვითმყოფადობის შენარჩუნებას, ძირითადი ეროვნული პროდუქტებით მდგრადი თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლების მიღწევას, კონკურენტულ გარემოში შიგა და საერთაშორისო სასურსათო ბაზრებზე ახალი პოზიციების მოპოვებას, პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას. ამასთან, **ევროკავშირთან დაახლოების კუთხით** მიზანშეწონილად არის მიჩნეული საქართველოს ეკონომიკაში ისეთი მოდელების შემუშავება, რომლებიც, ერთი მხრივ, შესაბამისობაში იქნება ევროპულ მოთხოვნებთან, მეორე მხრივ, ასახავს სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში არსებულ საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას. შესაბამისად, განსაზღვრულია კვლევის მიზანიც - ღვინის ბაზრის კონკურენტული ძალების შეფასებისა და მევენახეობა-მელვინეობის განვითარების შესაძლებლობების გამოვლენის საფუძველზე ამ სექტორის დივერსიფიკაციის კონკურენტული მოდელების შემუშავება.

ნაშრომში კვლევის ობიექტის შესაბამისად კრიტიკულად არის შეფასებული, როგორც მეცნიერთა, ასევე, სხვადასხვა კვლევითი ინსტიტუტისა და ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევები, გაანგარიშებულია ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობის დონე, შესაბამისად შემოთავაზებულია ღვინის ბაზრისა და ღვინის პროდუქტების დივერსიფიკაციის შესაძლებლობები.

კვლევის პროცესში ავტორის მიერ კარგად არის შერჩეული კვლევის მეთოდოლოგია, განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. პორტერის „აღმასის“ მოდელის გამოყენება, რომლის საფუძველზეც მოცემულია მევენახეობა-მელვინეობის სექტორის სრული ანალიზი, გამოვლენილი პრობლემები დაჯგუფებულია ერთგვაროვნების მიხედვით, ჩატარებულია ექსპერტული შეფასებები და პრიორიტეტების სქემის გამოყენებით გამოვლენილია მევენახეობა-მელვინეობის სექტორში მოქმედი ფერმერული მეურნეობების ძირითადი გამოწვევები და პრიორიტეტული საჭიროებები. მონოგრაფია განსაკუთრებულ ყურადღებას იმ თვალსაზრისითაც იმსახურებს, რომ ღრმად არის შესწავლილი ევროკავშირის ქვეყნების ფერმერული მეურნეობების გამოცდილება, არსებული მოდელები და სახელმწიფო ხელშეწყობი პროგრამები, შეფასებულია საქა-

რთველოში მიმდინარე და დაგეგმილი სასოფლო-სამეურნეო პროგრამების ეფექტიანობის მაჩვენებლები და შემოთავაზებულია სახელმწიფო პოლიტიკით გამოწვეული უარყოფითი შედეგების გაუმჯობესების რეკომენდაციები.

მონოგრაფიაში საინტერესოდ და კვლევაზე დაყრდნობით არის წარმოდგენილი ღვინის ბაზრის კონკურენტული ძალების შეფასება, ქართულ ღვინოზე მოთხოვნა-მიწოდების კონიუნქტურა ტრადიციულ და ახალ ბაზრებზე. საქართველოსა და მსოფლიოში მევენახეობა-მელვინეობის დარგის განვითარების თანამედროვე ტენდენციების შესწავლით დასახულია დარგის განვითარების პერსპექტივები. დივერსიფიკაციის ევროპული მოდელების კვლევებზე დაყრდნობით, გაკეთებულია დასკვნები საქართველოში მევენახეობა-მელვინეობის სფეროში არსებული თანამედროვე გამოწვევების შესახებ, შემოთავაზებულია დივერსიფიკაციის კონკურენტული მოდელები.

მევენახეობა-მელვინეობის დარგის დივერსიფიკაციაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ღვინის ტურიზმის განვითარებას. ამ თვალსაზრისით აუცილებელია აგროტურიზმის მიმზიდველი გარემოსა და ღვინის ტურისტული პროდუქტების მომსახურების შეფასება, ღვინის ბრენდის როლის განსაზღვრა ღვინის ტურიზმის განვითარებაში. ამ აქტუალური პრობლემის კვლევას მიძღვნილი აქვს **ცალკე პარაგრაფი, კერძოდ** კახეთისა და იმერეთის მუნიციპალიტეტებში შემთხვევითი შერჩევით გამოკითხულია ადგილობრივი და უცხოელი ტურისტები, შედეგების საფუძველზე შეფასებულია ტურისტულად მიმზიდველი გარემო, დადგენილია აგროტურიზმის განვითარებისათვის რეგიონების მიმზიდველობის საშუალო მაჩვენებელი, მოცემულია ღვინის ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურების შეფასების რანჟირება. ყოველივე აღნიშნულზე დაყრდნობით, შემოთავაზებულია ღვინის ტურიზმის განვითარების შემთხვევაში სოციალურ-ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სივრცული და გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრის გზები.

ზოგადად, კვლევის შედეგად ღვინის ბაზრის განვითარებისა და მევენახეობა-მელვინეობაში კონკურენტული მოდელების დასაწერად შემოთავაზებულია ორი ტიპის რეკომენდაციე-

ბი: 1. სამთავრობო სტრუქტურებისა და ინსტიტუტებისათვის; 2. კერძო სექტორისთვის.

შემუშავებული რეკომენდაციებიდან აღსანიშნავია: დივერსიფიკაციის გზით ფერმერები შეძლებენ იმ დარგებში შეღწევას, რომელთაც არა აქვთ პირდაპირი სანარმოო კავშირი ან ფუნქციური დამოკიდებულება მათი საქმიანობის ძირითად დარგებთან, შესაბამისად, სამეურნეო საქმიანობა გაფართოვდება და გავრცელდება ახალ სანარმოო და მომსახურების სფეროებზე; პროდუქტის დივერსიფიკაციის შესახებ გადწყვეტილების მიღების პროცესში ღირებული სტრატეგიაა დანახარჯების შემცირება და შემოსავლების გაზრდა; დივერსიფიკაცია უზრუნველყოფს ფერმერთა ეკონომიკური თანამშრომლობის ჯგუფების ფორმირებას, რაც, თავის მხრივ, შესაბამისი კანონმდებლობის მომზადებისა და მიღების ინიცირებას გამოიწვევს; დივერსიფიკაცია ტრადიციული საქმიანობების აქტივიზაციითა და არასასოფლო-სამეურნეო პროექტების გამოყენების შეთანხმებით გამოიწვევს: გამოუყენებელი რესურსების ჩართვას წარმოებაში, შეუვსებელი ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, არსებული უნარების განვითარებას და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, ინტერესების სფეროს გაფართოებას; აუცილებელია მცირე ფერმერების მიერ ყურძნის, ღვინისა და მომიჯნავე პროდუქტების პირდაპირი გაყიდვების ორგანიზება; მცირე და საშუალო ზომის ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაციისათვის მიზანშეწონილია კანონის მიღება „ფერმერული მეურნეობების შესახებ“; სასურველია სახელმწიფოს მიერ მევენახეობა-მელვინეობის სექტორში კოოპერატივების შექმნის სტიმულირების მექანიზმების შემუშავება; საქართველოში ღვინის ტურიზმის განვითარების მიმართულებით გასატარებელია შემდეგი ღონისძიებები: ღვინის ტურიზმში არსებულ სიახლეებსა და სერვისებზე ტურისტებისათვის ინფორმაციის სწრაფი მიწოდება, პროდუქტებსა და მომსახურებაზე დაჯავშნის სისტემის შექმნა, პროდუქტების დიფერენციაცია სამიზნე ჯგუფების მიხედვით, ფერმერის პროდუქტების პირდაპირი გაყიდვები ვიზიტორებზე, ტურისტულად მიმზიდველი გარემოს მქონე მუნიციპალიტეტების მიერ

ამ უპირატესობის გამოყენებით ტურისტების დაინტერესება და სხვ.

მონოგრაფიას ექნება თეორიული და პრაქტიკული გამოყენება, კერძოდ, სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებელ და განმახორციელებელ სტრუქტურებს შესაძლებლობა მიეცემათ მიიღონ მეცნიერულად არგუმენტირებული რეკომენდაციები მევენახეობა-მელვინეობის სფეროში არსებული ფერმერული მეურნეობების განვითარების პრიორიტეტული საჭიროებებზე; კვლევის შედეგები დაეხმარება ადგილობრივი, რეგიონული და ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლებს სოფლის მეურნეობის განვითარების ერთობლივი პროექტების დაგეგმვასა და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში; დარგის ექსპერტები და მეცნიერები მიიღებენ დამატებით ინფორმაციასა და თეორიებს მევენახეობა-მელვინეობის კონკურენტული მოდელების შესახებ. მონოგრაფია საინტერესო და საკმაოდ გამოყენებადი იქნება სტუდენტებისთვისაც. კვლევის მასალები, როგორც თეორიული, ასევე, ემპირიული თვალსაზრისით, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სასწავლო კურსების განვითარებაში, ასევე, სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ კვლევისადმი სხვადასხვა მეცნიერულ-მეთოდოლოგიურ მიდგომებს, დასკვნები და რეკომენდაციები შეაფასონ კრიტიკულად, მონოგრაფიაში მოცემული შეფასებები კრიტიკულად გამოიყენონ სამეცნიერო კონფერენციების, სამაგისტრო და სხვა კვლევითი თემების დამუშავების დროს.

ბადრი გეგბაია,

ეკონომიკის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი.
ჟურნალის „ინოვაციური ეკონომიკა და
მართვა“, მთავარი რედაქტორი.

რეზო ჯაბინიძე,

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი. საქართველოს
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

ინოვაციური ეკონომიკა და მართვა

INNOVATIVE ECONOMICS AND MANAGEMENT

ИННОВАЦИОННАЯ ЭКОНОМИКА И УПРАВЛЕНИЕ

ჟურნალის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ჟურნალის ვებგვერდზე:

www.nier.ge

ელ. ფოსტა: nierbat@gmail.com; info@nier.ge

ანგისის ქ. 15. ბათუმი. 6010

ტელეფონი: (+995) 593 72-21-15; (+995) 591 98-03-80

The online version of the journal is available on the website:

www.nier.ge

E-mail: nierbat@gmail.com; info@nier.ge

15 Angisa Sht. Batumi. 6010

Phone: (+995) 593 72-21-15; (+995) 591 98-03-80

კომპიუტერული უზრუნველყოფა — **ეკა აბზიანიძე**

ტექსტის კორექტურა — **ნათია კუპრაშვილი**

ქაღალდის ზომა — A4

გამომცემლობა „**კალმოსანი**“

E-mail: Kalmosani@yahoo.com

ტელეფონი: 571 19-19-39

Publishing „**KALMOSANI**”